რიგზე გაწყობით არიან, ხოლო
ქართულში წინა-უკმო, ამისთ-
ვის ღრამმატიკოსთა შინა დამი-
წერია Z.

არიან ასოები, რომელი წინა მო-
ეზავეების სიტყვათა ანუ უკანის და
გვარიან ჰყოფენ და დაატკობენ, არა-
მედ ლათინთა და ელლენთა ენათა
შინა უმრავლეს და უკეთ არიან. ამის-
თვის ღრამმატიკოსთა შინა სწერია
სწავლება A. ესე ართრონი არიან
ასოები, რომელი წინა მოეზავეებიან
სიტყვათა ანუ უკანის და გვარიან

ჰყოფენ და დაატკობენ, არამედ ლა-
თინთა და ელენთა ენათა შინა უფ-
როსად წინა მოეზავეებიან. და ხუთნი
იგი კმონი ასონი უმრავლესად ართ-
რონი არიან, რომლითა დედალ-
მამულელი ენა გამოითქმის. ხოლო
ვიეთთა აღუწერიათ, ქართულთა ში-
ნა ართრონი არა ძესო, არა დაჰ-
ვირევებია, თვარამ ართრონი ძეს და
არა მათებრ, არამედ რომელიმე წინა
კერძო სიტყვათასა და უმრავლესო
შემდგომად, რამეთუ ბერძულ ეწო-
დებიან ღმერთსა თეოს, ხოლო რა
ართრონი დაუსვა, ითქმის ო თეოს.
ესრეთ მოკლედ განიშნო. ეგრეთვე
ქართულთა შინა: ჰი ღ თო, ჰი უფ-
ლო და ეგვეითარნი. მხედვარეობა-
ლათინთა — აგამხედველ და გიხარო-
დენისათვის — ეგიხაროდენა, გინა
აგიხაროდენა და ეგვეითარნი. ძველ-
თა წერილებთა შინა მრავალნი მი-
ნახეან. ხოლო ბოლოდ კერძო ური-
ცხენი სხენან სიტყვათა შიომღვლარქ-
ნისათვის. და მამალ-დედლურის
სიტყვისათვის მან და მანა ჰ-
თან დამიწერია. ხოლო ქართულთა
ართრონი თავთანი არიან ესენი: ა,
აი, აა, აე, ან, აუ, ალ, გა, გან, გე, გი,
და, დაა, ე, ვ, ი, ია, მ, მე, მი; ნ, ნა;
ს, სა; უ, შე; წ, წა, ჰ; ბოლოს ართრო-
ნი ესე: ა, აო, გან, და, დე, დი, დო,
ე, თ, ი, ია, მ, ნ, ნა, ნე, ნი, ნეო, ნო,
ო, ს, სა, ლა, ში, ც, წიე. ესინი არიან
და საშუალი სხეანიცა B. ართრონი²
დანიშნულად ითქმის ესრეთ, რამეთუ
ასონი რომელიმე წინა მოეზავეებიან
სიტყვათა, გინა უკანის და გვარიან
ჰყოფენ, არამედ ქართულთა ენათა
შინა ეგოდენ მრავლად არა სხენან,
ვითარ ბერძულთა ენათა შინა, რამე-
თუ ბერძულთა ეწოდების ღმერთსა
თეოს, ხოლო უკეთუ დაუსხა ართრო-
ნი, ითქმის: ო თეოს. ესრეთ არს

¹ შდრ. ვეფხის-ტყაოსანი, სტროფი 1532,1. ² ეს განმარტება სწერია „ართ-
ბთნიელ'თან“.

ართრონი. და არიან ბერძულთა ენათა შინა ათსამეტ(6)ი ართრონი. ხოლო ქართულისა ენათათვის რომელთამე დაუწერიათ, არა იქმნებიან(ო) ართრონიო. იქმნებიან ქართულად(აქ) ართრონი, არამედ ბერძულთა სიტყვათა ართრონი უმრავლესი წინა კერძო დაუქდება, ვითარცა თეოს—ო თეოს. ხოლო ქართულთა სიტყვათა უმრავლესი ბოლოს კერძო დაუქდება და თავადაც მრავალი მოვალს, ვითარცა ლ'თისათვის: ში ლ'ო, გინა ში უფალო, და ეგვეითარ(6)ი; მეფეთათვის—ჰ მეფე, და მხედვარეობისათვის — აგამხედველე და გიხაროდენისათვის — ეგიხაროდენა და ეგვეითარნი, ხოლო ბოლოდ კერძო უმრავლესი მოვალს სიტყვის მიმოდლარქინისათვის, რამეთუ მამალდედლურთა ენათა შინა უმრავლეს არიან ართრონი. ხოლო ქართულიცა ენა ითქმიან მამალდედლად უკეთუ ენებოსთ, რამეთუ პირვანდელთა წიგნთა შინა მრავალგან მინახვან ეგრე მამალდედლურითა სიტყვით ნაწერი. რომელთამე ადგილთა აქაცა ჩამირთავს ქვემოთ, ხოლო შიცა და მრავლნი სხვანი ასოთაგანნი ართრონი არიან Cαβ. ართრონი დანიშნულად ითქმის ესრეთ. რამეთუ ასონი, რომელიმე წინა მოუხვევებიან სიტყვათა, გინა უქანის და გვარიან ჰყოფენ. არამედ ქართულთა ენათა შინა ეგოდენ მრავლად არა სხენ, ვითარ ბერძულთა ენათა შინა, რამეთუ ბერძულთა ეწოდების ლ'თსა თეოს, ხოლო უკეთუ დაუსხა ართრონი, ითქმის ო თეოს. ესრეთ არს ართრონი. და არიან ბერძულთა ენათა შინა ათსამეტი ართრონი, ხოლო ქართულისა ენათათვის, რომელთამე დაუწერიათ. არა იქმნებიან ართრონიო. იქმნებიან ქართულად ართრონი, არამედ ბერ-

ძულთა სიტყვათა ართრონი უმრავლესი წინა კერძო დაუქდება, ვითარცა თეოს, — ო თეოს, ხოლო ქართულთა სიტყვათა ბოლოს კერძო დაუქდება და თავადაც მრავალი მოვალს, ვითარცა ლ'თისათვის — ლთაება, და მეფეთათვის — გამეფება და მხედვარეობისათვის — აგამხედველე და გიხაროდენისათვის — ეგიხაროდენა და ეგვეითარნი. და ბოლოდ კერძო უმრავლესი მოვალს სიტყვისა მიმოდლარქინისათვის. რამეთუ მამალდედლურთა ენათა შინა უმრავლეს არიან ართრონი, ხოლო ქართულიცა ენა ითქმიან მამალდედლად, უკეთუ ენებონ. რამეთუ პირველთა წიგნთა შინა მინახვან ეგრე მამალდედლურით ნაწერი. შიცა ართრონი არს და სხვა ასონიცა რომელიმე Cγ.

ართრონის თუ რაჲო ZABCαβ. [არია ნ. არიოპაგოს, ცთომილნი]. [არიახი ნ. კვრა, შაბათი; შდრ. არეასი].

არიედ (+ 22, 6 რიცხვ. ZA) არიან ZAB.

არითმიტიკი მეცნიერებაჲა რაოდენი თავით თვისით განსაზღვრებისაჲ იქმნების ZA.

მეცნიერებაჲა რაოდენი თავით თვისით განსაზღვრებისაჲ იქმნას B. (ამჟონიოსის კათილორ.)¹⁾ რამეთუ არითმიტიკი არს მეცნიერებაჲა რაოდენისა თავით თვისით განსაზღვრებისაჲ Cαβ.

არილი (43, 15 ეზეკ.) დასასვენებელი სიწმიდეთა(ნი) ZABCβ.

ეზეკ. 43, 15: „და არილი წყრათათობთა და არილითგან ზედა კერძო რქათასა წყრათა და არილისა წყრათათა ათორმეტთაჲ“ Cα².

¹ შდრ. A—250, 59 რ. ² მოწმობა წყაროდან Cβ-ში გადახზულია

არიოთი (+ 4 მეფე 4, 39 ZAB)
 ბალახ-ბულახი ZABC.
 არის მყოფობს ZAB.
 განუმარტავია C.
 არისტიდისი ურთიერთს სახეთა
 აღბაძებდა ZAB.
 ესე იგი არს. ურთიერთს სახეთა
 აღბაძებდა C.
 არიფანა მოყვასთაგან საქმელთ
 შე(მო)კრება ZABC.
 ჩარიფი საყვარელი, ფავრიტი Cb.
 განუმარტავია Ca.
 არკადიშია სახლი საფილასოფოსო
 ZA.
 საფილასოფო(სო) სახლი BC.
 არკატიო ჩრდილოეთი ZABC.
 ნ. ჩრდილოეთი.
 არკატირია ძარღვია, რომელი ყო-
 (ველთა ძარღვთა ბუნებით მის-
 ცემს სიმკურვალესა სულისა
 ცხო(ვე)ლობრიესა ZAB.
 არკატირია (ძარღვია Cq) ძარღვი
 არს, რომელი ყოველთა ძარღვთა
 ბუნებით მისცემს სიმკურვალესა
 სულისა ცხო(ვე)ლობრიესა C.
 არკევითი (4, 13 ოსე) ხე ბორობა-
 ნი, ხე ჩრდილოვანი ZA.
 (ხე) ხე ბორობანი (9 ოსე) B.
 ბორობანი, ხე მაჩრდილოელი
 (ოსეს 9) Cab.
 არმანა სარკმელია შესადებელი
 ZAB.
 სარკმელია Cab.
 ნ. სარკმელი.
 არმარი (არმარი, არმანა Cq) ესე-
 ცა სარკმელი არს Z.
 სარკმელი(ვე)ა შესადებელი AB.
 სარკმელია ესეცა Cab. სარკმე-
 ლი Cq.

ნ. სარკმელი.
 არმადანი შორით მოს(რ)ულისაგან
 მოღებული მის თემის ძღვენი
 ZAB.
 ესე არს შორით მოსულის მიერ
 მცირე ძღვენი Cab. ესე არს შორით
 მოსრულისა მცირე ძღვენი Cq.
 არ მეღლეგება არ შეჭერება ZAB.
 არ შეკეპნიება Cb.
 არმენაკი (+ 27, 59 მათე ZAB)
 წმიდა ტილო ZABC.
 არმუნჯი უწყლო ღვინო ZAB.
 უწყლო ტყბილი (ტყბილი Cq) C.
 ნ. ღვინო.
 არმური (38, 1 იობ) ღრუბელ-
 ნისლი ძლიერი და ქარიანი Z.
 ნისლი ქარიანი და ღრუბელი
 ცეცხლიანი B. ნისლი ქარიანი C.
 ღრუბელ-ნისლი ქარიანი (38, 1
 იობ) Aa. ღრუბელ-ნისლი ცეცხლ-
 ქარიანი Ab.
 ნ. ნისლი.
 არმუჯი (ბალ.) ZABC.
 არნაბი არნალი ZAB.
 არნალი ბზის გასახვეტ(ელ)ი ZAB.
 არნაბი, ბზის გასახვეტი C.
 არნი (ოთხფ.) (+ ვისრამ. ZAa)
 გარეული ცხოვარი ZABCab.
 (ოთხფ.) Cq.
 არონა ერქვენაში ნახე Z.
 ყვერის ქარით საქნველი AB.
 ყვერის ქარის საქნველი(ა) C.
 ნ. გუთანნი.
 არრიდილია! (+ კავშირის ბო-
 ლოს ZABCb) კეთილობა ZABC.
 არს (21, 24 იოანე) არის ZAa.
 ნ. არსებითი, არსებოვანი,
 არსთ-არსება, არსობისა, მაარსა,
 ჯერ-არს.

¹ წყაროში (იოანე პეტრიწის თარგმანებაში, II წიგნი, გვ. 210, 20) ნახზარია „არ რიდილად“.

არსა 9, 14 პრომ. Z.

არსება მყოფთან ნახე Z.

არს საქმე თავით თვისით მყოფი და არა სხვისა მოქნენ შემტყიცებისა მიმართ, ესე იგი არს თავისა შორის თვისისა მყოფი და არა სხვის შორის მქონებელი ყოფისა(ა) A. არსება უკვე არს საქმე თავით თვისით მყოფი და არა სხვისა მოქნენ შემტყიცებისა მიმართ, ესე იგი არს თავისა შორის (+ თვისისა BCaq) მყოფი და არა სხვისა (სხვისა C) შორის მქონებელი ყოფისა. გარეშეთა ფლასოფოსთა განყოფილება თქვეს არსებისა და ბუნებისა, რომლისათვის უსაყერძოვესსა ვიდრუმე სახელ - სდევს გვაშად, ხოლო უსაყოველთაოვესსა და გარეშემცველთა გვაშთასა უწოდეს ბუნებად, ხოლო მარტივად ყოფასა უწოდეს არსებად, (+ გარსა წმიდანი შაშანი თან-წარტყენ მრავალმეტყველებასა მათსა და რომელ არს სახიანი სახე არსებად და ბუნებად და ხატონებად უწოდეს Cq) (+ ვრტყელად კათილორია¹ გეტყვის Cab) BC.

ნ. მყოფი, ნათესავი, ხუთნი კმანი.

არსებითი არსებთანხევე Z.

არსებთანხევეთ AB.

არსებოვანი მყოფობიანი Z.

არსთ-არსება (არიოპაგელში) ღმერთი ZAa.

არხი (+1 კათილორ. Z) მყოფი ZAa.

ნ. თანაარსი, რაარსობა.

არსობისა (6, 11 მათე) მყოფობისა Z.

არტავარი კაბიწი ZABCab.

ნ. კაბიწი.

არტავი (არტავი, არტავარი Cq) ორმოცდ(ა)ათი ქსესტი ZAB.

ორმოცდაათი ქსესტი არ(ის) Cab. კაბიწია Cq.

ნ. საწყავი, საწყაველი, ღომორი.

არტალა საკლავთ უკანა მეტქს ქვეითი Z.

საკლავთ უკან(ა) მეტქს ქვეითი AB. უკან(ა) მეტქს ქვეითი C.

არტაშანი ძვალთ შესაყრავი, გინა გასათლელთ ხეთა (ძელთა A) მაგრ(ი)ად საპყრობელი ZA.

შემუსვრილთ ძვალთ შესაყრავი, გინა გასათლელთ ძვალთ მაგრიად საპყრობელი B. არტაშანი ეწოდების შემუსვრილისა ძვალთა შესაყრავსა ანუ სათლელთა ხეთა მაგრიად საპყრობელად შემზადებულსა რასანე Cab. არტაშანი ეწოდების შემუსვრილისა ძვალთა შესაყრავსა ანუ სათლელთა ხეთა მაგრიად საპყრობელსა Cq.

არტახი ბრტყელი და მაგარი (მაგრა Ab) შესაყრავი ZA.

რადც ბრტყელი და მაგრიად შესაყრავი იყოს B. არტახი არს ყოველივე, რაიც(ა) იყოს მაგრიად შესაყრავი (შემკვრელი Cq) და ბრტყელი C.

არტავაზი ბებლის (ბებლთ AB) უფროსს უწოდენ ცრუნი ZAB.

(უქმ.) ბებლთ უფროსი C.

არტიო (+ 21 კავშ. ZABCb) ნამეტნავი ZABC.

ნ. პერიტტო.

არტირია არს ძარღვი მფეთქელი. რომელი გაიქსნას კაცმა, მოკვდების Z.

ძარღვი არს, რომელი გაიქსნას,

¹ შტრ. S—1463, 44 r. b. ² იგულისხმება იოანე პეტრიწის თარგმანება (წიგნი II, გვ. 60, 33—34).

კაც(ი) მოკვდება AB. არტრია არს
ძარღვნი ყარყანტოს შემკრველნი,
(3)აერის საცავნი (საცავისა Cq),
სულისა სადგურ(ნი) C.

შღრ. არკატრია, გულის-ეზო.

არტოსი და პვერიახ (არტოსი და
პვერიახ ZA, არტოსი B) სახე-
ლები არიან მწიგნობართა ქე-
ლოვნებათა სიტყვათანი ZA.

პვერიახთან ნახე B.

არქი ბერძულად მთავარი ZA.

არქი წისქვილის თოკი ZABC.

არქიმანდრიტი არვეთ მთავარი
ZAB.

პირელის მთავარი Cab.

არქოთი 4 მეფეთა 17. 30 Ca.

არღ აღარ, არღას ნაკლები Z.

აღარ (+ 14, 11 ეზეკ. A) AB.

არღა (14, 11 ეზეკ.) აღარ Z.

აღარ (32, 5 ესაია) Aa.

წარღავანი Cb.

ნ. მეწამული.

არღანხი ქარშიკი ZABC.

არღარა (26, 29 მათე) აღარა Z.

აღარა (+ 15, 41 ეზეკ. Aa) A.

წარღევანი მოღერჯო ჭვა თეთრად
ღაწინწყვლული Ca.

არუი (ხე) ZABC.

[არშია ნ. უარშიო].

არშივი საჭმლის კერძი Z.

კერძი ABC.

არჩევანი ვინ ვინ ირჩიოს ZAB.

არჩუ! (ოთხფ.) ZABC.

არც არცას ნაკვეთი ZAa.

არცა (არც AbBC) (+ 5, 15 მათე

ZAa) არაობასავით ZAB.

განუშარტავია C.

არცაღა (+ 8, 10 მათე ZAa) არც

ZAB.

არძანგი სახლომელი პატივი, არ-
ზანგი ZA.

სახლომელი პატივი B. არძანგი,
არძანიგი და არზანგი სა-
მიე საკლომელსა პატივსა ეწოდების
კაცთათვის ღირსებისაებრ მათისა
Cab. არძანგი, არძანიგი და
არზანგი სამივე საკლომელი
პატივია კაცთათვის ღირსებისაებრ
მათისა Cq.

[არძანი ნ. ქვა].

არძანიგი (+ ქართლის ცხ.² ZAa)

იგივე არძანგი ZA.

იგივე არძანგი და არზანგი B.

არძანნი დიდი ლოდი, გინა მარ-
ლის ქვა ZAB.

მარლის ქვა, გინა დიდი ლო-
დი Cab. მარლის ქვა Cq.

არძი ჭრელი ხამი ZAa.

განუშარტავია AbBC.

არწივაკი სახლის მეორე ძელი
ZABC.

არწივი (ფრინ.) (19, 4 გამოსლ.)

ამისასა იტყვიან მეხუთასესა
წელსა განჭაბუკებასა, სიმაღ-
ლით აერით ჩამოქრასა და
წყალთა შთავარდნით განახლე-
ბასა. წყლის პირს მეხუდრობს
თევზის ჭამისათვის. ბოლო თეთ-
რი აქვს წინა კერძო Z.

(ფრინ.) (+ 19, 4 გამოსლ. A)

ამისას იტყვიან მეხუთასესა წელსა
განახლებასა, სიმაღლით (სიმაღლი-
საგან B) ჩამოქრით წყალთა შთ-
ვარდნათა მიერ. წყლის (წყალ-
პირს მეხუდრობს თევზის (

1 ნუსხებშია: „არჩვი“. 2 შღრ. ქართლის ცხ-ბა, ს. ყ ა უ ხ ი რ შ ვ ი ლ ი ს
გვ. 4, 16 („არძანგებისაებრ“).

B) კამისათვის. ბოლო(ს) წინა კერძო თეთრი აქვს AB. (ფრინ.) არწუვი იგი არს მეხუთასესა წელიწადსა განახლდების, სიმალისაგან ჩამოპრილი (+ და Cq) წყალთა შთავარდნათა მიერ C.

ნ. ორბი, ფსოვი.

არხილი თხელი ბზარი ZABC.

ნ. თოვლი.

არჯაკელი (ბალ.) ორჯოიკი ZABC.

ნ. ზერჩო.

არჯალი ურცხვად ანჩხლი ZABC.

არჯასბი სომხურია, ქართულად მიწალები ჰქვიან, შავის საღებავია Z.

შავის საღებავი მიწა, მიწალები A.

შავის საღებავი მიწა B. განუმარტავია C.

არჯმანიკი (ხე) ZABC.

[ას ნ. ეას]

ასა ართრონია, რომლისა მიერ ითქმის: ასალები, ასაკიდი, ასატანი, ასაზიდი და ესევითარ(ნი) (+ მრავალთა ზედა მოვალს A) ZA.

ასაბადი სასაგნო ZABC.

ასაბია მტერზედ მიმყოლი, შემწე Z.

მტერზედ მიმყოლი ABC.

ასადარებს მცირედ კრთის ZABC.

ასათირი 6 დრამი და 4 დანგვს წონა ZAaC.

6 დრამი და 4 დანგი AbB.

ასაკი (50 კავშ.)¹ ჟამთ(ა) საზოპი (განზომა B) კაცთა ZAB.

შდრ. ჰასაკი.

ასაკრავი ერქვანთა და ურემთა ასაბმელი (ასაბამი A) ZAB.

ასაკრავი ეწოდება (ეწოდების Cb) გუთნისა და ურმის ასაკრავსა, გინა ფუშის ასაკრავს სარტყელსა და მისთანათა Cab. განუმარტავია Cq.

ასარგებლა სარგებელი გაუმრავლა ZAB.

ასარი (+ 10, 29 მათე ZAB) დანგი ZABC.

ნ. ლიტრა.

ასასუმლა სასუმლობასთან ნახე ZA.

აშვილობილა B.

ასახსნელი ნ. ასაქსნელი.

ასაკმრებს საკმრად შეიქმს ZAa.

ასაკრმლებს გააკრმლიანებს ZAa.

ასაქსნელი² იგავიანის სიტყვის გამოცნობა Z.

იგავიანის სიტყვის გამოთქმა A.

ასე ესრეთ ZAB.

ასეთი, ესრეთ C.

ასეთი ესრეთი, ამისთანა Z.

ესრეთი A. ესეთი B.

ასენათი 4 მეფეთა 17, 30 Ca.

ასერ აწვესავით ZAB.

ასესხა სესხი მუსცა ZAB.

ასთაკვ (ასთაკვი ABCab) (თევზ.) (+ 2 ნემეს.³ ZAa) ღუმიანი კიბორჩხალი ZAC.

(თევზ.) ღუმიანი კიბორჩხალი დლი B.

ასთვეე (+ კავშ. ZAa) ასრვეე ZAB.

ასი (4, 4 ეზეკ.) ათჯერ ათი, ხუთმეოცი Z.

(+ 4, 4 ეზეკ. Aa) ხუთმ(ე)ოცი ABC.

ნ. უშტი.

ასილა⁴ (ფრინ.) (8, 7 იერემ.) მი-

¹ იგულისხმება იოანე პეტრიწის თარგმანება (წიგნი II, გვ. 109, 18). ² ნუსხებში: „ასახსნელი“. ³ იგულისხმება ნემესიოსის წიგნი „ბუნებისათვის კაცისა“ (გვ. 27, 24). ⁴ ნუსხებშია „ასილაძა“.

მინოს ჰგავს, ღამით ხედავს, ღამურას უკმობენ (ჰქვიან A) ZA.

(ფრინ.) მიმინოს ჰგავს, ღამით ხედავს, ღამურა B. (ფრინ.) ეს (მ)ფრინველი ასიღამა მიმინოს ჰგავს, ღამით ხედავს, ღამურას უწოდენ ვიეთნი Cab. (ფრინ.) (იერემ. 8. 7) მიმინოს ჰგავს, ღამით ხედავს, რომელსა ღამურას უწოდენ Cq.

ასიმუთ კერპის სახელია ZAB.

კერპის სახელია, ხოლო ბეთ სახლსა დანიშნავს Cab.

ასისთავა (ბალ.) ZABC.

ასის-თავი (+ 18, 21 გამოსლ. ZA) ასთ უხუცესი ZAB.

ასთ უფროსი Cb. განუმარტავია Ca.

[ასკალავოტის ნ. მსევანი].

ასკატა (ფრინ.) (+ დარეჯან.¹ ZAa) ZABC.

ასკილი (ხე) ტყის ვარდი Z.

(ხე) ABC.

ასკიტიკოსი სამოღვაწ(ე)ო წიგნი(ა) ბასილისა ZACab.

სამოღვაწეო წიგნი წ ბასილისა B. ერთი წიგნია ბასილისა Cq.

[ასლვა ნ. თავს-ასლვა].

ასლი (ბალ.) (+ 3 მეფ. 19, 6 ZA) ZABC.

ასმანაკი შესაპყრობელი, გინა გარემოსადგმელი Z.

შესაპყრობელი, გინა გარემოღმებული ABCab.

ნ. ბადე.

ასო (1, 12 ლევიტ.) კაცის ნასხამოანი Z.

(+ 1, 12 ლევიტ. A) კაცის ნასხამნი AB. კაცის ასო Cb. კაცისა Cq.

ასო ელადელ(ი)თა კმითა ჰქვიან კავშირთა, ამისთვის(ცა) ფილასოფოსთა მიერ ასონი სახელედებიან ცეცხლსა, აირსა, წყალსა და ქვეყანასა, რამეთუ ვითარცა ასოთა დასხმითა აღმოიკითხვის სიტყვა და სიტყვათაგან შეიქმნების წიგნი, ეგრეთვე ამოთხთა ასოთაგან (ასოთა მიერ AB) შეიშაღების სხეული და სხეულისაგან (სხეულთაგან B) კაცი სრული. ხოლო ამაოთხთა ასოთა კავშირად (კავშირადაც B) სახელ-სდებენ (უკმობენ B). ვინათგან მით დაკავშირდებიან ყოველნი ნივთნი (ნივთიერნი; + ასო ეწოდების მარცვალთა წიგნისათჳ და კვალად ასო კელსა ანუ ფერქსა, გინა თითოეულთა ნაკვეთთა კაცისათა B) ZAB.

ასონი ფილასოფოსთა მიერ ისახელ(დ)ებიან: ცეცხლი, აირი, წყალი და ქვეყანა, რამეთუ ვითარცა ასოთა დასხმითა აღმოიკითხვის სიტყვა და სიტყვათა მიერ შეიქმნების წიგნი. ეგრეთვე ამაოთხთა ასოთა მიერ შეიშაღების სხეული და სხეულისა მიერ კაცი სრული. ხოლო ამაოთხთა ასოთა კავშირადაც უკმობენ, რამეთუ მით დაკავშირდების ყოველი ცხოველი: ასო ეწოდების მარცვალსაცა წიგნისათჳ; კვალად ასო კელსა ანუ ფერქსა, გინა თითოეულსა (თითოეულსა Ca) ნაკვეთსა კაცისათა Cab. ფილასოფოსთა მიერ ასოდ იწოდებიან: ცეცხლი, აირი, წყალი და ქვეყანა. რამეთუ ვითარცა ასოთა

¹ შტრ. ამირან-დარეჯანის, ს. ყუბანეიშვილის გამოც. გვ. 84, 240

დასხმითა აღმოიკითხვის სიტყვა და სიტყვათა მიერ შეიქმნების წიგნი, ეგრეთვე ამა ოთხთა ასოთა შეიშვა-ღების სხელი და სხელისა მიერ კაცი სრული, ხოლო ამა ოთხთა კავშირადაც უქმობენ, რამეთუ მით დაკავშირდებიან ყოველნი ცხოველნი Cq.

ნ. კავშირი 2.

ასო წიგნის(ა) მარტვალი ZABC.

ასოსრა ვეცხლის საყვირია (+ წყრთეული AB) უვიწროესი სტვირისა ZAB.

ასოსრა საყვირი არს ვეცხლისა წყრთასა მცირედ ნაკლები (ნაკლები Cq), მცირისა სტვირისა უვიწროესი C.

ასპალადი (ხე) ნერგი(ა) ეკლოვანი ZABCab.

ასპალადი იოსიპოსში თავი 24 და რიცხვი 7 სულნელი არის. ...თვის წიგნი: „ბელეკონი და ასპალადი“ Cq.

ასპარეზი სომხურად სტადიონს ჰქვია, ხოლო ქართულად მინდორსა, რომელ არს მედიდანი Z.

სტადიონს ჰქვია(ნ) სომხურად, ხოლო ქართულად მინდორსა A. სტადიონსა ჰქვია სომხურად, მინდორადაც ითქმის B. სტადიონი. ასპარეზი არს სტადიონი, გინა უტევანი. ასპარეზი მინდორადაც ითქმის სამღერულად ქაბუთა Cab. სტადიონია Cq.

ნ. ეასპარეზა, მასპარეზე, ნასპარეზევი; შდრ. უტევეანი.

ასპარეზობაჲ ნ. თამაშობა, სათამაშო].

ასპიროზ (ვარსკ.) ესე არს აფროდიტი და მთიები ZAB. (ვარსკ.) ასპიროზ ცისკრის ვარს-

კვლავს ეწოდების და ქართულად აფროდიტი და მთიები ჰქვიან C. (ვარსკ.) ასპიროზ ცისკრის ვარსკვლავია, აფროდიტი და მთიები ეწოდების ქართულებ Cq.

ნ. ცთომილნი, აფროდიტი.

ასპიტაკი (+ 39, 17 გამოსლ. ZA)

ფიციარი ოქრო(ა)სა(ა) ZABC.

ასპიტი (მძრომ.; 57, 5 ფსალ.)

გველი(ა) ფრიად გესლოვანი ZA.

(მძრომ.) გველი არს ფრიად გეს-

ლოვანი (ფსალ. 57, 5: 90, 13) B.

(მძრომ.) გველი არს. რომელი

მსახრვალსა არა უსმენს სახრვასა,

ხოლო მეტად დიდსა და მძლავრსა

ასპიტსა პალამ ეწოდების Cab.

(მძრომ.) მეტად დიდსა და მძლავრს

ასპიტსა პალამ ეწოდების Cq.

ასპიტის ქვა. (ასპიტის ქუა B)

კრელი ქვა(ა) ერთრიგი ZA.

ქვაა ერთი კრელი B. ასპიტის

ქვა, ერთს ქვასაც ჰქვიან Cab.

ასბუჭაკი (ფრინ.) (2 შჯულ. 14)

ZAB.

(ფრინ.) (2 შჯულ. 14) რომელსა

ლათინურად ჩინუ(მ) ეწოდების.

სირაქლემის ტოლია, სპეტაკი და

კმა-ტკბილი, რომელიცა რა მოკვდავ

იქმნას, უტკბოსი კმა შეექმნების.

ამისთვის დაუწერიათ და მიუშვადვ

სებითა კაცი, რომელი ტანჯვას სი-

ხარულით მოითმენდეს Cab. (ფრინ.)

რომელსა ლათინურად: ჩინუ მ

უწოდენ, სირაქლემის ტოლი არს Cq.

შდრ. ჩინი 2.

ასსარონი ესე არს საწყეო მანანა-

სი, რომლითა ისრაილნი შეიკ-

რებდენ მით და ვერა მეტსა

ZAB.

ესე არს საწყავი დღისა ერთისა,

საჯერისა საყოფი, რომლითა ისრა-

ილნი მანანას(ა) შეიკრებდენ მით(ა)

და ვერა მეტსა C.

ნ. საწყაული.
 ასტამი ცომის მოსაფხეკი ZABC.
 ასული (+ 30, 21 დაბად. ZA)
 შვილი ქალი ZABC.
 ნ. კაცი.
 ასუნტაქსვა (ასუნტაქსვა Z) სვინ-
 ტაქსვასთან ნახე ZAA.
 ნ. სუნტაქსვა.
 ასფალტო (ასფალტო C) (11, 3
 დაბად.) კლიდამ და წყლიდამ
 გამოვა, შავი(ა), კუპრს(ა) ჰგავს
 ZA.
 განუმარტავია B.(+ ასფალტო Bq)
 ასფალტო წყლიდამ გამოვა, კუპრსა
 ჰგავს და ფისსა C.
 [ახფიტა ნ. ტიკისა].
 [ახფლასტოსი ნ. კუპრის].
 ასფლატო ნ. ასფალტო.
 ასფლატოსი იგივე ასფალტო ZA.
 იგივეა, კლიდამ და წყლიდამ
 გამოვა, შავია, კუპრს ჰგავს (დაბად.
 11, 3) B.
 ნ. წუნწუბა.
 ასფოდელოს (+ ასფოდელოს C)
 ნერგს(ა) იტყვის, ასფოდელ-
 ოს სამოთხესა იტყვის, ას-
 ფოდელონ სავსებასა იტყ-
 ვის, ასფოდელტო მახელი
 არს მწვანეილისა (+ რომლისა
 ABC) სუნი (სული Cq) სუ(ნ)ნე-
 ლი და ფერი შვენიერ(ი) და ძი-
 რი (+ მისი ZC) წამალი სარგე-
 ბელი ZABC.
 ასქეტო (ასქეტო და სქეტი Cab;
 ასქეტო, სქეტი Cq) (3, 8 კავშ.¹)
 დაუპყრობელივით ZAB.

(8 კავშ.¹) დაუპყრობელივით Cb.
 (3 კავშ.¹) დაუპყრობელივით Cq.
 ასწავა ასწავლა ZAB.
 ნ. სიტყუა.
 ასწავლა ცოდნა მისცა ZAB.
 ასწრაფა ააჩქარა Z.
 ასწრაფება აჩქარებასაით Ab.
 ასწრაფებდა (19, 15 დაბად.)
 აჩქარებდა Z.
 ჩქარებასაით (19, 15 დაბად.) Aa.
 ასხლეტა სხლეტასთან ნახე ZAB.
 ასხურა შეათ(რ)ქვია წყალი ZA.
 ატამი (ხე) ZABC.
 ნ. ვაშლატამი.
 ატანა მალლა აქონება რისამე ZA.
 მალლა რისამე აქონება B.
 ატარი ათარი, მეწვრიმალე Z.
 ათარი ABC.
 შდრ. ათარი.
 ატეხა ატეხად ითქმის კაცის
 აღძრვა სიკეთესა ზედა თუ სია-
 ვესა, ერთისა საქმისა დაჟინება;
 ატეხად ითქმის დიდი ბუქის
 აღძრვა, გინა წვიმა და სეტყვა
 და მისთანანი; ატეხა არს რაი-
 ცა აღმა შესტეხო Z.
 არს კაცისა სიკეთითა თუ სიბო-
 რითითა ერთის საქმის დაქშირება;
 ატეხად ითქმის დიდი ბუქი, გი-
 ნა ავდარი, გინა ძლიერი წვიმა
 (+ ატეხა არს, რაც აღმა მოს-
 ტეხ-შესტეხო Aa) A.
 ატლანტიკოისი ვეკობ უფსკრულია B.
 ატლასი ნაქსოია, ლარი Z.
 ნაქსო(ე)ია ABC.
 ატმენაქობა (უქმ.) ქრისტეს შო-
 ბის ღამე Z.
 შობის ღამე AB. ქრისტეს შობის
 ღამეს უწოდენ მსოფლიონი Cab.

¹ იოანე პეტრიწის შრომები (წიგნი II, გვ. 24, 19; 35, 10), მე-3 თავშია „უსქეტო“.

შობის ღამეს უწოდენ ქრისტესასა
მსოფლიონი Cq.
ატოლა შეატოლა Z.
ატოლი (ატოლა ABC) (ბალ.)
ZABC.
ატრია კმელი ცომის შეჭამადი Z.
ცომის შეჭამადი ABC.
ატყვებენ ნ. ატყუებენ.
ატყირბული 3 მეფე 7, 30 ZAB.
ატყობდენ შეატყობდენ Z.
ატყობენ შეატყობენ AB.
ატყუებენ (ატყვებენ BCb) (3 ეზ-
რა 3, 22) ასიტყვებენ ZAB.
(3 ეზრა 3, 22) ასიტყვებს Cb.
აუარებლით (+ 135, 1 ფსალმ.
ZA) უთქმლით ZABC.
აუარებელი თქმა შეუძლებელი
ZABC.
აუბა თქმა იწყო, გინა ძალი ააბა
ZA.
აუბნა ათქმევინა ZA.
აუგი სარცხვინ(ვ)ელი ZABC.
ნ. ეაუგა.
აუვიდა ძალა(დ) მტერს მალლა
აუქდა ZA.
ძალად მტერთ მალლა აუქდეს,
გინა საყოფინარი მისცეს B.
აუვიდა როჭიკით განაძღნა Z.
საყოფინარი მისცა A.
[აუზი ნ. აეზი].
აური (+ კარაბადინ¹. ZAA) უპეს
ქვეით ნაწლევია მოკლე და ფარ-
თო და ერთი პირი აქვს ZA.
უპეს ქვეით ნაწლევია მოკლე,
ფართო, ერთი პირი აქვს B. აური
უპეს ქვეით არს ნაწლევი ერთი,
მით ჰქვიან სახელი ესე, რაოდენ

არა აქვს პირი თვინიერ ერთსა
ფართო და მოკლე C.
აუწყა აცოდინა ZAB.
აფეკი ZABCab.
აფთარი (ოთხვ.) (+ 12, 9 იერემ.
ZA) ZABC.
აფთი მახვილია ბრტყელი (+ და
ZB) ტარ-გ(რ)ძელი ZAB.
მახვილი არს ბრტყელი და ტა-
როსანი C.
აფთიონი (ეფრემში) ნავის სამარ-
თი ტიფონი ZB.
(29, 30 ეფრემ) ნავის სამართო
ტიფონი A. 29, 30 (31) ეფრემ ასუ-
რი: „ეთარცა აფთიონითა რათამფ
შთაიზიდნეს სულნი“ C.
აფიანი 28 კავშ.: „ხოლო თუ უმე-
ცრებამან ვისმე გა(ნ)ზიდნეს,
ვითარ აფიანისა ქმნულმან ჰუ-
ნემა(ნ) და ჰლამოდის (+ წაყ-
რად C) აღვირ(ი)სა ბუნების(თ)ა
წესთა“² ZABC.
აფიკაროს ყოველ დღეს(ს)
ცხროვბას ჰქვიან ZAB.
აფიკაროს და ენამეროს
ყოველ დღეს ცხროვბას (ცხოვრე-
ბასა Cb) ეწოდების Cab. ყოვლის
დღის ცხროვბას ეწოდების აფი-
კაროს და ენამეროს Cq.
ნ. ცხრო.
[აფიტიკოსი ნ. ლევასი].
აფიცა ფიცი მისცა ZA.
ფიცი გამოართვა B.
აფკი აფსკა ZABC.
ნ. აფსკი.
აფოლხუება (აფოლხვება ABCb)
(+ 5, 27 იერემ.³ ZA) მოფონე-
ბა ZABC.

¹ შდრ. სამკურნალო წიგნი: Q—916, გვ. 274, 18. ² აღებულია იოანე პეტრიწის თარ-
გმანებიდან (წიგნი II. გვ. 75, 22—24). ³ შდრ. A—51 (წყაროვია: „აღფოლხუცხუ
ლი“).

ქაფორიაქება ნ. რბევა].

აფრა (+ 33, 23 ესაია ZAa) ქუ-
დის ანაკეცი, გინა ნავის აფქიო
ZA.

ესე არს ნავთა აფქიო, გინა ქუ-
დის ანაკეცი B. აფრა ეწოდების
ნავთა და ხომალთა აფქიოსა,
რომელ არს ქართა გამბერველობით
ნავთა მატარებელი; კვალად აფრა
ქუდის ანაკეცსა Cab. განუმარტა-
გია Cq.

**აფრაიატისი ლვიძლს ქვეით შემ-
კვრელი ეზო ყო(ვ)ელთა ნაწე-
ვართა სამქორედად ZA.**

ესე არს ლვიძლს ქვეით შემკვრე-
ლი ეზო ყოველთა ნაწევართა სამ-
ქორედად B. აფრაიატისი ეწო-
დების ეზოსა მას ლვიძლ(ი)სა ქვეშე.
შემკვრელი ყოველთა ნაწევართა
სამქორედად C.

აფრაკი ფიცარი პირ-მრუდი ZAB
ილლოჯი. აფრაკი არს რა ფიცა-
რი გამრუდდეს Cnb. ილლოჯი Cq.

აფრინდა Z.

**აფროდიობა უზომოდ ქალთა თა-
ნა შეყოფა ZABC.**

**აფროდიტი (ვარსკ.) ასპიროზ. მე-
სამეს(ა) ცასა ზედ(ა) არს, რო-
მელს(ა) ეწოდების მეღტა-
რო, ხოლო ცისა მის ძრვა და-
სავლით აღმოსავალისა მიმართ
(აღმოსავლად A) არს, წელიწად-
სა შინა ერთგზის მოიქცევის.
ხოლო აფროდიტის სიდიდე არს
ოცდაშვიდმეტჯერ ქვეყანისა
ოდენი ZA.**

(ვარსკ.) ასპიროს. ესე მესა-
მესა ცასა ზედა არს, ხოლო ცისა

მის ძრვა დასავლით აღმოსავლად
არს, წელიწადსა შინა ერთგზის
მოიქცევის. ხოლო აფროდიტის სი-
დიდე არს 37-ჯერ ქვეყანისა ოდე-
ნი B. (ვარსკ.) (+ ასპიროზ Cab).
ესე აფროდიტი მესამესა ცასა ზე-
და(ნ) (ცაზე Cq) არს, ხოლო ცისა
მის სიმგრგველე არს ოცდაშვიდი
ბევრი და ოთხას სამოცი ათასი ეჯი.
სიერცე მისი ათექვსმეტი (აოერთ-
მეტი Cq. ათხუთმეტი Cn) ზევრი
და ცხრაას ოცი (ოცდათი Ca) ათ-
სი (—Cn) ეჯი. ქვეყანით იქიმდე
(+ სიმალლე Cnq) ორმოცდა-
ათხუთმეტი ათას ხუთასი ეჯი. (+ ამ
აფროდიტის ცაში ერთი სხვა ვარს-
კვლავია, სიმგრგველე მისი არს რვა
ათას ორას და ათი ეჯი, ხოლო სიერცე
(+ მისი Cb) ხუთასი ეჯი Cbq). ესე
აფროდი (აფროდიტი Caq) იგი არს,
რომელსა ცისკარის ვარს-
კვლავად უქმობენ (ვარსკვლავს
უწოდენ Ca!). ესე მოვლის სიმგრ-
გველესა ცისასა ერთსა წელიწადსა.
ოდესმე ვალს ღამე და ოდესმე
ღლისით. ოდეს საცისკაროდ აღმო-
ვალს, ეწოდების მთიეზი, ხო-
ლო ოდეს სამწუხროდ აღმოვალს,
ეწოდების აფროდიტი. ხოლო
სიდიდე მისი არს ოცდაათიმეტჯე-
რ ქვეყანისა ოდენი. ამისას იტყ-
ვიან სახე აქვს ქალწულისა, ქალთა
აქვს პურიო C².

ნ. ასპიროზ, ცთოზილნი.

**აფროდიტისა (+ სილიბისტროს
ნეტაფრ.³ Z)** ხუთშაბათი ZAB.

ნ. კვრა, შაბათი.

**აფსინდი (ვარსკ.) (8, 11 გამოცხ.)
ZAB.**

(ვარსკ.) ესე იგი ვარსკვლავია,
იოვანე მანარებლის მოხილავა

¹ ამაზე წყდება Ca, მერმე ხარვეზია. ² Cb-ს კიდებე სწერია: „ამ თარგუ-
მანს გამართვა უნდა, დაუქარგაობისათვის დაესწერა.“ ³ შტრ. Jer. 120,6 v. („აფ-
დოდიტისი“).

Cab. (ვარსკ.) ესე იგი ვარსკლავია, იოვანე მახარობელმან რომ იხილა Cq.

აფსინდი (ბალ.) აბზინდა ZAB Cab.

აფსკა თხელი რამ კანი ZAB. აფკი C.

ნ. აპკა, ქერქი.

აფუარი სასრევია მგრგვალი და საბრუნავი ZA.

სასრევი მგრგვალი და მბრუნავი B. აფუარი არს სასრევი მგრგვალი, ბრუნვით მაქცეველი Cab. აფუარი არს სასრევი მგრგვალი და მბრუნავი. ი ე რ კ მ. 44: „აფუართა ლესული“ Cq.

ნ. სასრევი.

აფუნჩვა (აფუნჩუა ZA) სახლთ აფორიაქება ZA.

სახლის აფორიაქება B. განუმარტავია C.

აფუცა დააფიცა Z. აფიცა AB.

აფქიო ნავის აფრა(ა), რომელსა ქარი ბერავს ZB.

ნავის აფრა, რომელსა ნ[ი]ავი ბერავს A. ხომალდისა და ნავის აფრა Cab. ხომალდის აფრა Cq.

ნ. მეაფქიოე, ნავი.

აფხურა¹ (3, 47 გოდება) ა(ღ)მოფხვრა ZAA.

აქ აქას ნაკლები ZA.

აქა BCab. განუმარტავია Cq.

აქა (+ 26, 38 მათე ZAA) იგივე აქ ZAB.

ნ. აქ, აქადამ, აქადგან, აქამოზღე, აქეთ 2, აქეთი, აქეთკენ, მოაქამდე, სააქაო.

აქადამ აქათ იქ მისლვა (მისვლა

A) ZA.

აქადგან აქედამ ZAB.

აქავდეს ესე ითქმის ოხრიდენ Z. (+ ესე ABCab) ითქმის ოხრიდეს ABC.

აქავება ფხანის აშლა ZAB.

აქავიტი ახალი აღმოსული ბალახი¹ Ca.

აქამომდე (1 მეფე 7, 12) აქამდისი ZA.

აქანტერმათა კავშირის ბოლოს: „აქანტერმათა დავსწყუედ სიტყვის მიმოფ და იცან (იცნან BC) მეიროემან² (+ მან BC) ერმაულად იმწუერვალე(ნ) აპპოლო“³ ZABC.

აქატი აკატთან ნახე ZAB

ესე აქატი ლურჯი თვალია ისკ(ი)უთს იპოების C.

ნ. ამეთვსტომი, ანთრაკი.

აქებლით (+ 148, [1]; 150, [1] ფსალმ. ZA) შეასხმიდით ZAB.

აქეთ ქება უთხართ Z.

ქება უყავ(ი)თ AB.

აქეთ ჩვენ კერძო ZAB.

აქეთი ჩვენ კერძოთაკენი Z.

ჩვენ კერძო(ე)რე AB.

აქეთკენ ჩვენ კერძოთაკენ ZAB.

აქია ZABC.

აქიმი სხვათა ენაა, ქართულად იმკურნალი ჰქვიან Z.

არაბულია (+ მძენი, გინა, მილოსოფი, მაგარამ აწ თათარნი პატივისათვის თაბიბს უძახიან. თაბიბი, რომელ არს Aa), ქართულად მკურნალი ჰქვიან AB.

აქიმი არაბთ(ა) ენაა, ქართულად მკურნალი ეწოდების C.

აქლემ-ვეფხი (ოთხფ.) (2 შჯულ. 14⁴) ZAA.

¹ ნუსხებშია: „აფხვრა“. ² ნუსხებშია: „მეორემან“. ³ აღებულია იოანე პეტრიწის თარგმანებიდან (წიგნი II, გვ. 223, 4—6). ⁴ შდრ. II შჯ. 14,8 („აქლემი“).

აქლემი (ოთხფ.) (+ 11, 4 ლევიტ. ZAa) მამალს აქლემს ლოინი ჰქვიან, დედალს(ა) — ჯამა (+ და A) შეილსა მათსა — კოზაცი, ხოლო დუკატი გვარად მომცროსა და მალსა ZA.

(ოთხფ.) აქლემს მამალს ლოინი და დედალს ჯამა და შეილთა მათთა კოზაკი ეწოდებოთ, ხოლო დუკატი გვარად მომცროსა და მალს B. (ოთხფ.) აქლემსა მამალსა ლოინი, დედალსა ჯამა, შეილთა მათთა კოზაკი ეწოდების, ხოლო დუკატი მომცროსა და მალს გვარად Cab. (ოთხფ.) აქლემს მამალს ლოინი, დედალს ჯამა, შეილსა მათსა კოზაკი ეწოდების, დუკატი — მცირესა და მალესა გვარად Cq.

ნ. მეაქლემე, სირაქლემი.

აქმა აყვანა, გინა აქნევიან ZABC.

აქმნია აქნევიან ZAB.

აქონიო მასთან ამყოფო B.

აქონიოს მასთან ამყოფოს ZA.

აქოქ (+ 2 ნეშტ. 25, 18 ZA) ეკალი ZAB.

რომელ არს ეკალი C.

აქცევდა აბრუნებდა, გინა არღვევდა, გინა დასთხევდა.

აბრუნებდა, გინა არღვევდა AB.

აღავად 13, 24 იოსიპოს¹: „პირველად აღავად მიწვეწული, არამედ მორკინალ(ი) იყო(ს)“ ZABC.

აღალმა (20 კავშ.²) ხატი, გინა ქელით-ქმნული ZA.

ხატი, გინა კერპი (20 კავშ.²) B.

აღალმა არს ხატი; გინა კერპი ქე-

ლით-ქმნული C.

აღაპი მკედრისათვის ჰამა ZA.

მკედართათვის ჰამა B. მკედართათვის ნალიში C.

ნ. საალაპო.

აღარ არღ ZABC.

აღარა³ (14, 25 მარკ.) აღარ Z.

[აღაჩი ნ. მილი 2].

აღბეჭდვა⁴ ბეჭდის დასმა, აღბეჭვდაღ ითქმის მირონის ცხება(ცა) ZA.

ბეჭდის დასმა B.

აღბორჭუება (8, 11 ეზეკ.) კვამლის შეგროება ZAA.

აღგარწმუნებენ (29, 8 იერემ.) დაგარწმუნებენსავით ZAA.

აღგებადი აგებულადი ZA.

აღგებული აშენებული Z.

აღგებული⁵ (2 მეფე 16, 2) აკიდებული ZA.

აღგედი აღგებადი ZABC.

აღგესაბურველეს (13, 22 იერემ.) საბურველი აგეჰადა ZA.

საბურველი ა(ღ)გეჰა(დ)ეს BCab.

საბურველი აღგეჰადა Cq.

აღგვლიდენ⁶ (13, 21 იერემ.) შენზე შემო(ი)ვლიდენ ZB.

13, 21 იერემ. Aa.

აღგზება (+ 10, 16 ესაია ZAA) ცეცხლის ა(ღ)ნთება ZAB.

აღგზებული (3, 11 დანიელ) ცეცხლი ანთებული Z.

აღლაჭი⁷ (17, 6 იერემ.) ბიცი ZABC.

ნ. ბიცი.

აღღგომა (6, 26 ბარუქ.) ზე ამართვა ZA.

¹ შტრ. A—675, 250 რ. 10. ² იგულისხმება იოანე პეტრიწის თარგმანება (წიგნი II, გ. 57, 35). ³ წყაროშია: „არღარა“. ⁴ ნუსხებშია: „აღბეჭვდა“. ⁵ წყაროშია: „აღსავებული“. ⁶ წყაროშია: „აღვლიდენ“. ⁷ წყაროშია: „აღლატი“.

აღწობადი (35 კავშ.) აღწობად
უწოდს ოთხთა ასო შენაზავებას B.

აღება უსულოთ ზე ანმა აღება
არს, ხოლო სულიერისა—ა ყ ვ ა-
ნ ა; აღება არს პირთ ანმა,
გინა ვალის აღება, გინა ციხის
გამოხმა Z.

უსულოთა ზე აღება, აყვანა
სულიერთათვის ითქმის; აღება
არს პირთ ანმა, გინა ვალის აღება,
ანუ ციხისა მიხმა A. აღება არს
უსულოთა ზე აქმა, ხოლო აყვანა
სულიერთათ; აღება ითქმის
პირთ ანმაცა, აღება არს ციხეთ
წარხმა, ვალის აღება და მისთანანი
B. განუმარტავია C.

აღებანი მარხვის მოსვლის დრო
ZA.

მარხვა(თ) მოსვლის დრო BC.

აღების დამე მარხვის წინა დამე-
ები Z.

მარხვის წინა დამე A. იგივე B.
აღეკრა 43, [25] ფსალმ. Aa.

აღელვება ზღვის აღბორკვეება
ZA.

ღელვით აღღგობა B.

აღმატა 2 კორინთ. 3, 9 Z.

აღვაგებ 45, 7 ესაია Z.

აღვიარება მართლის სარწმუნოე-
ბის თქმა ZA.

ესე არს მართლისა სარწმუნოები-
სა წარმოთქმა BC.

შდრ. აღმსაარებელი, აღსაარე-
ბა.

აღვიკრძალავ 1 კორინთ 9, 28 Z.

აღვისთობ 49, [2] ფსალმ. Aa.

აღვირედი, აღვირედნი ნ. აღვრე-
დი.

აღვირი ნ. აღვრი.

აღვისტალი ეჯობიო ZAB.
ეჯიბი C.

აღვსება შესრულება ZAB.

აღღგომის დღე, გინა შესრუ-
ლება Cab.

აღვსება აღღგომის დღე ZACq.

აღღგომის დღესაც უქმობენ B.
ნ. სააღვსებოდ.

აღზვავება ნ. აღზუავება.

აღზვირთება ნ. აღზვრთება.

აღზრზინება ზრზინება იწყოს
ZAB.

აღზუავება² ზვა(ე)ობა იწყოს
ZAB.

აღზვრთება³ ლელვასავით. ზვირ-
თის სროლა ZA.

ლელვასავით ზვირთიანობა B.

აღ-თავს-იქცა ზე ა(ლ)ღგა ZABC.

აღთქვეფა ნ. აღთქუეფა.

აღთქმა (აღთქუმა Cb) (3, 34 და-
ნიელ ZAa; 31, 13 დაბად. Ah)
საზღვრის დაღება, რათა არა
გარდაქდეს ZA.

ესე არს საზღვრის დაღება, რათა
არღარა გარდაქდეს B. აღთქმა
(აღთქუმა Cb) არს საზღვრის და-
ღება. რათა არღარა გარდაქდეს C.

ნ. ნააღთქმევი.

აღთქუეფა⁴ (+ 32, 13 ეზეკ. ZAa
ერთმანე(რ)თში გაქნა ZAB.

აღმღვრევა, ანუ ერთმანერთში
გაქნით შერევა Cab.

აღთქუმა ნ. აღთქმა.

აღიელი თვალ-თეთრი, რამეთუ
რომელთა თვალი არც აქვს შავ-

¹ იგულისხმება იოანე პეტრიწის თარგმანება (წიგნი II, გვ. 89,1): წყაროშია: „აღწენიან“. ² ნუსხებშია: „აღზუავება“. ³ ნუსხებშია: „აღზვირთება“. ⁴ ნუსხებშია: „აღთქვეფა“.

ნი და ცხოვართა ფერი აქვს, ეწოდების გრემან, რომელთა (რომელსა A) გრემათაგან უფრორე მოთეთრო და შვენიერი იყოს, ეწოდების ქივქავი, მოთეთროსა და შვენიერსა — მაჩხი, ხოლო თეთრსა და უშვერსა აღიელი (+ და მარლი ZAa) ZA.

თვალ-თეთრი. თვალნი რომელთა-ცა შავნი არა აქვს და ცხოვართ ფერი აქვან, ეწოდებიან გრემან, რომლისა გრემათა უფრორე მოთეთრო და შვენიერ იყოს, ეწოდების ქივქავი, მოთეთროსა და შვენიერსა. — მაჩხი, ხოლო თეთრსა და უშვერსა — აღიელი B. თვალ-თეთრი C.

აღივება მარცვალთ აჯეჯლება ZABC.

აღიკარვა (+ დაბად. ZAa) კარავი აილო ZAB.

ნ. დაიკარვა.

აღიმხო (7, 16 ისო) აღრე აისწრაფა ZA.

აღიტყუა (26 ლავსაიკონი) ენა ამოიღვა ZAa.

აღიძრნეს მისზე შეიყარნეს ZABCab.

მისზე შეიყარნენ Cq.

აღლევა (1 ნეშტ. 21, 26) გაილიენენ ZA.

გაილიენენ B.

აღლესვა (21, 11 ეზეკ.) გალესვა ZAa.

აღლოშვა (+ 22, 4 რიცხ. ZA) ალოკ(ვა) ZABC.

აღლუმი (+ 2 მეფე 2, 30 ZA)

მებრძოლთ გა(ნ)ჩხრეკა ZAB.
აღილვა C.

ნ. სააღლუმედ; შდრ. აღილვა. აღმაზე შეზევით ZABCb.

[აღმავილოდაა ნ. აღმართი].

აღმართი პირ-აღმართთან ნახე ZAB¹.

პირ-აღმართი ესრეთ განიყოფებისა რამეთუ ვაკე ეწოდების ყოვლის კერძო სწორესა, ხოლო უკვეთუ ვაკესა შეეტყობოდეს შეღმართობა, ეწოდების ამრეცი; ხოლო ამრეცისა უნამეტნავესი არს შემრეცი და მისგან უნამეტნავესი არს გვერდა, და მასზედ უძნელესი შეღმართად ითქმის, და მისგან უძნელესსა აღმართი და სრულიად ძნელად სავალსა და ამართულსა ეწოდების ფრიალი; ხოლო პირ-აღმართში პირ-სწორად აღმა ასლვასა ეწოდების ყაფარად სლვა, და უკეთუ გვერდზე მიხვევ-მოხვევით, მივლამოვლით იწყოს სლვა, ეწოდების იკანკელი, მიდრეკ-მოდრეკის სვენებით აღსლვისათვის, უკეთუ აღმართისაკენ მივალს, შესლვა (შევლა Ca) ეწოდების და აღმავილოდაა; უკეთუ კლდეთა ზედა მივილოდეს, ანუ ხეთა, ანუ კიბეთა, ანუ ცათა მიმართ შეხედვიდეს, ანუ ისართა და ქვათა შესტყორციდეს, შეღმას უწოდენ; უკეთუ მიმავალსა მოგზაურისა მნახავსა კაცსა ვკითხეთ: ოდეს ნახე კაცი იგი, — უკეთუ ვაკეთა უნახავს, გვეტყვის: მიის; უკეთუ აღმართთა, გვეტყვის: აის, და უკეთუ უძნელესთა, იტყვის: შეის ვნახე და ესევითარნი Cab. განუმარტავია Cq.

ნ. მალმართნი, პირალმართნი;

აღმატება (+ 1 კორინთ. 12, 31 Z) მომატება ZABC.

¹ Z-ში კიდევ სწერია: „პირ-აღმართი აქ დაწერე“.

აღმახვა (44, 12 ესაია) რკინის აღ-
ლესვა ZAA.

აღმგულისსიტყუავნი (აღმგულის-
სიტყვანი Z) გულისსიტყვათ შე-
მომკრებელნი ZAA.

[აღმდგომი ნ. ვახად-აღმდგომი].

[აღმზრდელი ნ. მამა].

აღმკული გაკეთებულივით ZA.

გაკეთებულივით, ზე მზადებუ-
ლი B.

აღმობორკუებოდა (აღმობორკვე-
ბოდა BCab) კვამლი შეგროვ-
დებოდა ZA.

კვამლი შეგროვდებოდასავით B.
კვამლი შეიკუმშოდა, გინა შეგროვ-
დებოდა Cab.

აღმორახვა (13, 6 ოსე) უზომოდ
განძლომა ZAA.

აღმოსავალი (+ 2, 1 მათე ZAA)
ამოსავლეთი ZA.

განუმარტავია BC.

ნ. დასავალი.

აღმოტვფრვა (აღმოტვიფრვა
ZABCab) რა ილეკრო მომალ-
ლოდ აღმოკვეთო, ყვავილის
სახედ და ელვარედ შექმნა, ანუ
ბეჭედი ცვილთა ზედა დასვა და
ტვიფარი აღმოაჩინოს ZA.

რა ილეკრო მომალლოდ აღმოკვე-
თო, ყვავილის სახედ და ელვარედ
შექმნა, ანუ ბეჭედი დასვა ცვილ-
ზედა და ტვიფარი მისი აღმოჩნ-
დეს B. აღმოტვიფრვა არს ოქრო
ანუ ვეცხლი მომალლოდ აღმოკვე-
თოს, ყვავილის სახედ და ელვარედ
შექმნას, გინა რვალი და რკინა, გინა
ბეჭედი დასვა ცვილსა ზედა და
აღმოჩნდეს ტვიფარი მისი Cab.
აღმოტვიფრვა არს ოქრო ანუ ვე-

ცხლი მომალ აღმოკვეთოს, ყვა-
ვილის სახედ და ელვარედ შექმნას,
გინა რვალი და რკინა Cq.

აღმოფხურა (აღმოფხვრა B) ძი-
რიან ამოღება ZAB.

ძირითურთ ამოღება C.

აღმოქმნა (2 სჯულ. 6, 11) ა(ღ)მო-
თხრა ZAA.

აღმოჩენა ქვეიდამ ითქმის, ხოლო
გამოჩენა ზეიდამ ZA.

აღმოჩენა ქვეიდამ ითქმის,
ხოლო გამოჩენა ზეიდამ BCab.

აღმოცენება ამოსვლა ZA.

ზე¹ ამოსვლა B.

აღმოცოხნა პირუტყვთაგან ნაჭამ-
თ(ა) კვალად ა(ღ)მოღება, ცოხნა
და ჩანთქმა ZAB.

აღმოცოხნა არს პირუტყვთაგან ნა-
ჭამთა კვალად აღმოიღებდეს და
იციხნიდეს Cab. განუმარტავია Cq.

აღმოკუარდნა ა(ღ)მოგლეჯა ZAC.

ზე¹ ამოგლეჯა B.

აღმსაარებელი სარწმუნოების
მთქმელი ZAB.

სარწმუნოების საანჯნოდ მთქმე-
ლი Cab.

აღმსთობა (+ 11, 7 იერემ. ZAA)

ადრე ასწრაფება ZAB.

(+ სარსი Ca) ადრეან, რომელი
მსწრაფლადაც ითქმის და დილე-
ულადაც Cab. აღსწრაფება Cq.

აღმსიტყუელი სიტყვის დამბარე-
ბელი ZAB.

აღმტბო პირაშემული ZAB.

აშემული C

აღმურკნვა (აღმურკუნა ZABCq,

აღმურკენა Cab) (24 ნემეს.)¹

დამურკნებულად (დამურკლე-

¹ იხ. ნემესისის წიგნი „ბუნებისათვის კაცისა“ (გვ. 115, 10—11), წყაროშია: „აღმურკნვილის სახედ“.

ბულად BCb) შემტყნარებული ZABCb.

ნემეს. 24¹: „აღმურკუნის (აღმურკუნის Ca) სახედ ნოტიოსა (ხოტოსა Cq)“ Caq.

აღმქმნელი შემქ(მ)ნელი ZAB.

აღმღურეული² (აღმღვრეული ZAA) (34, 19 ეზეკ.) ამღვრეული ZAA.

(34, 18 ეზეკ.) ამღვრეული Ab:

აღმწერელობა ნ. ომილია.

აღნაგი აგებული ZAC.

ზე¹ აგებული B.

აღნადგინები (+ 25, 36 ლევიტ. ZAA) უწესო ვალის სარგებელი ZAB.

ვალის სარგებელი Cab. სარგებელი ვალისა Cq.

აღორევი თქმას(ა) უწოდიან ZABC.

აღორძინება (+ 6, 28 მათე ZAA) (+ აღორძინება B) არს უფროსის(ა) მიმართ (მიერ ZA³) ძრვა და მოკლება უმცრო(ა)სისა მიმართ ZAB.

მოზარდობა. აღორძინება არს უფროსისა მიმართ ძრვა და მოკლება(ა) უმცროსისა მიმართ C.

აღპარსვა (+ 22, 12 ესაია) თმათ სრულიად მოპარსვა ZAA.

აღრ მერტი B.

აღრალების ქვა (+ აღრალები B) არს: ძოწი, ამარტა, ბროლი, ლაევ(ა)რდი, ქარვა და მისთანანი ქვები. ხოლო სპეკალი — აღმასი, იაგუნდი, ლალი და მისთანა ქვები ZAB.

ძოწი, ამარტა, ბროლი, ლაევარდი, ქარვა და მისთანა ქვები, ხოლო სპეკალი — აღმასი, იაგუნდი, ლალი და მისთანანი Cb. (1 ნეშტ.⁴) რჩეული ქვაო, (+ გასინჯე Ca) Caq. ნ. ქვა.

აღრევა (+ 2 ეზრა 13, 3 ZA) არევა ZABC.

აღრვითმა ნ. აღრვთმა.

აღრვითმვა ნ. აღრვთმა.

აღრიბადრი საღვრიტის მწვად(ა) ZABC.

აღრინტალი (უქმ.) გვერდობ(ა)ში ღელე-ღულე ZAA.

(უქმ.) გვერდობაში ღელე-ღულე AbB. (უქმ.) ღელე-ღულე გვერდობაში Cap. (უქმ.) ღელე-ღულე Cb. ნ. ღირღალი.

აღროსტი (ბალ.) (+ 2 ეფერემ⁵ ZAA) ჭანვა ბალახი ZABC.

აღრვთმა (აღრვითმა ZAA, აღრვითმვა AbBC) 34 კავშ⁶ „ხოლო ოდეს უსხეულოთ (უსხეულოდ ZABCab) ზედ გესმას ვნება აღრვითმ(ვ)აჲ და წესსა შორის“ ZABC.

[აღრჩევა ნ. წინააღრჩევა].

აღრჩუნვა (3 მეფე 6, 15) კედელს შიგნით ილეკროთ(ა) ანუ ფიცრით(ა) ამოაგო და შე(კ)მოსო; აღრჩუნვა აღ ითქმის წყალთაგან ხორგის შეყრაცა ZA.

კედელს შიგნით ილეკროთ ანუ ფიცრით ამოაგო და შემოსო; წყალთაგან ხორგის შეყრაც აღრჩუნვა აღ ითქმის B. აღრჩუნვა არს შიგ-

¹ იხ. ნემესიოსის წიგნი „ბუნებისათვის კაცისა“ (გვ. 115, 10—11), წყაროშია: „აღმურკუნელის სახედ“. ² წყაროშია: „აღმღრეული“, „აღმღრეველი“. ³ შეცთომით არის „მიერ“. ⁴ შღრ. A—51, I ნეშტ. 29, 2. ⁵ შღრ. A—154, 189 r. a. ⁶ აღებულია იოანე პეტრიწის თარგმანებიდან (წიგნი II გვ. 86, 27—28).

ნით კედელი ფიცრით ამოაგოს მიყრდნობით, ანუ წყალთა მიერ ხორგის კიდეთა შეყრასა Cab. აღრჩუნვად უწოდენ შიგნით კედელი ფიცრით ამოგებასა მიყრდნობით, ანუ წყალთა მიერ ხორგის კიდეთა შეყრასა Cq.

აღსა[ა]რება (+ 2 სჯულ. 12, 17 ZA) (+ ესე B) არს ყოველთა სიტყვათა, რომელთა წარმოიტყოდეს კაცი საქმეთა თვისთა ცხოვრებისათა კეთილთა, გინა ბოროტთა ZAB.

აღსარება არს ყოველივე სიტყვა, რომელთა წარმოიტყოდეს კაცი საქმეთა თვისთა ცხო(ვ)რებისათა, კეთილთა გინა ბოროტთა C.

ნ. მეაღსარებე, მოაღსარებე, სააღსარებე, სააღსარებო.

აღსარებადი (აღსარებადი A) სააღსარებო AB.

აღსაბურველებულ (22, 14 ესაია) საბურველ აქილ ZAA.

აღსავალი (+ ხარისხი. აღსავალი B; აღსავალი Cb) კიბე და ხარისხი და ყოველივე ზეით სავალი აღსავალი არს. (+ ხოლო ZA) კი ბე არს წვლილის ხით დანდალოანი აღსავალი. ხ ა რ ი ს ხ ი არს ქვითა და კირით (ქვით-კირით ABCb) შეკიბულივით სხვადასხვა აღსავალი; მ ე ქ ო ნ ო თ ი არს ტაძართა და ეკლესიათა (ეკლესიის BCb) კართა ხარისხულად აღსავალი; ს ხ უ ნ ი არს ფიცართა და ძელთაგან ხარისხული აღსავალი, გინა გვერდობა ბაქან-ბაქანად (ბაქან-ბაქანად BCb) ქმნილი; მ ე ნ ა კ ი

არს ცის-მზომელობათა ხარისხი, გინა კურთხევათა და უფროს-უმცროსობითა (უფროს-უმცროსობათა AbBCb) ხარისხი; კ ვ ა რ ც ხ ზ ბ ე კ ი არს საყდართა მჯდომარის(ა) ფერკთა (ფერკის BCb) სადგ(ო)მელი ხარისხი ZABCb.

აღსარებადი ნ. აღსაარებადი.

აღსართულება სართულის აღძრცვა (აღძრცვა A) AB.

აღსარული (+ 18, 7 იერემ. Aa) ბოლოს მოღება ABC.

აღსაპოცელი Aa.

აღსიტყული (კათილორ.) სიტყვა ნათქვამი კელოვნებითა Ai.

აღსრულება ბოლოს გათაეება AB.

აღტვფრულობა (აღტიფრულობა ACab) აღმოტიფრავე AB. აღმობრწყინვებულებასავით Cb. განუმარტავია Ca.

აღტყველვა ნ. აღტყუელვა.

აღტყინება (5, 24 ესაია) ძლიერ აღგზება Aa.

აღტყუელვა¹ ზე ორთა(ვე) კელთა შეშოკრება AB.

აღუყვიდენ 19, 3 იერემ. Z.

აღუჩნდა აუჩნდა ZAB.

აღვრედი (აღვირედი ZA, აღვარედნი BC) (3 ეზრა 3,6) ოქროს ლაგამი ZABC.

ნ. რახტი.

აღვრი² (+ 30, 11 იობ ZA)

უგრგოლო ლაგამი ZAB.

განუმარტავია C.

ნ. აღვრედი, აყაფი.

აღფუვნება (1 კორინთ. 5, 6)

ცომის გაფუება ZA.

ცომთ გაფუება B. გაფუება ცომთა Cab. გაფუ(ვ)ება CqD.

¹ ნუსხებში: „აღტყველვა“. ² ნუსხებში: „აღვირი“.

აღმენებული (2 კორინთ. 5, 11)
აშენებული Z.

აღცრა (+ 22, 31 ლუკა ZA)
ფქვილის გაცრა ZAB.
აცრა Cab.

აღცხენოსნება (+ 23, 6 ეზეკ.
ZAA) ცხენზე(დ) შეჯდომა ZAB.

აღცხენოსნებულნი ცხენზე(დ) შემსხ-
დარნი Cab.

აღძრვა შეთქმით შეყრა ZAB.

აღწბა (+ 3 მეფე 18, 38 ZAA)
ათქლევა ZAB.
ათქლივა CD.

აღწერა (+ 2, 1 ლუკა ZA) და-
წერა ZAB.

აღწერილი დაწერილი Z.

აღჭრა (+ 1, 22 ტობია) დაჭრა
ZAB.

აღხილვა (3 მეფე 20, 26) აღლუ-
მი ZAA.

აღლუმი (+ 3 ეზრა 8, 43 Ab)
AbBCqD. აღლუმი. აღხილვა და
აღლუმი არიან, რა ლაშქრისა
უფალმან თითო-თითო განიხილოს
მოლაშქრე თვისი და შეიგნას რიცხ-
ვი და ვინა კეთილ-ჭურვილი, ვინა
მოისარი, ვინა ოროლოსანი და
სხვით მებრძოლი ვინ(ა) Cab.

აღხილვა თვალის ჩენა Z.

თვალთ ჩენა A.

აღმოცა აღმოკოცა CD.

აღკანება დავიწყებისა მიერ უჩინო
ქმნილისა კსენებისა კვალად განახ-
ლება B.

აღქუარდულეებით (+ 31, 28 იე-
რემ. ZAA) გამოგლეჯით ZAB.
გამოსლეთ, გინა გამოგლეჯით Cab.

აუალო ესე არს მიწა სააონთ
მსგავსი, მწიკვლთა გამრეცხე-

ლი Z

მიწის სააონი A.

აუარი სხვენი(ს) ლატანი, გინა სა-
კიდრისა ZAB.

საკიდრის ხე, გინა სხვენისა Cab.
საკიდრის ხე CqD.

აუაფი ხის აღვირი ZABCD.

აუაუვა (აუაუვა Z) უშვერად
აგრძელება ZA.

განუშარტავია B.

აუაუული უშვერად აგრძელებუ-
ლი Z.

უშვერად მაღალი AB.

[აუვანა ნ. აღება].

აუინჩული უშვერად ყელ-აზეუ-
ლი Z.

ყელ-აზეული ABCD.

აუირო (ბალ.) (+ ესეცა Z) საჰ-
გვარი არიან (არს A): აუირო,
გოგრა და ხაპი. აუირო არს
ქერქ-ზრქელი მსგავსი საწდისა,
ვიეთნი კვახად სახელ-სდე-
ბენ; გოგრა(ა) არს ქერქ-
თხელი და მხლად საჰმელი; ხა-
პი არს აუიროს მსგავსი (გვარი
A) და უყელო, (+ გლეხნი Z)
სასმისად იქმენ, რომელ არს
კო ში. ესენიცა მრავალ-როგ-
ნი არიან (+ 4, 6 იონა Z) ZA.

(ბალ.) ესე ნაყოფი სამგვარი არს:

აუირო, გოგრა და ხაპი. აუირო
არს ქერქ-ზრქელი მსგავსი საწდისა,
ვიეთნი კვახად უწოდენ; გოგრა
არს ქერქ-თხელი და მხლად საჰმე-
ლი; ხაპი არს გვარი აუიროსი და
უყელო, სასმისად იქმენ, რომელ არს
კო ში. და ესენიცა მრავალრიგნი
არიან B. (ბალ.) CD.

აუივი Cab.

აყლაყუდა ცხოელი უშვერად მა-
ლალი Z.

აყაყული AB. უშნოდ მაღალი Cab.

აყოლა თან(ა) დევნა ZABC.

განუმარტავია D.

აყრა მოსახლეობით სხვაგან წას-
ლევა თვისით ნებითა და მუნ და-
სახლდეს; წ დ ო ლ ა და უ რ უ ნ-
ვ ა (ნაომ 2, 10) განშიშვლე-
ბულთ განსხმა და წარქცევა;
ხოლო წ ა რ ტ ყ ვ ე ნ ვ ა იავარ-
ყოფა და ტყვედ წარყვანება Z.¹

მოსახლეობით სხვაგან წასვლა² A.

მოსახლეობით წაიყვანოს სხვაგან² B.

გასხვაგან(ა)ება C. განუმარტავია D.

ნ. წლოლა.

აყრდენა აყუდება ZAB.

აყუავება ყვაილის მოსხმა ZAB.

აყუანა სულიერთ აღება, გინა
მალლა ატანა ZAB.

ნ. აღება.

აყუანილი სულიერი აქმული Z.

აყუენვიოს (აყუჭნიოს Cq) (7, 20
ესაია) თმა მოკპარსოს ZAB.

მოკპრიკოს თმანი Cab. აკპრი-

კოს Cq.

[აშა ნ. ვარძმი].

აშავერი ბაყვი ABCD.

აშარული ლერწმის კალათა ZAB.

ლერწმის კალათი CD.

აშენება შენობის ქ(მ)ნა, გინა გამ-
დიდრება ZA.

აშიკი (აშიყი და აშიკი Cab; აში-
ყი, აშიკი Cq; აშიყი D) (+ ვეფ-
ხის-ტყ.³ Z) ა შ ი ყ ი არაბულია,
ტ რ ფ ი ა ლ ს (ა) ჰქვიან ZA.

(უქმ.) აშიყი. ა შ ი ყ ი არაბულია,
ქართულად ტ რ ფ ი ა ლ ს ჰქვიან B.
ა შ ი ყ ი არაბთ(ა) ენაა (ენა არს
CqD), ქართულად ტ რ ფ ი ა ლ ი
ეწოდებიან (ეწოდების D) CD.

აშიკობა (ვეფხის-ტყ.) ტრფიალე-
ბა Z.

აშიყი; აშიყი, აშიკი; აშიყი და
აშიკი ნ. აშიკი.

აშიკი ილეკროს ძაფი, რომელსა
თურქნი მ ა ვ თ უ ლ ს ა უწო-
დენ Z.

ილეკროს (ელეკროს B) ძაფი AB.

მატყლის ძაფი CD.

ნ. ძაფი.

აშკმა პირის დაღება ZAA.

პირის დაღრენა AbBC. დაღრენა
პირისა D.

შდრ. აღმტკბო.

აშლა არევა ZAB.

აშლილი არეული ZA.

აშლილობა არეულობა ZAB.

აშრიალი საქორე ბადე Z.

ქორის ბადე ABCD.

ნ. ბადე.

აშურვება შურის აღება ZAB.

აშფაშაქი რბევით საგნის ისრის
სროლა ZA.

რბევით საგანთ ისრის სრევა B.

რბევით ისრის სრევა საგანთა C.

განუმარტავია D.

აჩაჩა ულლის კარის საკნველი
ZAB.

ოქოქა. ულლის კარით საკნველი

Cab. ოქოქა CqD.

ნ. ერქუანი.

აჩემება საკეთილოდ თუ სააოდ
ერთზე დაყინება ZA.

საკეთილოდ თუ საავო ერთზედ

¹ კიდევბა: „წლოლა აქ აყრასთან დაწერე“. ² დამატებულია ნუსხებში: „წდო-
ლა აქ დაწერე“. ³ შდრ. ვეფხის-ტყაოსანი, სტროფი 372, 4 („აშიკობა“).

დაეინება B. საკეთოდ, გინა ხააოდ
იყოს ერთზე მარადის Cab.

განუმარტავია CqD.

აჩემებული ერთზე დაეინებუ-
ლი Z.

აჩი ვირის შერისხვა და ჯორისა Z.
ვირის შერისხვა AB.

აჩივლა ჩივილი ათქმევიანა ZAB.

აჩოყება უქამოდ მხალთ აღერე-
ბა ZABCab.

უქამოდ აღერება CqD.

აჩრდილი (+ 4 მეფ. 20, 9 ZA)
ჩრდილი ZABCD.

აჩუ ცხენთ შერისხვა ZBCab.

ცხენის შერისხვა ACqD.

აჩქარდა სიჩქარე იწყო Z.

ჩქარობა იწყო A.

აჩქარება სიჩქარე Z.

ასწრაფებხასავით A. განუმარტავია B.

აჩხაბერი ზუჩი პირ დევის სახე
ZAB.

ესე (აჩხაბერი Cq) არს ზუჩის პი-
რი მსგავსი დევისა CD.

აჩხოვრა ურიგოდ წყობა რისა-
მე Z.

ურიგოდ დაწყობა რისამე A. ური-
გოდ დაწყობა რისაც B. ურიგოდ
წყობა C. განუმარტავია D.

აც ნაკვეთი აძეს ZA.

აძეს ნაკვეთი B. აძეს C. განუმარ-
ტავია D.

ნ. აცს.

აცა დაიცადებს ნაკლები Z.

დაიცადე AB. დაცადება C. განუ-
მარტავია D.

აცადე (2 მეფ. 13, 25) დაიცადე
ZA.

აცადებდა დააცლიდა Z.

აცაღე დააცაღე ZB.

დააცადე A. განუმარტავია Cb.

აცვეს ნ. აცუვეს.

აცმა ზედ ჩამოცმა ZABC.

განუმარტავია D.

აცნობა ცნობა უყო, გინა შეა-
ტყობინა Z.

შეატყობინა AB.

აცოდვა¹ (2 ნეშტ. 21, 11) ცოდვა
აქნევიანა ZAA.

აცოდინა შეატყობინა Z.

აცოდნა ნ. აცოდვა.

აცორდა შეღმა შეგლინდა ZA.

აცორკება შეღმა შეგლინებდა Z.

შეღმა შეგლნა AB.

აცრა დასერვა, გინა აღცრა ZAB.

აღცრა. აცრა ითქმის დასერვი-

სათვის, ხოლო აღცრა ფშვილთ

გაცრისათვის Cab. აღცრა Cq.

განუმარტავია D.

აცს ზედ აძეს Z.

ნ. აც.

აცუდოს 1 კორინთ. 9, 16 Z.

აცუფეს² (+ 23, 33 ლუკა ZAA)

მიიკრეს ZABC.

განუმარტავია D.

აცხოზს ათრთობს Z.

აცხოვნა (+ 27, 42 მათე ZAA)

ცხოვნება მისცა ZAB.

აძალდა ძალი მიიცა ZAB.

აძგერა შეატაკა ZA.

აძღუვდა მისცემდა ZA.

აძღუვებს მიმცემელობს ZABCab.

განუმარტავია CqD.

აძმო ძმად შეჰყარა ZAB.

აძნელებს ძნელად ჰქდის ZAB
Cab.

აძოვა ძოვნა აქნევიანა Z.

აძოვებს ძოვნან უყოფს Z.

¹ ნუსხებშია: „აცოდნა“. ² ნუსხებშია: „აცუფეს“.

აძრწოლებდა ძრწოლა შეადგა ZA.

აძრწოლებს ძრწოლას უყოფს Z.

აწ (+ 2, 29 ლუკა ZAA) აპასავით ZABC.

განუმარტავია D.

ნ. უაწ.

აწა იგივე და მეტი ZA.

აწამა ამოწმა ZAB.

აწამა მარტვილად (მარტვირად AB) შექმნა ZAB.

აწამებდა ამოწმებდა Z.

აწამებდა მოწამედ გაქდიდა Z.

აწ ბოლბოლ (+ ძველს საწინა-წარმეტყველოში Z) ამისთვის, მეძაო ZABC.

ნ. ბოლბოლ.

აწე აწსავით და მეტი Z.

აწსავით (+ 2 ეზრა, 13, 27¹ Ab) A.

აწვესავით B.

აწვეა აღმა ძვილ ა(ლ)სლვა (+ გინა აზევა B) ZAB.

აწვეა (აწვეს Z) მძიმის ზე აზევა ZA.

აწერა აღწერა Z.

აწვე (2 მეფე 1, 15) ახლავე Z.

აწსავით (2 მეფე 1, 15) A.

[აწი ნ. აპა].

აწონა წონის ქნა ZAB.

აწონილი წონა-ნაქმარი ZA.

აწურა მოუჭირასავით ZA.

აწურვა იგივე ZA.

მოჭირებასავით BC. განუმარტავია D.

აწვევა² საწყეოს შეტყობა ZAB.

აწყუედა მოსრვა ZA.

მოსვრა B.

აწყუედა თოკის გახეთქა ZA.

აწყუედილი წყვედა-ქმნილი ZA.

აწყული (აწყვა-ქმნილი ZA.

აქამა Z.

აქენა აყედრა Cb.

აქიმვა მალლა გაჭიმვა Z.

აქიმი ცხენის პირს მოსკენილა თოკი ZABCD.

შდრ. გელპირი.

აქიმული აღმა გაჭიმული Z.

აქინარი ფეტვის მჭველულთ ჩამოსაკიდარი Z.

ფეტვის (ფეტვთ B) ჩამოსაკიდარი AB. ბარული. ფეტვი მრავალ-კიდებული Cab. ბარული Cq.

აქინტვა ჭინტვა აქნევიანა Z.

აქინტული Z.

აქიჭენილი ნაწერი მიყრილი ავად Z.

ნაწერი მიყრილი AB. ნაწერი ზედა-ზედ მიყრილი Cab. ნაწერი ზედ მიყრილი Cq. განუმარტავია D.

აქორტვე ჭორტი დადგი(ო) ZAB Cab.

აქრა აკვეთა Z.

აკვეთა, გინა მოსვრა AB. აკვეთა Cab. განუმარტავია CqD.

აქრა მახვილით დაჯოცა მრავალთა Z.

აქრაჭუჭი (ბალ.) ერთი ცერცვივით არის Z.

(ბალ.) ერთი ცერცვია A. (ბალ.) ცერცვია B.

ახა ცული ქმა რამეა Z.

(უქმ.) რა(ა)მეა ცული ABCab.

(უქმ.) Cq. განუმარტავია D.

ახალი (+ 5, 7 ესაია ZAA) აწ ქმნილი ZAB.

¹ Ab ნუსხაშია: „2 ეზრა 13,27 და 31“. ² ნუსხებშია: „აწყუა“.

განუმარტავია CD.

ნ. ახლად, განახლება, საახლოდ, სიახლე 2.

ახალნერგი ახალი დარგული Z.

ახალწლისა სეკდემბერი ZAB-CqD.

სეკდემბერი Cab.

ნ. თთუე; შდრ. შემოდგომა.

ახარა ხარება მიართვა ZAB.

ახებს (+ კავშ. [14] Z¹) შეახებს ZAB.

ახედვა მალლა ამზერა ZAB.

ახეწა ქარისაგან აფხეკა ZABCD.

ახეწილი აფხეკილი Z.

ახვედრა ნ. ახუედრა.

ახვეწა ნ. ახუეწა.

ახვნა ნ. ახუნა.

ახიოს (+ ვეფხის-ტყ.² Z) სულისკეთის ოხრა ZABCb.

განუმარტავია CaqD.

ნ. სულის-კუეთა.

ახიოს ზე შეხვევა უყოს Z.

გახევა უყოს A.

ახლა აწვესავით ZA.

აწვე B.

ახლად ახალ-ყოფით ZAB.

ახლავ ახლად, აწვე Z.

ახლო არა შორს ZAB.

განუმარტავია CD.

ნ. ახს, მაახლო, მაახლოვა, მახლობელი, მოახლე, მოახლებულ არს, მუახლე, მუახლებული, სიახლე 1, სიახლოვე; შდრ. წლება 1.

ახლოს იგივე ახლო ZAB.

[ახმა ნ. აღება].

ახო საყანური გაკაფული Z.

საყანური ვანაკაფი AB. ტყე-ვანყენებული CD.

ახოვანი (2 მეფე 1, 6) ტანად დიდი და ძლიერი ZA.

ტან-დიდი და ძლიერი B. ტანოვანი Cab. ტან-დიდი Cq. ტანუანი D.

ახოვნება ტან-დიდ ძლიერება Z.

ახორი ქართული არ არის, ბაგას ჰქვიან ZA.

(უქმ.) ცხენის ბაგა B. ცხენის ბაგა Cab. ბაგა CqD.

ახოსალარი მეჯორე ZABCD.

ახრევდენ კელს იქნევდენ Z.

ახრევენ კელს იქნევენ ZAB.

კელს უგვანად იქნევენ Cab.

ახრევს კელს იქნევს ZAB.

ახს (84, [10] ფსალმ.) ახლო, მოკლედ Z.

(+ 84, [10] ფსალმ. Aa). ახლოა AB. ახლოს CD.

ახსოვნდა ნ. აქსოვნდა.

ახსოვნს ნ. აქსოვს.

ახსოვს ნ. აქსოვს.

ახტა (+ 2 ნეშტ. 9, 15 ZA) ცხენი და ვირი მამალი ZAB.

(ოთხფ.) ცხენი მამალი Cab. ცხენი მამალი CqD.

ნ. ცხენი.

[ახტა-კაკობა ნ. ცხენი].

[ახტა-კრდლობა ნ. ცხენი].

ახუედრა³ ხვედრი მისცა ZAB.

ახუეწა⁴ მრავალგზის შემოიხვეწა Z.

ავედრასავით A. ავედრა B.

[ახუნა⁵ ატანა⁵B].

¹ იოანე პეტრიწის თარგმანება (წიგ. II, გვ. 48,9). ² შდრ. ვეფხის-ტყაოსანი, სტროფი 711,4 („ახი ოს“). ³ ნუსხებშია: „ახუედრა“. ⁴ ნუსხებშია: „ახუეწა“. ⁵ ნუსხაშია: „ახუნა“ (უნდა იყოს: „ახუნა“).

ახურამაგი თოფრა არის დაწნულა
ZA.

ქართ პირთა ამოსდებენ კალთა,
რათა ძნა ვერ კამონ და აღმოიციხ-
ნოს B. ახურამაგს(ა) უწოდენ ქართა
პირსა (პირთა CqD) შესაყრეთა კა-
ლთა ზედა, რომელთა არცა (არა D)
ძნა კამონ და აღმოიციხნონ(ყე)
(აღმოიციხნიდენცა D) CD.

ახუროვნა ხურობა აქნევიანა Z.

აქლა ჩამოფარებულის აყეცა Z.
ჩამოფარებულის აღება ABCab.
განუმარტავია CqD.

აქდენა სიზმართ გამოცხადება Z.

აქდილი ჩამოფარებული აღებუ-
ლი Z.

აქდომა მალლა შესევა Z.

მალლა შევლა, გინა სიზმრის გამო-
ჩენა A.

აქირება საჩივარში მოდავეს ასე-
თი რამ უთხრას, თვისი საჩივარი
გაუცუდოს (დაავიწყოს A) ZA.

ესე არს საჩივართა შინა მოდავეს
ასეთი რამ უთხრას, თვისი საჩივარი
დაავიწყოს B. აქირება(დ) ითქმის
სიტყვა, რომელსა მოჩივარ(ი)ნი იტყ-
ვიან მოდავისა თვისისა წინააღმდე-
გად CD.

აქირებული მოდავისგან გასაცრუ-
ებელი Z.

აქოცა აპქოცა, მოქოცა, გინა მო-
წმედა Z.

მოქოცა, გინა მოწმედა AB.

აქსნა გამოთარგმანება ZABCD.

აქსნა დაბმულის აშვება Z.

აქსოვნდა¹ არ დავიწყებოდა Z.

აქსოვს (ახსოვნს Z, ახსოვს AB)
არ დავიწყებია ZAB.

აჯა (+ 1 მეფეთი 22, 4 ZAa)
ვედრებასავით ZABC.

განუმარტავია D.

ნ. ეაჯა, იაჯა, იაჯდა, მიაჯა,
მიაჯა, ნააჯევი, სააჯო.

აჯაფთა (აჯაფთათა Z, აჯაბთა CqD)
დარეჯანიანში² მოუყვანიათ,
არაბთა ენაი არს (ენაა A), ს ა
კ ვ ი რ ვ ე ლ ს ჰქვიან ZA.

დარეჯანიანში მოუყვანიათ, არაბთა
ენაა, ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ თ ა B. (უქმ.)
საკვირველთა. დარეჯანიანში მოუყ-
ვანიათ აჯაფთა, არაბთა ენაა Cab.
(უქმ.) საკვირველი. დარეჯანიანში
მოუყვანიათ აჯაბთა, არაბთა ენაა Cq.
საკვირველი. ეს მიყვირს, დარეჯა-
ნიანში უთქვამს, აჯაფთი არაბთა
ენაა D.

აჯეჯი მეღნის ჩლა ZABCD.

[აჯი ნ. აჯის მშუღლი, აჯის ტახტი].

აჯილა საქორწილე ტახტი Z.

საქორწილო ტახტი ABCD.

აჯილდა ცხენის კურატი ZAB.

(ოთხფ.) ცხენის კურატი Cab.
ცხენთ კურატი Cq. ცხენთა კურო D.
ნ. ცხენი.

აჯის მშუღლი (აჯის მშვილდი
ZAbBCab) როსტომიანში მოუ-
ყვანიათ, ფალაურის ენით რ ქ ი ს
მ შ ვ ი ლ დ ი Z.

რქის მშვილდი A. არაბულს
მშვილდს იტყვის B. არაბულს იტყვის
Cab.

აჯის ტახტი ისრევე ფალაურის
ენით პილოს ძელის ტახტი Z.

პილოს ძვალის ტახტი A. პილოს
ძელის ტახტს იტყვის B. (+ აჯი Cb)
პილოს ძვალს ჰქვიან სპარსუ-
ლად (+ როსტომიანში³ Ca) Cab.

¹ ნუსხებშია: „ახსოვნდა“. ² შდრ. ამირან-დარეჯანიანი, ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი
ლ ი ჯ გამოც., გვ. 53,24 („აჯაბთა“). ³ Ca-ში ეს წყარო გადახაზულია, შდრ. შაჰ-
ნამეს ქართული ვერსიები, II წიგნი, სტროფი 3176).

აჭილა ქალთ მოსაფარებელი ზე-
წარი (+ თეთრი Z) (+ ვეფხის-
ტყაოს.¹ Z) ZA.

ზეწარი ქალთ მოსაფარი B. წამო-
სასხამი (წამოსასხმელი Ca) ზეწა-
რი CD.

ნ. ზეწარი.

აჭობა მოერია ZAB.

აჭობებს მოერევის Z.

მოერევა AB.

აჭობინა მოირივა ZA.

აჭა (3 მეფე 18, 44) აგერსავით
(აგრესავით Aa), ვითარცა მ ყ ი ს
და ა წ ი ZA.

აგერსავით. აჭა და მყის და
ა წ ი ყველა ერთია B. აჭა და მყის
არცა ერთი პირველი და არცა შემ-
დგომი CD.

ნ. ანაზღი.

აჭკდა აღვიდა ZABCD.

აჭკოცა ამოკოცა Z.

განუმარტავია Aa.

აჭსნა აქსნა A².

ბ

ბანი არც თავია, არც ბოლოდ მო-
ვალს სხვათა სიტყვათა ზედა,
არც კმინანი არს, არც ართრონა,
ოდენ ბ ა არს: მოაბა, ჩააბა, გაა-
ბა და ეგევითარნი; სხვათა ნაქ-
მართა ზედა აგრევე ბ ი: მოაბი,
ჩააბი, გააბი, წააბი და ეგევი-
თარნი Z.

ბანი არც თავად მოვა, არც ბო-
ლოდ, არც კმინანი (+ ბ ა არს არ-

თრონი: მოაბა, ჩააბა, გააბა და ეგე-
ვითარნი; სხვათა ნაქმართა ზედა აგ-
რევე ბ ი: მოაბი, ჩააბი, გააბი და
ეგევითარნი Aa) A.

[ბ ნ. ააბი, აბს, აუბა, ბმა, გააბა,
დააბა, დაბმა, დასაბამი, დასაბ-
მელი, ვება, ვები, ვებმი, კრეტ-
საბმელი, მიიბა, მობმა, მოიბა,
მუაბა 2, ნაბამი, პირბმული,
საბელი, ყელსაბამი, შებმა, კელ-
საბამი].

ბა ბაია, თვალის შავი ZABCD.

[ბაბა ნ. დათეს-ბაბა].

ბაბაგა ნ. ბაგა 1.

ბაბანი სიცივის აყოლის კმა ZAB.

სიცივის აყოლის კმინაობა Cab. სი-
ცივის აყოლა CqD.

ბაბანიკი (მ)წეროსაგან (მ)წეროს
მოწოდება ZABCD.

ბაბაჭუა (მძრომ.) დედაზარდლი
ZAB.

ბაბილო (ხე) (79, 11 ფსალმ.) მა-
ღალი ვენაქი Z.

(ხე) (+ 79, 11 ფსალმ. Aa) მაღა-
ლი ვაზი AB. (ხე) ხის ვენაქი, გინა
გრძელი ვაზი Cab. (ხე) ღობილო,
ზეზე ვენაქი CqD.

ბაბრაბი (+ როსტომ³. ZAa) ბაბ-
რის ტყავი ZABC.

განუმარტავია D.

ბაბრი (ოთხფ.) სხვათა ენაა, ქარ-
თულად ჭ ი ქ ი ჰქეია(ნ) ZA.

(ოთხფ.) სპარსთ ენაა, ქართულად
ჭ ი ქ ი ჰქეიან B. (ოთხფ.) ჭიქი CD.
ნ. ჭიქი.

¹ შდრ. ვეფხის-ტყაოსანი, სტროფი 1176, 4. ² აქ შენიშვნაა ავტორისა: „რომე-
ლსაცა სახელსა ჩიტის თვალის ნიშანი უზის, იგი სახელებია კაცთა, ქვეყანათა და ქა-
ლაქთა, — ებრაელთა, ქალდეველთა და ელენთა ენათა მიერ თარგმნილი. ანის ფურ-
ცელი კბ (22)“ Ca; „რომელსაცა სახელსა წითლით ჩიტის თვალი უზის, სახელებია
კაცთა და ქვეყანათა, — ებრაელთა, ქალდეველთა და ელენთა ენათა მიერ თარგმა-
ნებული“. Cq. ³ შდრ. შაჰნამეს ქართული ვერსიები, II წიგნი, სტროფი 3225 და
ლე 3827 ა.

ბაბუსაგაძალა (ბალ.) ZABC.

(ხე) D.

 ნ. აათრთოლე, ათრთობს,

ძრწოლა.
 თრთვლი (თრთვილი BCDE) (3,
 70 დანიელ) თოვლთან ნახე ZA.
 ახალი ცვართ შეთოვება B. გან-
 მარტავია CDE.
 თრია (ოთხფ.) ZABCDE.
 თრითინა (ოთხფ.) ZABCDE.
 შდრ. სინჯაბი.
 თრიმლი (ხე) ZABCDE.
 თრინგო (თრინგოლ ZAB) ელ-
 (ლ)ენტა ენაა, ქართულად
 გისსო (ნ)ი ჰქვიან ZAB.
 გისსოა, ზღუდა სამი წყრთა სი-
 მალე E.
 ნ. გისსოი.
 თრისა (თევზ.) შაჰში ZAa.
 (თევზ.) AbBCDE.
 [თრობა ნ. თვერ].
 თროილი და ელვილი (+ 41, 8
 ეზეკ. ZA) ერდო, გინა სართუ-
 ლები ZAB.
 ერდო, გინა სართული Cab.
 ნ. ელვილი.
 თრუნჯი (ხე) თურინჯი ZAB.
 ნ. თურინჯი.
 თუ (+ 15, 14 მათე ZAa) საეკვი
 სიტყვა(ა) ZAB.
 განუმარტავია CDE.
 ნ. თუარა, სათუო.
 [თუალ ნ. ვთუალავ, თუალვა,
 მუზნური თუალვა, მითუალვა
 2, მითუალა, სათუალავი, უთუ-
 ალა 3, უთუალავი].
 [თუალ ნ. უთუალა 1, უთუალიდა,
 შეთუალა, შემოთუალა, შეუ-
 თუალა].
 თუალ-ავნა თვალით გაუაშიყდა
 ZA.
 თვალთ გაუაშიყდა BCab..
 თუალადი კარგ სახილავი ZAB.

თუალვა (თვლა ZABDE, თულა C) აღრიცხვა ZAB.

რიცხვა C. განუმარტავია DE.

ნ. მუზნური თუალვა, მუათუალე; შდრ. თულ 1.

თუალთ-ღება¹ 6, 6 ეფეს. Z.

თუალი (თვალი DE) (21, 24 გამოსლ.) ესე არს სახედველი კხოელთა; ხოლო თვალი ეწოდების ქვათა პატიოსანთა, აგრეთვე თვალად ითქმის ეტლთა და ურემთა გოგორა; თვალად ითქმის წყაროთა გამოსადინებელი (4 მეფ. 2, 21) და მდინარეთა ზღვათა შესართავი და ჯაჭვისა და ბადის(ა) თვალიცა ZA.

თვალი ეწოდება სახედველსა ცხოელისასა; თვალი ეწოდების ქვათა პატიოსანთა; თვალად ითქმის ეტლთა და ურემთ გოგორა; თვალად ითქმის წყაროთ გამოსადინებელი და მდინარეთ ზღვათ შესართავიცა. ჯაჭვის თვალი, ბადის თვალი B. სახედველი, გინა ქვა პატიოსანი Cb. განუმარტავია CaqDE.

ნ. ეტლის-თუალი, მითუალვა 1, საგრძნობელი, სათუალე 1, 2; უთუალა 2, ურმის-თუალნი, შორსათუალე (დურბინ²თანაც).

თუალის-დაჭერა ZAA.

თუალის-მიპყრობა ZAA.

თუალის-მიყრა ZAA.

თუალუხვაი ნ. თუალუხუაი.

თუალუხვაობა ნ. თუალუხუაობა.

თუალუხუაი (თუალუხვაი ABC, თვალუხვაი DE) (2 კორინთ.

13, 10) ესე არს თვისთა, მოყვა-

რეთა ანუ კეთილ-ქმნულთა არაღლიქნით პატივ-სცემდეს (პატივ-სცეს A), არამედ კეთილ-მოქმედთა ZA.

(2 კორინ. 13, 10) თვალუხუაობა არს თვისთა და მოყვარეთა, არცა კეთილ-ქმნულთა, არა პატივ-სცემდეს, არამედ კეთილთა მოქმედთა B. ¹პირ-მიუფერებელით Ca¹. პირ-მიუფერებელსავით Cb. განუმარტავია CqD. პირს-მიუფერებელი E.

თუალუხუაობა (თუალუხვაობა Aa) ZAA.

თუალღება (იგავ. 18, 5) პირის შენახვასავით Cb.

თუალღებული (თვალღებული DE) (6, 9 ეფესელ.) ესე არს თვალუხვაეთა წინააღმდეგი (წინააღმდეგობი B) ZAB.

პირის მოწონება C. განუმარტავია D. მიმუფერებელი E.

თუალშავა (თვალშავა DE) (ფრინ.) ZABCDE.

[**თუალწითელი** (თევზ.)¹ D.

თუალჭრელი მაჩხი ZA.

თუალხმა (2 შჯულ. 16, 19) თვალით მოწონება ZAA.

თუალხმიერად² Z.

თუალხმიერი (თვალხმიერი D) თვალით საცხადო ZABCab.

თვალით საცხადო, გინა თვალსაჩინო Cq. განუმარტავია D.

თუარა (თვარა ZAB, თვარამ CDE) დაქადების სიტყვა(ა) ZA. განუმარტავია BDE. უკეთუ არა ZABC.

თუარამ (+ 30, 1 დაბად. Ab)¹ იგივე თუარა ZAB.

თუე (თვე DE) თთვე ZAB.

¹ ნუსხაშია: „თვალთ-ღება“. ² ნუსხაშია: „თვალხმიერად“.

განუმარტავია CDE.

ნ. თთუე.

[თუვი ნ. შხერო].

•თუთა (ბე) უოლა, ტუტა —
სამიე ერთია ZA.

(უქმ.) სხვათა ენაა, ქართულად
უოლა ჰქვიან და ხართუთას—ტუ-
ტა B. (ბე) თუთა ქართული არ არის,
უოლა ჰქვიან, და ხართუთას —
ტუტა (+ ქართულად Cab) C.
(ბე) თუთა ქართული არ არი, ქართუ-
ლად უოლა ჰქვიან, ხართუთას—
ტუტა D. (ბე, უქმ.) ესე თუთა
ქართული არაა, ქართულად უოლა
ჰქვიან და ხართუთას—ტუტა E.

ნ. ლედუსულელი, ტუტა, ხარ-
თუთა.

•თუთი (ფრინ.) სხვათა ენაა, ქარ-
თულად ზორაყი ჰქვიან
ZAB.

(ფრინ.) ზორაყი C. (ფრინ.) DE.

•თუთია თვალის წამალი(ა) ZAB.
განუმარტავია CDE.

•თუთუბო (ბე) (+ 'ესე იგი სამ-
ყი) Z) ZABCaqDE.

(ფრინ.) Cb.

•თუთქვა მცირედ ხარხვა (?) ერთი მგო-
ნია, მოცხელებასავითა B.

•თუთქი ცხელი ნაცარი(ა) ZABCD.
თორისის გასანელებლად ჩისაყარს
ნაცარს ჰქვიან E.

ნ. გოთუთქვა.

•თუ ითქმის C.

•თუქრთა² (30, 2 ეზეკ.) წყლულე-
ბა. ძველში წყლულების ნაცვ-
ლად თუქრთა სწერია Z.

(30, 2 ეზეკ.) წყლულება სწერია

სხვაში, ორიე ერთია Aa. (30, 2 ეზეკ.)
წყლულეზა სხვაში, ორიე ერთია Ab.
30, 2 ეზეკ.: „არა არს ადგილი
შესახვეველი თუქრთა და, თუ მივი-
დეს BCab³“.

თულა ნ. თულაა.

•თულემა⁴ (+ 1 მეფ. 26, 12 ZA)
ძილით თავის კანტური ZAB.

ჯდომაში ძილის მოსვლა (მისვლა
Cq) C. განუმარტავია DE.

•თულო ფუნდრუკია ერთი ZA.

ფუნდრუკია BD. საფუნდრუკია
CD.

[თუნ ნ. სასთუნალი, სასთუნლით].
თუნი ჭურჭლის გამოსაწვავი(ა)
ZABCD.

ფურნე E.

ნ. საცეცხლე, საკმილი, ფურ-
ნე.

•თურამ⁵ 30, 1 დაბად. ZAa.

•თურგანი მოდიდო თოფი ZABCD.
განუმარტავია E.

•თურე თურმე ZAB.

•თურთ⁶ 8, 32 ჰრომ. Z.

•თური ქორის საჯდომი(ა) ZABC.
ქორის საჯდომელი D. განუმარ-
ტავია E.

•თური სომხურად კ(რ)მალი
ZABCab.

•თურიჩი (ბე) ZABE.

(ბე) თრუნჯი CD.

მღრ. თრუნჯი.

•თურმანი ფარმანი⁷ B.

•თურქული სენია ცხოვართა და
ზროხათა ZAa.

სენა AbBCDE.

¹ ნუსხებშია: „თოთქმის“. ² ამ სიტყვის საწყისი „თუქრი“ უნდა იყოს. ³ მოწ-
მობა Ab-ში გადახაზულია. ⁴ ნუსხებშია: „თულემა“, წყაროში კი — „თლემულემა“.
⁵ წყაროშია: „თურამ“. ⁶ წყაროშია: „მითურთ“. ⁷ ხელნაწერშია: „ფარვანი“.

თურში ქვის საზიდარი მარტილი ZA.

ქვის საზიდარი მარტილივით B. ქვის საზიდავი ხე სათრევ(ელი) C. ქვის საზიდავი ხე D.

თუხტი 33 მიტყ(ა)ლი და ნახევარი ZABCqD.

33 მისხალი და ნახევარია Cab. განუმარტავია E.

ნ. კოდი, ლიტრა, საწყაული.

თვა (თვია BCD) სხვა კათილორ.¹: „ვიტყვი(თ) ჭურჭელთა რომელთაჲ უფერკოთა (უფერკოსა Cb), ვითარ(ცა) თვასა (თვიასა CD) და დვიდექს(სა) (+ და რაოდენი ეგვევითარნი CD), ხოლო ფერკიანთა (ფერკთა CD), საყდართა (+ და ZAB), ცხედართა (ცხედარსა CD) და ეგვევითართა (+ და ცხოველთა CD) ZABCd.

თვთ (თვით BCDE) თვითან ZA.

თვით (თვითება D) არს, რომელი საკუთრად ბუნებათა (ბუნებასა D) შორის იცნობებოდეს (იცნობების D) BD. რომელი საკუთრად ბუნებათა შორის იცნობების C. განუმარტავია E.

თვთბერი (თვითბერი B) თითბერი ZA.

ყვითელი სპილენძი ბუნებით B. ნ. ბრინჯაო.

თვთი (თვითი BCDE) თავით თვისით ZA.

თავის თვისი B. განუმარტავია CD. თვითებაა, რომელი საკუთრად ბუნებასა შორის იცნობების E.

თვთმავალა (თვითმავალა BCDE) (ბალ.) ZABCDE.

თვთო (თვითო BCDE) ერთ-ერთი ZABC.

განუმარტავია DE.

თვნასი (თვინასი BCD) (თევზ.) ZABCD.

თვნიერ (თვინიერ BCDE) (+ 1, 3 იოანე ZA) უმისოდ ZABCd.

განუმარტავია E.

თვრნათენი (თვირათენი B, თვირნათენი CDE) (20 კავშ.) ესე არს ნაკადი შხის(ა) შარავანდელისა საარკმლითა(ა) და არა შინა ZAB.

რომელ არს ესე ვითა ნაკადი შხისა შარავანდელთა საარკმლითა და არა შინა CDE².

ნ. თინათინი.

თვსგან (თვისგან BCDE) მისგანვე ZABC.

განუმარტავია DE.

თვსი (თვისი BCDE) მისივ(ე) ZABCD.

განუმარტავია E.

ნ. განთვსებული, განთვსებული განყოფილება (შემთხვევით თან), განმთვსელი, ითვსა, უთვსობა, შეთვსება; შდრ. თავი.

თვსი (თვისი BCDE) (+ 18, 12¹ ლევიტ. ZAa) დედის ნათესავი ZAB.

ნათესავი დედისა CD. განუმარტავია E.

თქართქარი სიცილში ნახე Z.

მრავალთ სიცილი ABCbDE. მრავალთ სიცილი Ca.

თქაფნი ნოტოს დათხევის კმა(ა) ZAB.

განუმარტავია CDE.

¹ შდრ. A—250, 167v, 15. ² კიდეზე ახლავს საბას შენიშენა: „რაიცა გეუცხოვნენ, კავშირს აბრალეთ“ E.

თქერება ცხენის (ცხენტ ACD) თამაშობა ZACD.

ცხენზე თამაშობა B.

თქეში თქორი, წვიმაში ნახე ZA. თქორი B.

[თქვ ნ. თქმა].

თქვენ ნ. თქუენ.

თქვეფა ნ. თქუეფა.

თქლეფა ძალღათაგან ენით წვნის (წვენთ A) ამოკმა ZA.

ძალღათაგან წნოვანთ ენით ამოკმა B. თქლეფა არს ძალღათა და მკეტათაგან წვენთ ამოკმა ენითა CD. განუმარტავია E.

ნ. ათქლეფა.

თქმა ითქმის სწორს კაცს ეტყოდეს, ხოლო მოკსე ნება უაღრესისადმი და ბრძანება უმცროსისათვის, რამეთუ სამსახე არიან თქმანი Z.

ითქმის რა სწორსა კაცსა ეტყოდეს ვინმე, ხოლო მოკსე ნება უაღრესისადმი და ბრძანება უმცირესისათვის ითქმის, რამეთუ სამსახე არიან თქმანი A. თქმა სწორისა მიმართ, მოკსე ნება უაღრესისადმი და ბრძანება უმცირესათვის ითქმის, რამეთუ სამსახე არიან თქმანი (კიდებუა „საუბარი, ლაპარაკი, ამბავი, თხრობა“) B. თქმა სწორისა მიმართ ითქმის, მოკსე ნება უფროსისა მიმართ და ბრძანება უმცროსისა მიმართ CD. თქმა სწორისა მიმართ, მოკსე ნება უფროსისად და ბრძანება უმცროსისად E.

ნ. ათქუა, აღთქმა, გულის-თქმა (ცალკე, ფიქრთან და წადილთანაც), გული-სათქმელი, ეთქუა, ემეთქუების, ვათქმიე, ვემეთქუები, თქმევა, თქო, თქუა,

იგულმეთქუებენ, ითქუა, ისულ-თქმა, კბილის ქუეშ თქმა, მეთქი, მეთქვ, მთქმელი, ნააღთქმევი, სათქმელი, სულთქმა (სულის კუეთა'სთან), უთქმელი, უთქმი-და, უთქოფ, უთქუამს, უკუთქმა, წართქმა; შდრ. აღორევი.

თქმევა სხვას ათქმიოს (ათქმიო A) ZA.

თქმეინება სხვათა ათქმიოს B.

თქო ოდეს მოციქულსა ანუ დესპანსა სიტყვასა ვაბარებდეთ, თანა ურთავთ: ესრეთ(თ) შემოგითვალა თქო, ესრეთ(თ) უთხარა თქო და მსგავსი ამათი ZA.

ოდეს მოციქულთა ანუ დესპანთა სიტყვათა ვაბარებდეთ, თანა ურთავთ: ესრეთ შემოგითვალა თქო, ასრე მითხრა თქო და მსგავსნი ამათნი B. ოდეს მოციქულსა, ვინა დესპანსა, სიტყვასა ვაბარებდეთ, თანა ურთავთ (ვატანთ D): ასრე შემოგითვალა თქო, ასრე მითხრა თქო, და მსგავსად ამათსა ვიქმევთ (+ თქოსა D) CD.

თქორი (თქორი და თქეში CE, თქორი, თქეში D) მეტად წვრილი (წვლილი AB) წვიმა ZAB.

თქორი და თქეში ღია წვლილნი წვიმანი არიან C. თქორი და თქეში წვლილი წვიმანი არიან დია D. ნელი და წვლილი წვიმა E.

ნ. წკმა.

თქრიალი რა ჯოგი სხვაგნით გაბრუნდეს და გაიქცენ (გაიქცეს B), თქრიალად უწოდენ (უწოდთ B) ZAB.

თქრიალი არს, რა ჯოგი სხვაგნით გაბრუნდეს და გაქანოს CD. განუმარტავია E.

თქრომა (9, 10 იერემ.) მიფრენა
(+ შექიდეზა Z) ZAa.

ნ. მთქრომ, შეთქრომ, შეს-
თქრა.

[თქუ ნ. თქმა].

თქუა (+ 1, 46 ლუკა ZAa) ისი-
ტყვა ZAB.

თქუენ (თქუენ A, თქვენ CqDE)
შენ ერთისათვის ითქმის, ხო-
ლო თქვენ მრავალათვის;
არამედ უაღრესთა რა მოვაქსე-
ნებდეთ, არა ვკადრებთ შენ,
არამედ ვეტყვიოთ თქვენ, რეცა
პატივისათვის; აგრევე ჩვენ.
ხოლო ღმრთა (ღმერთსა Aa) ზე-
და არა ითქმის თქვენ, არამედ
შენ, რამეთუ ერთ არს (+ ღმრთი
Z) ZA.

თქვენ მრავალათვის არს, ხო-
ლო შენ ერთისათვის; არამედ უაღ-
რესთა რა მოვაქსენებდეთ. არა ვკად-
რებთ შენ, არამედ ვეტყვიოთ თქვენ,
რეცა პატივისათვის; აგრევე ჩვენ
B. თქვენ მრავალათვის ითქმის,
ხოლო შენ ერთისათვის CD. განუ-
მარტავია E.

ნ. სათქუენო, უთქუენო.

თქუეფა (თქვეფა ZABCqDE)

კვერცხთა და მისთანათ გაქნა Z.

კვერცხის გაყენება ABCD. განუ-
მარტავია E.

ნ. ალთქუეფა.

თქუენ ნ. თქუენ.

[თქვრ ნ. ათქვრება, დათქვრვა].

[თხ ნ. დამთხე].

თხა (4, 1 ქება) თხათა მამალსა
ვაცი ეწოდების და დედალ-
სა — ნეზვი (ამა თხათა მამალსა
ვაცი და დედალსა
ნეზვი ეწოდების A); და

შვილთა მათთა — თიკანი;
ჩჩვილსა თიკანსა — ბატკი; და
წლამდის თიკანსა — წალი,
რომელსა სომეხნი ჩეფიჩ-
ს (ა) უწოდენ; გამოუყვერავ-
სა — ბოტი და საბოტე წალ-
სა — ვაციკი, — ვიეთნი ქოშ-
სა უწოდენ; წინა მოარულსა
თხასა — ელქაჯი. აგრევე
შველთა (+ და Z) ქურციკთა.
ნიამორთა და არჩეთა ვაცსა,
ნეზვსა და წალსა უწო-
დენ, არამედ თიკანთა მათთა —
ნუკრსა ZA.

(ოთხ.) თხათა მამალსა ვაცი
ეწოდების და დედალსა — ნეზვი;
და შვილთა მათთა — თიკანი;
ჩჩვილთა თიკანთა — ბატკი და
წლის თიკანსა — წალი, რომელსა
სომეხნი ჩევიჩს უწოდენ; გამო-
უყვერავსა — ბოტი, და საბოტე
წალს — ვაციკი, — ვიეთნი ქოშად
სახელ-სდებენ; წინამოარულსა თხა-
სა — ელქაჯი. აგრევე შველთა.
ქურციკთა, ნიამორთა და არჩეთა
ვაცთა, ნეზვსა და წალსა ევე
უწოდენ, არამედ თიკანთა მათთა —
ნუკრსა B. (ოთხ.) თხათა მამალ-
სა ვაცსა უწოდთ და დედალსა —
ნეზვსა; (+ და C) შვილთა მათ-
თა — თიკანთა; ჩჩვილთა (ჩჩვილს
D) თიკანთა (თიკანსა D) ბატკსა;
წლისა ერთისა თიკანსა — წალსა,
(+ რომელსა სომეხნი ჩევიჩს (ა) უწო-
დენ C); გამოუყვერავსა — ბოტსა;
საბოტე წალსა — ვაციკსა, ვიეთნი
ქოშსა უკმობენ; წინარე მოარულ-
სა თხასა — ელქაჯსა. აგრევე
შველთა (გარეთხათა D) და ნიამორთა,
არჩეთა და ქურციკთა ვაცსა და
ნეზვსა და წალსა უწოდთ, არა-
მედ თიკანთა მათთა ნუკრად სა-
ხელ-სდებენ (სახელ-ესდებთ CqD)

CD. (ოხხე) თხასა მამალსა ვა ცი უწოდენ და დედალსა — ნე ზე ი, ხოლო შეილთა მათთა — თ ი კ ა ნ ი; ჩხვილსა — ბ ა ტ კ ს უწოდენ, ნახევარ წლისა — ბ ა ც ი კ ი; წლისა 'ერთისა თიკანსა — წ ა ლ ი, ხოლო გამოუყვერავსა — ქ ი შ ი, ვიეთნი ბოტსა უწოდენ, ე ლ ქ ა ჯ ი — წინარე მოარულსა, ხოლო გარეთხათა, ნიამორთა, არჩეთა და ქურციკთა აგრევე ვ ა ც ს ა, და ნ ე ზ ე ს ა, და წ ა ლ ს ა უქმობენ. არამედ თიკანთა მათთა ნუქრად სხელ-სდებენ E.

ნ. გარეთხა (გერან'თანაც). ვირთხა.

[თხაზ ნ. განსათხველი, თხზვა; თხზული, მთხზველი, ნათხზა, სამთხზული, შეთხზვა, შეთხზული].

თხამი თხრამლი ZAB.

ნ. თხრამლი.

თხაპვა (თხაპუა Cab, თხაპა D) შესვრა ZABD.

შესვარა C. განუმარტავია E.

[თხარ ნ. გითხარ, თხრობა, თხრობილი, თხრობილმან, იმთხრობლა, მთხრობელი, მთხრობლი, მითხარით, მითხრა, მიმთხრობელი, მითხრობათა. მწერალი, მომთხრობელი (მოციქულ' თანაც), უთხრა].

[თხარ ნ. ვთხრი, თხრა, თხრილი; მოთხრა].

თხევა სათხველის. შეთხევა, სროლა ZAB.

სათხველის სროლა CD.

ნ. ბადე, ითხველიდა, ისათხველა, მთხველართა, სათხვეელი, სითხე.

თხევა ნოტიოთ(ა) დაქცევა ZABCD.

21. ტ. IV, 6. I.

განუმარტავია E.

ნ. განსათხველი, დათხევა. დათხეული, შთამოთხევა. თხელი ესე არს, ქარტის მსგავსი რააცა იყოს. თხელად ითქმის ლარი და შარი ფარჩხატა, გინა ზღვა და მდინარე ღრმა არა იყოს, გინა ნაყოფნი შორი-შორს იდგნენ, გინა ფურცელი უქშირო, გინა კაცთა თმა და წვერი კშირი არ ესხას; თხელი ეწოდებიან ქიქასა, თალსსა და მისთანათა ქვათა გამჟვირვალეთა; თხელი არს ყოველივე სიზრქისა და სიკშირისა და სიმტკიცისა და სიკშოსაგან მოკლებული Z.

ესე არს, ქარტის მსგავსი რააცა იყოს. თხელად ითქმის ლარი და შარი ფარჩხატა, გინა ზღვა ანუ მდინარე ღრმა არა იყოს. გინა ხენი და ბალახნი შორი-შორს იდგნენ, გინა ფურცელი უქშირო, გინა კაცთა თმა და წვერი მცირე აქენდეს; თხელი ჰქვიან ქიქასა და თალსსა და მისთანათა ქვათა გამჟვირვალეთა. თხელი არს ყოველი სიზრქისა, სიკშოსა და სიმტკიცისაგან მოკლებული A. თხელი არს ქარტის მსგავსი რააცა; თხელად ითქმის ლარი და მანდილი ფარჩხატი; თხელად ითქმის ზღვა თუ მდინარე ღრმა არ იყოს. თხელად ითქმის ხენი თუ ბალახნი, გინა შორი-შორ მდგარი, გინა ფურცელ-უქშირო, გინა კაცთა თმა და წვერი მცირედი აქენდეს. თხელი ჰქვიან ქიქასა, თალსსა და მისთანათა ქვათა გამჟვირვალეთა. თხელი არს ყოველი სიზრქისა, სიკშოსა და სიმტკიცისაგან მოკლებული B. განუმარტავია CDE.

ნ. მოთხე 2, უთხელებს.

თხემი (49, 26 დაბად.) ზედითი
თავი მათათა თუ თავთა Z.

ზედითი თავი (+ 49, 26 დაბად. Aa)

A. ზედითი თავი B. ზეითი თავი CD.
ზედა თავი E.

თხზვა (თხზვნა Z) წვნა ZCE.

წნა ABD.

ნ. თხაზ.

თხზული (25, 11 გამოსლ.) დაწ-
ნული ZA.

თხიერაკი (+ 10, 5 ივლით ZAB)

ტიკჭორა ZABC.

განუმარტავია DE.

ნ. ტიკჭორა.

თხიერი (+ 9, 17 მათე ZA) ტაკი
ZABCE.

განუმარტავია D.

ნ. ტიკი.

თხილამური გრკალი არს (ესე
გრკალია A), ფერკთა დაიკვრენ
დიდთა თოვლთა ზედა სავლე-
ლად, რათა თოვლთა სიღრმესა
(შინა A) არა ჩაიჭრან (ჩაიჭრას
A) ZA.

ესე გრკალი არს, ფერკთა დაიკვ-
რენ დიდთა თოვლთა ზედა სავლე-
ლად, რათა არა ჩაიჭრეს თოვლთა
შიგან B. განუმარტავია CDE.

თხილი (ბე) ხულია ერთი ZA.

(ბე) BCDE.

თხის-რქა მეთათე ზოდიაქო Z.

მეთათე ზოდია A. ჯ BCDE.

ნ. ზოდიაქო.

თხისური თივთიკი ZABCD.

განუმარტავია E.

ნ. თივთიკი, თმა.

თხისურისა თივთიკისა Z.

თხიფხელა (ბე) ZABCDE.

თხლე (74, 9 ფსალმ.) ღვინის და-
ლეკებული Z.

(+ 74, 9 ფსალმ., AB) დალეკებუ-
ლი ABCD. განუმარტავია E.

ნ. ლეკი 1.

[თხმელა ნ. მურყანი].

თხოვა (თხოვნა ABCDE) (2, 8
იობ) მოცემის ვედრება Z.

(+ 2, 8 იობ Aa) მოსაცემის ვედ-
რება A. ნდომის ვედრება BCb.
განუმარტავია CaQDE.

ნ. გათხოვნა, განათხოვრება,
დათხოვა, ვთხოვ. ითხოვა, მთხოვ,
მთხოვა, მთხოვარი, მთხოველი,
ნათხოვარი. ნათხოვი. ნათხოვნა,
სათხოელი, უმთხოველობდა;
შდრ. თხოვება.

თხოვება (+ ესე არს AB) რაეცა
(რაეც რამ B) ცოტას ხანს აჭო-
ნიო და აგრევე გამოართვა
ZAB.

ნათხოვად აქონის C. განუმარტა-
ვია D.

ნ. გათხოება, მითხოება, ნა-
თხოები, ნათხოვები; შდრ. თხოვა.
თხოვებული ნათხოვები Z.

თხოვნა ნ. თხოვა.

თხოვნილი აქა-იქ მომუხირებუ-
ლი Z.

თხრა მიწის ა(ღ)მოკვეთა ZA.

რაიე მიწა აღმოიკვეთების ბართ,
თოკით, ყოველივე თხრა არს B. აღ-
მოთოვნა Cb. განუმარტავია CaQDE.

ნ. თხარ 2.

თხრამლი შარავთან ნახე Z.

ბაყლი AB. თხამი, ბაყლი CD.

შდრ. თხამი.

თხრილი მიწა ნათხარი Z.

ნ. ხანდაკი.

თხრობა! (17, 2 ეზეკ.) თქმა Z.

(+ 17, 2 ეზეკ. Aa) თქმა უყო A.

¹ წყაროში: „მითხრობა“.

თქმა უყოს B. ეტყოდეს Cb. განუ-
მარტავია CaqDE.

ნ. თხარ I.

თხრობილი თქმული Z.

თხრობილმან თქმულმან Z.

თხუთმეტი სამჯერ ხუთი ZCb.

თხუნვა გასკრა ZAB.

გასკრასავით Cb. განუმარტავია
CaqDE.

ნ. შეთხუნვა.

თხუნველა (ოთხფ.) თავგია, მი-
წას ქვეშ სთხრის Z.

(ოთხფ.) დიდი თავგია Cb.

ნ. მთხუნველი.

თხუპნვა Cb.

ი

ინი კმიანი ასო არს და ართრონი
მრავალთა სიტყვათა. ინი თავა-
დაც ყოველთა სიტყვათა მო-
ვალს და ბოლოდაცა, ვითარცა
ზემთ დაგვიწერია: იტყოდი.
იქმოდი, იხარებდი. ესრე მოე-
ზავების თავ-ბოლოთა. ხოლო
მარტო თავად: იმეფე, იბატონე,
იყაცე, იპირუტყვე და ესევი-
თარნი, ხოლო ბოლოდაცა ყო-
ველთა მოეზავების, კეთილად
გასინჯე ZA.

კმიანი ასო არს და ართრონი მრავალ-
რიგით. ინი თავადაც ყოველთა
სიტყვათა მოვალს და ბოლოდაც,
ვითარცა ზემოთ დაგვიწერია: იტყო-
დი, იქმოდი, იხარებდი; ესრე მოეზა-
ვების თავ-ბოლოთა, ხოლო მარტო
თავად: იმეფე, იყაცე, იპირუტყვე.
ესრეთ ყოველთა ზედა ითქმის, ხოლო
ბოლოდაცა ყოველთა მოეზავების B.
თავი; კმიანი; ბოლო CDE.

ია (ბალ.) ყვავილია გაზაფხული-
სა ZA.

(ბალ.) BCDE.

ნ. იისფერი.

იაგალი ცხვარია. ცხვრს წინამძღაჲრ-
Cb.

იაგუნდი თვალია პატროსანი ZA
განუმარტავია BCDE.

ნ. აღრალეობს ქვა.

იადგარი სხვათა ენაა, ქართულად
საკსენებელი ჰქვიან ZAB.

(უკმ.) საკსენებელად (მასკენე-
ლად D) დარჩომალი CD. განუმარტა-
ვია E.

იადვილა ადვილ იჩინა ZAB.

იადონი აედონი. ბერძულად
ბულბულს უწოდენ. და
იმერელნი იადონსა ბულბულს-
ვე უწოდენ. ჩვენთა წერილთა
შინა მინახავს. იადონი ზამთარ-
ზაფხულ დაუცადებ(ე)ლად მო-
ქ-ქინაო. ბულბული სამ თვე
ოდენ სტვენს და დადუმდების.
ფრანცის ერთი რიგი ჩიტი ვნახე
ბულბულის ტოლი და თეთრ-
მოყვითლო, ზამთარ და ზა-
ფხულ მოუთმენელად ტყბილად
მჭრინავი, მე ის მგონია. ქართ-
ველს მოლექსეთაც ბულბული
და იადონი სხვადასხვად უთ-
ქვამთ, თქვენ გაარჩიეთ ZA.

(ფრინ.) ბულბულის ტოლია თეთრი

და მოყვითანო, ზამთარ-ზაფხულ
გაუწყებულად ტყბილად მჭრინავი.
ხოლო რომელნიმე ბულბულს უწო-
დენ B. (ფრინ.) აედონი C. (ფრინ.)
DE..

ნ. აედონი.

იავა თათრულად ნაპოვნს ცხო-

ელს ჰქვიან, რომელსა ქართულად მ უ დ რ ე გ ი ეწოდებას ZA.

იავა გაავდა ZA.

გაავდა. იავა თათრულად მ უ დ რ ე გ ს ჰქვიან B.

იავარი (17. 3 იერემ.) ნათორია-ქალი ZAB.

ივარი, ფორიაჟი C. ფორიაჟი DE. სივარძმა ამა ქნა Ch.

ნ. ვარძში.

ივვანა და ბამი (ივვანა და ბამა ABCab) (20, 29 ეზეკ. ZAaB) ადგილი არს (ადგილია B) შესაწყვდეველი, ვითარცა ივეული კერბთა ბოროტად მსახურებისა ZAB.

ადგალო არს ესე შესწავებელი, ვითარცა ივეული ბოროტთა მსახურების კერბთად Cab.

[იავინთელი ნ. ცა].

იავრა ავრა ქნა ZAB.

იათული ვეცხლის სარწყული(ა) ZABD.

სარწყული ვეცხლისა C. ერთი სარწყულია E.

იაყადრა ჰყადრა ZAB.

იაკინთი (+ 10, 9 იერემ. ZAa)

იაგუნდი ZAaB.

ნ. ვაკინთი.

იაკოსტა (ბალ.) თათრული ია ZABCD.

(ბალ.) E.

იალკიალი ცაში აქა-იქ ღრუბელი ZA.

ცათა აქა-იქ ღრუბელი B.

ნ. იალტიალი, მარაგი.

იალმაგი (1 მეფე 17, 38) აღმაგი ZAB.

სამოსელი(ა) საბრძოლელი ჯაჭვთა

(ჯაჭვსა D) ზედა CD.

ნ. აღმაგი.

იალმაზა აღმაზად იჩინა ZAB.

იალომი ალიონი ZAB.

იალტიალი ალაგ ღრუბელი, ალაგ მთწვედილი ZAA.

ალაგ ღრუბელი, ალაგ წმინდა B. აქ(ა)-იქ ღრუბელე ცად CD. ღრუბელი აქა-იქ E.

ნ. იალკიალი.

იალოჯი ფიცარი პირ-მრუდი ZABCDE.

ნ. აფრაჯი.

იამა სიამოვნედ ექ(მ)ნა ZAB.

იაშავრი (+ 6, 15 ტობია ZABCh)

მხოლოდშობილი ZABCD.

შედისერთა E.

[იამანი ნ. აკატი].

იამინ (იამინი Cab) (36, 24 დაბად.) ასურსა და ებრაელსა იამინისა წყლად (ჰენებაეს თქმად, ნაცვლად ამის(ს)ა, ვითარმედ: „ხოვთა წყაროდ უდაბნოს(ა)“, (+ ხოლო Cab) მთარგმნებელთა ამისთა ვითარებული (ვითარ ებრაული B) იქმარებს (იქმიეს Cab) ლექსი ZABCab.

იამინისა იგივე იამინ, წყალი ZAB.

ასურსა და ებრაელსა წყლად ნებაეს თქმად C.

იანაზრა ანაზ(ა)რად მიინდო ZAB.

იანგარიზა აღრიცხა ZA.

აღრიცხვა B.

იანგი (მძრომ) იანგი ქართული არ არის, ხვითქი და კორკოდილოა E.

ნ. ნიანგი.

იანდერძა ანდერძი თქვა ZA.

ანდერძად თქვა B.

იანვარი აპანი ZA.

აზნისა B. აზნისა, სავატო C. აზნისა, სავატი D. სავატი, აზანი E.

6. აპანი (თთუე¹სთან), აპნისა.

[იאו ნ. ძესო].

იაპიქსი ქარია ერთი ZABCab.

6. ქარი.

იაპოხტიანი (6, 27 ბარუქ) განკმონ, განკმელდებოდიან ZAB.

(ბარუქ 6, 27) განკმელა Cb.

იარა² (+ 6, 67 ბარუქ ZAa) სლვა ყო ZAB.

იარა დიდად გამოითარგმანების, რომელსა გონჯსა უწოდენ სიგონჯის მკურნალნი. იარა თურქთა ენითა (თათრულად B) წყლულს (ა) ჰქვიან ZAB.

(+ იარა CabD) დიდად გამოითარგმანების, რომელსა (ა) გონჯსა უწოდენ სიგონჯის (ა) მკურნალნი C.

იარალი ესე არს ჰურბელ(ნი) ცელოვანთა საქმარნი რკინათა თუ ძელთაგან, მეომართა აღსაკაზმავი, გინა ცხენთა ანუ ხუროთა, მკედელთა და გალატოზთან(ნი). ესე მსოფლიოთა ენითა (~ ენითა მსოფლიოთა A) არს, ხოლო სამღდელოთა ენითა ჰური, ჰურბელი და რომელთამე ორდანი ეწოდება ZA.

ესე არს ჰურბელნი ცელოვანთა საქმარნი, რკინათა თუ ძელთაგან, მეომართა აღსაკაზმავი, გინა ცხენთანი, გინა ხუროთა, მკედელთა და გალატოსთან. ესე არს ენითა მსოფლიოთა და გარეშეთა, ხოლო სამღდე-

ლოთა ჰური, ჰურბელი და რომელსამე ორდანი ეწოდება B. იარალი არს ჰურბელნი რკინისანი, ზოგირე სისაცა, აბჯარნი და ყოველნივე საქურველნი კაცთანი, ვინა ცხენთა აკანმელობანი. გინა ჰურბელსი მკედელთა და ოქრომკედელთანი და ხუროთა და გალატოსთან და ყოველთა ქელოსანთანი, რადე მოქმელი იყოს. ხოლო ესე იარალს სახელს-ღება არა სამღდელოთა ენითა არს, არამედ მსოფლიოთა, ხოლო სამღდელონი რომელსამე ჰურსა, რომელსამე ჰურბელთა და რომელსამე ორდანი თა უწოდენ C. იარალი ეწოდების ყოველთა საქმართა ჰურბელთა რასაცა რიგთა D. იარალს ჰურბელი ეწოდება E.

6. ჰურბელი.

იარალური გამკითხველობა და ბ(რ)კობა (+ ქართლის ცხოვრებაში³ B) ZAB.

[იარაყანი ნ. გუნი].

[იარე ნ. სიარული, სლვა].

იასამანი (ხე) ZABCDE.

იასაული (უკმ.) სხვათა ენაა, ქართულად მანდატური⁴ ZA.

(უკმ.) სხვათა ენაა, ქართულად მანდატური ჰქვიან B. (უკმ.) CDE.

იასპი ეს თვალი მოწითლო(ა) და კრელი(ა) ZAB.

ეს(ე) თვალი ზურმუხტ(ა) ჰკავს, მტირედ უყვითლე(სი)ა, თორქომედ(ე) მდინარის(ა) პირს(ა) იპოების (იპოება DE) კასპიას ზღვასთან CDE.

6. ამეტუქტომი, ანთრაქი.

იატაკი (+ 3, 26⁴ ესაია ZABCb) სახლის ფსკერი ZABCD.

¹ ნუსხებშია „იაპოხტიანი“. ² წყაროშია: „იარინენ“. ³ შტრ. ქართლის ცხ-ბა, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., II, 232,22. ⁴ წყაროშია: „დიატაკედელ“.

განუშარტავია E.

ნ. ფსკერი; შდრ. ევატაკი.

[იაფი შდრ. იეფი].

იაღლავაში წამლად საღები ცომი
მგბარი ZAA.

განუშარტავია AbBDE. წაშლიანი

კმაილი სენსე საღებელი C.

იაჯა ივედრა ZAB.

იაჯა იხეწებოდა E.

იბაზიერა ბჰზიერობა ქნა ZAB.

იბაკო შემოკლებული ცხო(ვრე-
ბა ZABCab.

განუშარტავია CqDE.

იბარტყა ბარტყი ქნა ZAB.

იბატონა ბატონობა ქნა ZAB.

იბელა ბელს მიუბყრა ZAB.

განუშარტავია Cb.

იბელივი (+ 34 კათილორ.¹ ZA)

ბელის-მიერი ZAB.

მოკდეს რამ საიბელიო CqD.

მოკდეს რამ საიბელიო თუ ბელისა-
გან მეფობა და მონობა Cb. მოკდეს
საიბელიო: კ ა თ ი ლ ო რ. „ანუ იბელი-
ვი არს, ვითარცა მონა და მეფე“; 13
ე ქ ე ს თ ა ლ დ ე: „არამედ საქმედ
ბუნებრივად თავით თვისით და იბელი-
ვად ქმნილად“; 8 ე ქ ე ს თ ა ლ დ ე:
„ხოლო უქმად და მოცალედ იქცეო-
დის იბელივთა და ამათთა საქმეთა
შინა“ E².

იბეზლა ბეზლება ქნა ZAB.

იბეზლება Cb.

იბეკნ (+ 39, 21 იობ ZAAb)

კუნტრუშობს ZAB.

(იობ 39, 21) იკუნტრუშებს Cab.

„ალმოითხრინ ფერკითა და იბეკნ
ველსა ზედა“ Ca.

ნ. სლვა.

იბერება Cb.

იბექლება ბექელი ჯლება ZAB.

იბოზა ბოზობა ქნა ZAB.

იბორგა ბორგვილა ZAB.

იბოროტა (38, 9 იერემ.) სიბო-
როტე ქნა Z.

ბოროტობა ქ(მ)ნა AB.

იბორჯლა ბორჯალი მოექსენა
ZAB.

იბრალა ბრალი დაიდვა ZAB.

იბრდღუნა (იბრდღუნა ZA, იბ-
რდღვინვა B) (23, 24 რიცხ.)

ბრდღვინვა იწყო Z.

(+ 23, 24 რიცხ. Aa) ბრდღვინვა

ქნა AB.

იბრძანა ბრძანება იქნა ZAB.

იბრძენა (იბრძენა AbB) ბრძენობა
ქნა ZAB.

იბრძვის Cb.

იბრძნა ნ. იბრძენა.

იბრძოლა ბრძოლა ყო ZAB.

იბრძოლება Cb.

იბუღა ბუღე დადვა ZAB.

იბღინება Cb.

იგავი (+ 13, 24 ვათე ZA) (+
არაკი B) ესე არს სიტყვით მ-
გალითი, გინა საჩვენებელი, გი-
ნა მოსანიშნავი ZAB.

არაკი C განუშარტავია DE.

ნ. არაკი, ეიგავა, ვიგაობდ,
ვიგაობდი, მიგვივებითი, ნიგავე-
ბი, საიგაო.

იგალა ისარჯა ZAB.

იგალობა გალობა ყო ZAB.

იგარდოს გარდაის ექნას ZABCb.

გარდაის Ca. გარდაის მგონია Cq

¹ შდრ. S—1463, 49 r, ხ 22. ² ბასილი კესარიელი, ექვსთა ღღეთაჲ, მ. კახა-
ძის გამოც., 102, 28. ³ წყაროები და მოწმობანი გაღაბაზულია.

იგლო ჩაიგლო ZAB.
 იგემა¹ (+ 3, 7 იონა ZAA) გემო
 'ნახა ZAB.
 იგენი ისინი ZAA.
 იგვრდივ, იგვრდივი-ნ. იგურდივ.
 იგი (+ 27, 4 დაბად. ZAA) (+
 ისი ZABC) ყო(ვ)ელი იგი ჩეე-
 ნებასა შორის ძეს და გვარსა.
 არამედ მას მასი და იგი შემ-
 დგომთაგან ერქმის ZABCDE.
 ნ. იგენი, იგია.
 იგია (იგიაა AbB) (+ 2, 7 ნაომ
 ZAA) ი გ ი კაცისათვის ითქ-
 მის და ი გ ი ა დედაკაცი-
 სათვის ZA.
 ი გ ი კაცისათვის ითქმის, ხოლო
 ი გ ი ა დედაკაცისათვის B.
 იგლოა გლოვა ყო ZAB.
 იგონა გონებად შთაკდა ZAB.
 იგრემლებდა (+ 23, 40 ეზეკ.
 ZAA) წარბს იღებევდა ZAB..
 წამწამთა და წარბთ შეილებდა Cab.
 იგრიკა (+ 8, 12 ესთერ ZAA)
 აპრილი ZABCDE.
 ნ. აპრილი (თთუე 'სთანაც).
 იგულეთ (2 შჯულ 1, 21) გულად-
 ილეთ ZAA.
 იგულვა გულად-ილო ZAB.
 იგულისწყრომა გულისწყრომა ყო
 ZAB.
 იგულმეთქუებენ (იგულმეთქუ-
 მბენ ZAA) გულის-თქმას გაი-
 მრავლებენ ZAB.
 იგურდივ (იგვრდივ ZABD,
 იგვრდივი C) (13, 18 დანიელ)

გვლარძნილი(ი), გინა გვერდით
 ZAA.
 გვლარძნილი(ი) AbBCD.
 იგუშაგა დარაჯობა ყო ZA.
 გუშაგობა ყო B.
 იღად (48, 33 იერემ.) ესე სიტყ-
 ვა (+ არს Z) სიცოცხლე სიხა-
 რულითა ZAB.
 (იერემ. 48, 33) შეწყობილი კმა
 (+ იერემ 48, 33: „განთიად იღად
 არცა მიმწესბი არა ყვეს იღად“
 Cq)² C.
 იღარაჯა დარაჯობა ქნა ZA.
 დარაჯობა ყო B.
 იღაყვ (იღაყვი ZABE) ნიღაყვი.
 მკლავთ საღრეკი Z.
 მკლავთ ნაწევარი A. განუშარტავია
 BCDE.
 შღრ. ღლაყვ.
 იღგომა დგომა ყო ZA.
 დგომა ქნა B.
 იღვა ქვე დებით იყო ZA.
 დებით იყო B.
 იდიდა დიდად იჩინა ZA.
 დიდად იჩინა B.
 იდიდა დიდად გაითქვა Z.
 იდიდსიტყუა³ (35, 13 ეზეკ.)
 სიტყვა-დიდობა ქმნა ZAA.
 იდოლებრივი (+ კავშირ.⁴ ZAA)
 კერპული ZAB.
 ესე არს კერპი, გინა კელით ქმნილი
 (ქმნული CqDE) CDE.
 იდოლია (კავშ.⁵) კ ე რ პ ი ლა-
 თინურად Z.
 („+ კავშ. Aa) ლათინურად კ ე რ-
 პ ი AB.
 იდროა დრო ექსენა ZAB.

¹ წყაროშია: „იგემებენ“. ² წყარო და მოწმობა გადახაზულია. ³ ნუსხებშია: „იდიდსიტყვა“. ⁴ ამოღებულია იოანე პეტრიწის კომენტარების ბოლოსიტყვაობიდან (II წიგ... 212,15—27). ⁵ შღრ. იოანე პეტრიწი (II წიგნი 212,15).

იღრტუნა¹ დრტინვა ყო ZAB.
იღუმალ (+ 2, 7 მათე ZA) სა-
ჩუმრად ZAB.

იღუმალი საჩუმარი Z.
საჩუმრად Cab.

ნ. საიდუმლო.

იწ იოანე ქარაგმით ითქმის ZAB.

იწ ათხუთმეტი რიცხვით ითქ-
მის Z.

იეკლესიეს (იეკკლისიეს ABC)
შეიკრიბნეს ZABC.

იელატი (+ კათილორ. ZAA)
ელატთან ნახე ZAB.

იელვა ელვა იქ(მ)ნა ZAB.

იელი (ხე) ხე(ა) თაფლის გა(ნ)-
მრყენელი ZA.
(ხე) BCDE.

იენავა ავ-ენაობა ქნა Z.
ავ-ენაობა თქვა AB.

იერთა გაერთება იქ(მ)ნა ZAB.

იერლაყი მეფეთაგან შეწყალების
უსტარი ZAB.

ესე არს მეფეთაგან შესაწყალე-
ბელი წიგნი CD.

ნ. წერილი.

იერომნიმონი დავიწყებულის სა-
მღლელო საქმის მომგონებელი
ZAB.

იერომნიმონი არს დავიწყებულის
სამღლელოს საქმის მომგონებელი C.

იეტიკა ეტიკობა ქნა ZA.
ეტიკობა ექნა B.

იეფად ადვილ სავაჭრელად ZA.

იეფი (+ 12, 1 იერემ. ZAA²) გა-
მცემელი და პურადი ZAB.

არაძვირი, გინა უშურველი, გინა
არაძუნწი Cab. უშურველი, გინა
არაძუნწი Cq. განუმარტავია DE.

ნ. იეფად, სიიეფე; შდრ. იაფი.
იეშმაკა ეშმაკობა ქნა ZAB.

იექუა³ ექვი შეუვიდა ZA.
ექვი ქნა B.

ივ ბოლოს ართრონია: ღ^რთევ, ცო-
ცხლივ და მისთანა ZAA.

ივალა ვალი აიღო ZAB.

ივალალა ვალალება ყო ZAB.

ივაშა ვაშა-ვაშა თქვა ZAB.

ივაჭრა ვაჭრობა ქნა ZAB.

ივედრა იხვეწნა ZAB.

ივეოსი (ფრინ.) (მ)ფრინველია,
გველის მკამელი ZABCDE.

ივი მამაკაცთა და დედაკაცთა
ორთავე სასარცხოთა ასოთა
ზოგად ივი ეწოდების (ეწო-
დება B), ბოლო თვითოეულთა
(თითოეულსა B) ცალ-ცალკე
სხვადასხვა(ა) ZAB.

მამაკაცისა და დედაკაცის(ა) შუა
ასოთა. ორთავე ზოგად(ი) ივი ეწო-
დების (+ სასარცხოთა C). და თუ
(უკეთუ D) თვითო სთქვა, სხვადასხვა
სახელი სძეს CD. შუა ასო. მამაკა-
ცისასა და დედაკაცისასა შუა ასოთა
ივი ეწოდების, ორთავე ზოგად E.
ნ. მორი, მუტელი.

ივლისი თიბისა ZABC.

თიბისა. ივლისსა პირველ ავ
და კვინტოლიონი (ევენტოლიო-
ნი D) ეწოდებოდა DE.

ნ. თთუე.

ივლონა ესე არს გრკალი ცისა
ჩრდილოდ კერძო, რომელსა
ზაფხულის მზე მუნით მოიქცე-
ვის და ვერ(ა) გასცილდების ZA.

ესე არს გრკალი ცისა ჩრდილოდ
კერძო, რომელსა ზედა ზაფხულის

¹ ნუსხებშია „იღრტინა“. ² წყაროშია: „იეფის“, რაც ცალკე შეუტანია Z-ს
³ ნუსხებშია: „იექვა“.

ვალს მზე B. ივლონა ეწოდების მას გრკალსა ცისასა ჩრდილოდ კერძო, რომელსა ზედა ზაფხულის მზე ვალს CB.

იენისი მარიალისი ZAaD.

მარიალისა AbBC. მარალისი E.

ნ. ვარდობისა, მარიალისა

(თთუე'სთანაც):

ივო ვნება ქნა ZAB.

ივრცელა გაგანიერდა ZA.

ივან-ერა B.

იზაყუა მზაკვარება ქნა ZA.

მზაკვარება ყო B.

იზამთრა ზამთარი დაყო ZAB.

იზარდა ზრდა იწყო ZAB.

იზატიკა ზატიკი ყო ZAB.

იზაფხულა ზაფხული დაყო ZAB.

იზელდა ზელას იყოფდა ZAB.

იზევა (14. 5 იერემ. ZAa) ხვასტაგნი შობენ; უ ზ ე ი — ბერწი და მ ე ე ზ ვ ე — მშობელი ZA.

ხვასტაგი რა შობდენ, იზევა არს.. ხოლო ბერწი — უ ზ ე ი და მშობელი — მ ე ე ზ ვ ე B. ხვასტაგი რა შობდენ იზევა ბად ითქმის, ხოლო ბერწი — უ ზ ე ი და მ შ ო ბ ი — მ ე ე ზ ვ ე C. ხვასტაგი რა შობდეს, იზევა ითქმის, ბერწსა — უ ზ ე ი D. ხვასტაგნი რა შობდენ, იზევა ბად ითქმიან E.

ინ. დოლი.

იზნისი¹ (+ 44, 5 დაბად. ZAa)

მისნობს ZAB.

იზრაბა (+ 1, 19 მათე ZA) ზრაბ-

ვა ყო ZAB.

იზრდებოდა ზრდას იქმოდა ZAB.

იზრუნვა ზრუნვა ყო ZAB.

იზურგა ზურგად მოიბა ZAB.

იზლაპრა ზლაპრობა წარმოთქვა ZA.

ზლაპრობა თქვა B.

იზღვანვის² (23, 4 ისო) საზღვარ ექმნების ZAa.

იზღვია გარდაეკდივა ZAB.

იზღუანვის ნ. იზღუანვის.

ითავა თავად შეექმნა ZA.

თაობა ქნა B.

ითავნა სათავნო გა(ნ)მრავლდა ZA.

განმრავლდა სათავნო B.

ითავსა თავს-იღვა და გაიწყუ ZAB.

ითანია თანგაუყარ ყო ZAB.

ითარგმანა თარგმანებულ იქმნა ZAB.

ითვისა ნ. ითვისა.

ითიკანი (38 ნემეს.³) ჩვეულებით სათნოების მოქმედი ZAB.

(+ ნემეს. 38 Cb⁴) ჩვეულებით სათნოების მქნელი C. ჩვეულებით სათნოების მოქმედებასა (მოქმედს D) კეიან (ეწოდების D) DE.

ითმენდა მოთმენას ჰყოფდა ZAB.

ითმოს (27 ნემეს.⁵) ღრუბლისა და ცხავის მსგავსად დაქვრეტილი ძვალი ZAB.

(+ 27 ნემეს. Cb⁵) რომელ არს ცხავის(ა) და ღრუბლის მსგავსი ძვალი დაქვრეტილი (დაქვრეტილი CbqD) CD. ითმოს, რომელ არს ცხავისა და ღრუბლის მგზავსი ძვალი დაქვრეტილი E.

ითოვა თოვლა იყო ZAB.

ითუსა (ითვისა B) თვისად მიიჩნევა ZAB.

¹ წყაროშია: „ზმნით იზმნიან“. ² ნუსხებშია: „იზღუანვის“. ³ გამოცემის თანახმად 39-ე თავია (გვ. 153,2). ⁴ იქვე. ⁵ გამოცემის თანახმად 28-ე თავია (122,18).

ითქუა თქმა იქ(მ)ნა ZAB.
ითხველიდა¹ სათხვეელს ისროდა
ZA.

სათხვეელს ისრედა B.
ითხოვა (+ გამოსლ. 3, 22 ZAa)
თხოვნა ყო ZAB.

იისფერი ZAB.

იკა პაიჭის თასმის ჩამოსაბამი
სარტყელი ZA.

პაიჭის თასმის ჩამოსაბამი BCb.
პაიჭის თავის (sic.) ჩამოსაბამი Caq.
განუმარტავია DE.

იკაზმებოდა კაზმას(ა) ჰყოფდა
ZAB.

[იკანდელი ნ. იკანკელი].

იკანკელი (+ არიოპაველი ZAa)
ესე არს აღმართში მიმრეც-
მომრეცად აღსლვა (აღსვლა A);
და მიხვევ-მოხვევით შეზევა, რა-
თა არა დაშვრეს ZA.

(დიონოსი 4, 37) გინა იკანდელი,
იგივე და ერთ. „ესე არ(ს) მი-
მოცვალეებითი მოქმედებაჲ ვითარ-იგი
წყალი თევზთა და მფრინველთა და
კვერთხი მოსესი გველად და ეგვი-
თარიჲ“. ესე არს აღმართში მიმრეც-
მომრეცად აღსლვა და მიხვევ-მოხვე-
ვით შეზევა, რათა არა დაშვრეს B.
იკანკელი არს აღმართში მიმრეც-მომ-
რეცად აღსლვა და ადგილითი-ადგილ
შეზევა, რათა არა დაშვრეს C. იკან-
კელი არს მიმრეცად სვლა და ადგილ-
ადგილ სვენება D.

ნ. აღმართი.

იკანო (40 კავშირიჲ) კმა არს ZAB.

იკანონა კანონად მიიჩინა (მიიჩი-
ნება B) ZAB.

იკარვა კარვად შევიდა ZAB.

იკბინებოდა კბენას ჰყოფდა ZAB.
იკეთილა კეთილად შეიცვალა
ZAB.

იკეთილენება (+ 30, 10 იერემ.
ZAa) ჩვეულების ვნებისაგან
კეთილად შეიცვალა ZAB.

იკეთილენების ვნებისაგან იკეთილოს C.
იკვირვა ნ. იკვრვა.

იკვლივი (ბალ.) ZABCDE.

იკითხა კითხვა ყო ZAB.

იკლო კლებულ იქმნა ZAB.

იკმაა (იკმარა B) კმასყოფელ ყო
ZA.

იკმია იგივე კმა, გინა საკმეველი
იკმარა ZA.

იგივე კმაყოფა B.

იკმია საკმეველთ კმევა იკმია B.

იკონომოსი (იკონომესი D) ბერ-
ძულია, ქართულად გამრი-
გე ჰქვიან ZAB.

(უტმ.) გა(ნ)მგებელი CD. ბერძენ-
ულია დეკანოზი, გინა მარიგე-
ბელი E.

ნ. პარიკონომოსი.

იკორთა ფიცრის თარო ZAB.

ხის თარო CabD. ხითარო Cq.

ნ. სარკმელი.

იკოსაედრი (5 ნემეს.) ნელიად
მიმღრეკი ZA.

5 ნემეს. B.

იკოსი სახელ-შეკრებული ZAB.

სახლ-შეკრებული C. განუმარტავია
DE.

ნ. კონდაკი.

იკტერონია გუნი, სიყვითლის სე-
ნ(ა) ZA.

სხვა კათილორ.†: „თაფლი ვი-

¹ ნუსხებშია: „ითხველიდა“. ² წყარო: „დიონოსი 4“ აქაც არის გამოვრებული.
³ ნახე იონან პეტრიწი, II წ., 96,5. ⁴ შლბ. A—250, 204 r.

ეთა (ვიეთა Ab, ვეთად Cab) მიმართ მწარე არს, კეშმარტად, ვითარ იქტრო(ნ)იანთა მიმართ“ BCD!.

იქტიონი (ფრინ.) 2 შუღლ. ZAaB. იკურთხა კურთხევა მიიღო ZAB. იკურნა კურნება მიიცა ZAB. იკრვა² საკვირველად აღუჩნდა ZA.

საკვირველად აღიჩინა B.

ილაო (+ ილაო B) სენი არს უბეს ზეით წელის ნასკულობითა; ილაო გამოითარგმანების: ლ¹ო შე მი წყალე; ზოგნი სახელ-სდებენ მყრალად და ზოგნი ჰას(ა), და იტყვიან სიძნელით ტკივილსა მისსა ნაწლევის გამოაკენისათვის ZAB.

(+ სენია D) ილაო იქ(მ)ნების უბეს ზეით წელის ნასკულობითა; ილაო გამოითარგმანების: ლ¹ო შე მი წყალე; ზოგნი სახელ-სდებენ მყრალად (მყრალი D) და ზოგნი ჰას. და იტყვიან სიძნელითა ტკივილისა მისისა(თა). (+ წელის გამოანაკვის სენია C) CD. სენი კოლინჯი E.

ილაღობა ლაღობა ქნა ZAB.

ილაშქრა ლაშქრობა (ჰ)ქნა ZAB.

ილეკრო ეწოდების ოქროსა, ვეცხლსა, სპილენძსა, რკინასა, ტყვიასა, კალასა და ყოველსავე მისთანათა ერთბამად ZA.

ილეკრო ეწოდებოდა ოქროსა, ვეცხლსა, სპილენძსა, რკინასა, ტყვიასა, კალასა, რვალსა, თითბერსა და ყოველსა მისთანათა ერთბამად B.

ილეკრო, ილიკტრიონი და ლიკტრიონი (ლიკტორი Cq) ერ-

თი არს Caq¹. ილეკრო ეწოდება ოქროსა, ვეცხლსა, ტყვიასა, კალასა, თვითბერსა. რკინასა და ყოველსა მისთანასა Cb. 12 იოსიბოსი: „ბროლი და ილეკრო“ DE.

ილეკტრო (1, 4 ეზეკია) ილეკრო ZAa.

ილექსა ლექსები თქვა ZAB.

ილვისიოსი (ილვისიოსს B, ილვისიოსის CD) (+ ილვისიოსსა CD) რომელ არს ოლვისიოსი (ს) c, გინა აპოლვისიოსი (აპოლვისიოს CD) ესრეთ გამოითარგმანების (გამოითარგმანება D) ვითარმედ: განსასვენებელი უჯაქო. ესე იგი არს (+ ადგილი D) ქსნილი, თავისუფალი ტანჯვისაგან ZABCD.

ილი ილი ლიმა საბაქთანე (27, 46 მათე) ებრაულად (ებრაელთა B): ლ¹ო, ლ¹ო ჩემო, რასათვის დამიტევებ მე ZAB.

(მათე 27, 46) ლ¹ო, ლ¹ო ჩემო, რასათვის დამიტევებ მე Cb.

[ილიკრინ ნ. უილიკრინეს].

ილიკტრიონი (1, 4 ეზეკ.) ესე იგი არს ილეკროებთა (ილეკროების B) ფერი ერთბამად ბრწყინვიდეგ ZAB.

ილიკტრიონი (ეზეკ. 1, 4) ესრეთ ითქმის ოქროსფერი და ვეცხლის ფერი, თანნარევად ბრწყინვალედ ჩნდეს ილეკრო და ლიკტორიცა C.

ლიკტორი, ილეკტრო არს ოქროსა და ვეცხლის ფერი თანნარევად.

„ვითარცა ხილვა ილიკტრიონისა“ D. განუმარტავია E.

¹ წყარო და მოწმობა გადახაზულია Ab-ში. ² ნუსხებშია: „იკირვა“. ³ ეს განმარტება Cb-ში გადახაზულია. ⁴ შდრ. A—675, 206r, 14.

შღრ. ილეკრო.

ილინჟა ჩიტის მახე ZABCDE.

ნ. მახე, საბრკე; შღრ. ირეკი.
ილისტიკი (2, 78 დიონოს.) ზღუ-
დის სამართი ილისტიკი ZAa.

ზღუდის სამართი AbB. სამართი
ზღუდისა C. ს ხ ვ ა კ ა თ ი ლ ო რ ი ა :
„რამეთუ მაშენებელი ილისტიკისა
იქუმევს გამორჩევისა მიმართ, გინა
თუ მართალა არს ზღუდე, გინა არა,
გარნა თუ რა არს ილისტიკი, არა
უწყის“ D

ილოცა (+ 16, 12 ესაია ZAa)
ლოცვა ყო ZAB.

ილტობოდა სველდებოდა ZA.
სველ იქმნებოდა B.

ილტრიონი იტყვიან გომიზი
არს ხისაო, ვინათგან მას შინა
იხილვებიან წველი, ბუზი და
ჭინჭველი. ქარვა შგონია ZA.

იტყვიან ილტრიონი გომიზი
არს ხისაო, ვინათგან მას შინა იხილ-
ვების წველი, ბუზი და ჭინჭველი B.
სანდალოზი. იტყვიან, ვითარმედ ილტ-
რიონი გომიზი არს ხისაო, ვინათ-
გან მას შინა (შიგან Cq) იხილვების
წველი (+ და Caq) ბუზი და ჭინჭვე-
ლი C. იტყვიან, ვითარმედ ილტრიონი
გომიზი არს ხისა DE.

ილუმელი (+ მამათ-ცხ. ZAa) ესე
იგი არს, არცა სიკეთე, არცა
სიავე არ ეტყობოდეს, გინა გე-
მო ZA.

ესე არს, არცა სიკეთე და არცა
სიავე არა შეეტყობოდეს, გინა გემო
B. ესე არს არარა შეეტყობოდეს
სიკეთე ანუ (გინა D) გემო CD. არც
მძიმე, არც სუბუქი; უ ლ უ მ ე
ლია არც მძინარი, არც მღვიძარ-
ი E.

ილურსება ცხენი საკბენლად ეშაღებო-
დეს Cb.

ილუსტრიოსი 16, 1 მამათ-ცხ.
ZABCb.

ილხინა ლხინი ყო ZAB.

იმ (+ იმ B) ითქმის მ ა ს ს ა-
ვ ი თ, რამეთუ ვაჩვენებთ: იმ
კაცმან (კაცმა B) მითხრა (+
და ZA) იმ დღეს იყო, ვითარცა
ამ ამას აჩვენებს, მაგრამ უგვი-
რო(დ) ZAB.

განუმარტვია CDE.

ნ. ამ.

[იმათ ნ. მათ].

იმაკა მაკე იქმნა ZAB.

იმაღებოდა მალვა ქმნის ZAB.

იმაწ მან ZAB.

იმაწა ლვედი ერქვანთა, თუ ჭამ-
ბარა ZAa.

ნ. ევანი.

იმართლა მართალი შეიქ(მ)ნა
ZAB.

იმარმენთა ათერთს კავშირში სვე-
თა წილხლომლად თქვა E.

იმარმენი მარმენიოს ძალი ZA.

მარმენიო, სვე წილხლომილი B.

უკეთუ კაცობრივი ბუნება ვიღრემე,
ვითარცა მოკვდავი, სცნობს თვისსა და-
სასრულსა, ხოლო თითოეულისა დასა-
სრულსა, ხოლო თ(ვ)ითოეულისა ეამნი
არა რომლისამე საზღვრისაებრ არს,
რომელსა გარეშენი უწოდენ იმარ-
მენთაღ, ვითარ ეზეკიას შეეძინეს
ეამნი და ათერთს კავშირში სვეთა
წილხლომლად თქვა და სხვაგან ეს-
რეთ: იმარმენი შეთხზნილსა რასმე ბუ-
ნებასა ჰქვიანო—ბელი, სვე და მარმე-
ნიო სამნივე (სამივე Cq) ჰგვანან და
სხვადასხვანუც არიან და არ(ა)რათა

მგავსნი C. ათერთს კავშირში სევთა წილხდომილად თქვა, სხვაგან ასე: იმარმენი შეთხზილსა რასმე ბუნებასა ჰქვიანო. ბელი, სვე და მარმენიო საპიე ჰგვანან და სხვადასხვანი არაან და არა მგვავსნი D. შეთხზილსა რასმე ბუნებასა ჰქვიან E.

იმარხა (+ 4, 2 მათე ZA) მარხულობა ქნა ZAB.

იმარხავს Cb.

იმას მასსავით (+ 'მასავეთი' Z) ZAB.

იმასპინძლა მასპინძლობა ყო ZAB.

იმაწე „იმაწე დიდ ყოფა წინაშე ლ^რთის(ა), შეურაცხ იქმენ (+ მანწანებელი Z)“ ZA.

„იმაწე დიდ ყოფ წინაშე ლ^რსა, რამეთუ წინაშე ლ^რსა შეურაცხ იქმენ“ B.

იმღენი Cb.

იმედი გულის მინდობა ZA.

განუმარტავია BCDE.

ნ. ეიმედა, იმედნეულობა, საიმედო, უიმედო.

იმედის-გარდაწყვეტა (იმედის-გარდაწყულტა ZA) ვულის გატეხა ZA.

განუმარტავია B.

იმედის-დადება გულის გამაგრება ZA.

განუმარტავია B.

იმედის-მიცემა გულმაგრობის მიცემა ZA.

განუმარტავია B.

იმედნეულობა (იმედნეულება A) გულდებულობა ZA.

იმეტებს გაიმეტებს Cb.

იმეტყუელა (იმეტყულა ZA) ბეტყუელება ქნა ZA.

მეტყუელობა ქნა B.

იმეფა მეფობა ქნა ZAB.

იმეცნა მეცნიერება ქნა ZA.

მეცნიერება ყო B.

იმეცნე Ccb.

იმზალა მზად შექმნა ZA.

მზადება იქმნა B.

იმზირა მზირობა ყო ZA.

მზირობა ქნა B.

იმზო მზეობა ქნა ZAB.

იმთხრობლა მთხრობლობა ქნა ZAB.

იმიერ (+ 2, 5 გამოსლ. ZAa) იქიდამსავით ZABC.

განუმარტავია DE.

იმით მით ZAB.

იმინთი (ბალ.) უთესლო ბალახია ZA.

(ბალ.) უთესლოა B. (ბალ.) CDE.

იმის მის ZAB.

იმისი მისი ZAA.

იმითომ Cb.

იმოთხვიდა სეერნობდა, თუ მავალ იყო ZAB.

იმოთხვიდა ითქმის: იშვებდა, გინა მავალ იყო C. იშვებდა D. იშვებდა, განისვენებდა იო ბ ის 41, 23; ხონოლო რთე ში: „იმოთხვიდა რა აბანოსა შინა მოკლესო“; ქართლის ცხოვრებაში: „იმოთხვიდა სამოთხესა ამის საწუთოსასა“; იო ბ ის: „ტარტაროზი უფსკრული-სა, ვითარცა ტყვე შერაცხა უფსკრული სამოთხველად“ E².

ნ. სლვა.

¹ შლრ. ხრონოლოგიური გორგი მონაზონისაჲ, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა. თბ., 1920 წ., გვ. 164, 14. ² წყაროებზე მიითვებანი და მრწამსიანი გადახზულია E-ში.

იმოსებოდა (+ 16, 19 ლუკა ZA)
შეიმოსდა ZAB.

იმოქმედა მოქმედება ქნა ZA.
მოქმედობა ქნა B.

იმოციქულა მოციქულობა ქნა
ZAB.

იმოძღურა ზოდღ(ვ)რობა ქნა
ZAB.

იმოწმა მოწამედ მოიყვანა ZA.
მოწმად მოიყვანა B.

იმრ გერდივ ZAB.
გერდივ, კავშირში ეწერა¹ CDE.

იმრუშა მრუშება ქნა ZAB.

იმრჩობლა იორა ZAB.

იმრჩობლებს იორებს Cb.

იმსახურა სამსახური ქნა ZAB.

იმსგავსა თვის მსგავს ყო ZAB.

იმსთუეს² აღმსთობა ქნეს ZA.
განუმარტავია B.

იმსტრობდა (10, 10 ტობია) სინ-
ჯევედა, ჯამუშობდა ZAA.

იმსხემა მსხემობა ქ(მ)ნა ZAB.

იმსხუერპლა³ მსხვერპლი შეწირა
ZAB.

იმტერა მტერობა უყო ZAB.

იმტერებს გაიმტერებს Cb.

იმუდარა მუდარობა (უ)ყო ZAB.

იმუშავა მუშაობა ქნა ZAB.

იმუხთლა მუხთლობა ქნა ZAB.

იმღერა მღერა ყო ZAB.

იმძიმა სამძიმარ(ი) იწყო ZAB.

იმწევა მწედ მოიცა ZA.

იმჭულის (2 ეფრემ.) მჭილ(ვ)ს
უჭირებს ZAA.

ინ საწყავი არს შთამტევენელი
ორთა ხოისთა ატტიკურთა ZAB.

საწყავი არს, რომელი შთაიტევს
ორთა ხოისთა ატტიკურთა. (+ატტი-
კა ათინაა C) CD.

ნ. ინი, საწყავი, საწყაული.

ინა (ბალ.) წითლად შემღებავი
ZA.

(ბალ.) წითლად შეღებავს B. (ბალ.)
CDE.

ინაგა (ფრინ.) მომცრო (მ)ტრე-
ღია ველური ZA.

(ფრინ.) მომცრო ტრეღია B.

(ფრინ.) გულ-ო, მომცრო ტრეღი(ა) C.
ინალი Cb.

ინადიმა ნადიმი ქნა ZAB.

ინადირა ნადირობა ქნა ZAB.

ინათლა გაუუნება აღმოჩნდა ZAB.

ინანე ღინანე Cb.

ინანთი ვარდის წყალსავით
სუნ(ნ)ელ(ნ)ია ZABCb.

ვარდის წყალსავით სუნნელია Caq.
ვარდის წყალსავითა D. განუმარტა-
ვია E.

ინატრა ნატრა თქვა ZAB.

ინაღლი Cb.

ინაყოფა ნაყოფი გამოიღო ZAB.

ინაყროვნა ნაყროვან ჭამა ZAB.

ინაწილა ნაწილი მიიღო ZAB.

ინაქი (+ 12, 39 მარკ. B) საჯღო-
მი ZAbB.

საჯღომო Aa. მალალი საჯღომი CD.
მიყრდნობით ჯღომა და საჯღომო E.

ნ. მეინაქე, საინაქე.

ინაქ-იდგა (13, 12 იოანე) სერო-
ბად დაჯდა ZA.

განუმარტავია B.

ინდაესსარონე იოსიპოსში კარკო-
სა: „და საწყეონი უკვე მოსეოისნი
(?) მსგავსნი ინდაესსარონეს სახელ-

¹ იგულისხმება იოანე პეტრიწის თხზულების ბოლოსიტყვა (II წ., გვ. 207,7
და 215,31). ² ნუსხებშია: „იმსთუეს“. ³ ნუსხებშია: „იმსხუჭრპლა“.

ღებულთანი ოქროსა და ვეცხლისანი ბეერნი! E.

ინდალმა (+ ინდალმა B) არა თვითება არს სულისა, არამედ ვითარცა (ვითარ B) თვითებისა აჩრდილი და ნამწვერვალევი ZAB.

ინდალმა არა თვითება(ა) სულისა, არამედ ვითარ თვითებისა აჩრდილი და ნამწვერვალე (ნამწვერვალე Cq) CDE.

ნ. საბწინი.

ინდიკტიონი ებრაულისა ენითა ათხუთმეტი წელიწადი ერთი ინდიკტიონია და ოთხი წელიწადი ერთი ოლვიმპიადო ZA.

ებრაულთა ენითა ათხუთმეტი წელიწადი ერთი ინდიკტიონი არს და ოთხი წელიწადი ერთი ოლვიმპიადო. ხოლო ბერძელიდამ ქართულში წლის მოქცევად უთარგმანებიათ, არ ვიცო, როგორ ექნიათ B. ებრაულისა ენითა ათხუთმეტი წელიწადი ერთი ინდიკტიონია არს და ოთხი წელიწადი ერთი ოლვიმპიადო. ინდიკტიონი ქართულს რიცხვში წლის მოქცევად უთარგმნიათ, არ(ა) ვეცი რასათვის C. ებრაულთა ენითა არს: ათხუთმეტი წელიწადი ერთი ინდიკტიონია და ოთხი წელიწადი ერთი ოლვიმპიადო (+ ჩვენც ამაღ ვიქმარებთ E) DE.

ინდომა ნდომა ყო ZA.

ნდომა ყო, გინა ინდო კაცმან B.

ინდოური ქათამი (ფრინ.) ZABCDE.

[ინდუშა ნ. რუხა].

ინება ნება დართო ZAB.

ინესი (ინესნი CDE) 4 ნე მეს.: „ინეს(ნი) (+ და DE), უმენეს(ნი) და აღენეს(ნი)“ ZABCDE.

ინი (45, 24 ეზეკ.) ინ საწყავია ერთი, ორი კოროსი ჩავა ZAA.

ნ. ინ.

ინიოხი (+ 2 ეფრემ¹ ZA) რაინდა ZABC.

შდრ. ინოხი.

ინო (26 ნემეს²) ესე არს მგრძნობელი ძარღვი (ესე მგრძნობელი ძარღვი არს B) თანა-შეთსზული შეშა ძარღვთა ZAB.

(+ 26 ნემეს². Cb) მგრძნობელი ძარღვია, ესე თანა-შეთსზულ არს შეშა ძარღვთა C. თანა-შეთსზულ არიან შეშა-ძარღვთა ინონი. ნემესიოს ესეც მგრძნობელად ძარღვად თქვა D. თანა-შეთსზულ არიან შეშა ძარღვთა. ინონი ნემესიოსში ესეც ძარღვად თქვა, მგრძნობელად E.

ინოხი ინოხი ZABCab.

მელეინეთ უფროსი (ხუცესი D), გინა პირის-მწღე CqD. დილი ვინება E.

ინჯლივი ქუთუთოს ბმო ZAB.

შდრ. ჭიჭლიბა.

ინჯრა იჯრა, ჯერი ZA.

ჯერი B.

ნ. იჯრა.

იობელისნი (+ 1 ნეშტ. 15, 28 ZAB) საყვირი(ა) მოკეცილი ZABC.

საყვირა DE.

ნ. საყვირი.

იოგი (ექესთა დღე 3) ნაწევარი B.

¹ შდრ. A—154, 175 vb; შდრ. „ენიოტი“ (სადაც ტ ზანის ნაცვლად ზის ამ ორ ასოთა მსკავესების გამო ნუსხურში). ² გამოცემის თანახმად 27-ე თავშია (გვ. 118,4).

იოვლიოს ესე არს წელიწადი ერ-
გასი, რომლისა შემდგომად
შჯული არღარა შეუნდობს ვა-
ლის მიცემად ZAB.

ორმოცდაათი წელიწადი, რომლისა
შემდგომად არღარა შეუნდობს სჯუ-
ლი სესხისა მიცემად C. ნ¹ წელი-
წადი არის D.

იოკებს დაოკებასთან ნახე ZA.

განუმარტავია B.

იოლვიხტრი ჩაქსული (ჩაქსულად
B) სხვადასხვა ფერი ZAB.

ნ. პოლვისტრი.

იოლნა (3, 18 გამოცხ.) თვალი
ისურმა ZA.

თვალი გამოისურმა B.

იომა ომი ქნა ZAB.

იონი ბერძენი ZAB.

ბერძენნი C.

იოპი „იოპი, ტბა და ღაზარაი“ E.

იორდასალები (ბალ.) ZABCDE.

იოტა (5, 18 მათე) მართლ ჩამო-
ზიდულსა მას ასოსა წერილთასა
იოტა ეწოდების, ხოლო ზე-
და კერძო წარზიდულსა მას
მგურდლ და გურდივ რქა ZA.

(5, 18 მათე) დამნიშველი. იოტა,
გინა რქა. მართლ ჩაზიდულსა მას
ასოსა წერილთასა იოტა ეწოდების,
ხოლო ზედა კერძო წარზიდულსა მას
მგვრდლ და გვრდივ რქა B. (+ მათეს 5, 18 Cb) სახარებაში
რომ სწერია იოტა და რქა (იოტა და
რქა სწერია DE) მართლ ჩაზიდულსა
მას ასოსა წერილთასა იოტა ეწო-
დების, ხოლო ზედა კერძოსა წარზი-
დულსა მას მგვრდლ და გვრდივ
რქა(დ) სახელ-ედების CDE.

იოტა წერილი ჰიქის შივი ZA.

ჰიქის წელიწადი შივი B. ჰიქის შივი-

ვი (+ წელიწადი C) CD. განუმარტა-
ვია E.

იოტნა ოტებულ ყენა ZAB.

იობ (7, 16 იერემ.) ოხას იქ ZAB.

იოხა ოხება ქ(მ)ნა ZAB.

იოხი რაფათა ZABCb.

იპატი ვიპატოსი ZA.

მეპატრონე ვიპატა თაშა, ვიპატო-
სი B.

5. ანთიპატი.

იპატივა პატივი დაიდვა ZAB.

იპატოჲ (იპატოთ E) (2 კავშ.)

ნიტასთან ნახე (+ საკრავის ძა-
ლი მგონია Aa) ZAa.

(2 კავშ.) საკრავის ძალი მგონია Ab.

2 კავშ.: იპატო(ი)თ ვიღრე ნიტამ-
დეს(ს) BCDE¹.

იპატოსი აგრევე ვიპატოსი ZA.

დიდებული, მეფის წინაშე მღევი B.

ბატონის მსგავსა კაცი (+ მეფის წი-
ნაშემდგომელი Cab) C.

ნ. იპატი.

იპატოსობა ბერძულად ბატონის მგზავს
კაცს ჰქვიან D. (უქმ.) ბერძულია,
ბატონის მაგვიერსავით არის E.

იპი-იპი რომელსა თურქნი იტყვი-
ან ბალი-ბალი ZA.

შე შე BCb. გიგო Ca. (+ ვეფ-
ხის-ტყ. E) გო გო DE.

იპოდრომი ბერძულია, ცხენთ
სარბიელი ZAB.

ცხენთ სარბიელი პე(რ)-
ძულად C. (უქმ.) იპოდრომი
და იპოკონიერი ბერძულად
ცხენთ-სარბიელს ჰქვიან D.
(უქმ.) ბერძულად ცხენთ სარბიელსა
სამქედროს ჰქვიან და იპოკო-
ნიერიცა E.

იპოვა პოენა ყო ZA.

პოენა ყო B.

¹ გადახაზულია Aa-ში მოწმობა.

[იპოკონიერი ნ. იპოდრომი].
იპომნიმატოლრაფოს (იპომნიმა-
 ტოლრაფო Cab) ყოველთ და-
 ვიწყებულთ საქმეთ მომგონე-
 ბელი ZAB.

რომელ არს ყოვლის დაიწყებულს
 საქმის მომგონებელი Cab.

იპოსტიისი გვამი(ა) ლათინურად
 ZABCD.

ნ. მაიპოსტასებელი.

იპოტირიტი პოტირიტი ZAB.

ნ. პოტირიტი..

იპარხი მთავარსავით ZABC.

მთავ D. მთავარი, იოსიპოს-
 ში: „არა მნებებელ იყვნეს მიტნაჲ
 იპარხისა და მსწრაფებელთა მათ“ E.

იპოკენტავროს (იპოკენტავროს-
 სი D) ეჲე ითქმის ვაც-ირემი.
 ვითარ შეგვამებულნი; არა თუ
 ზედ შეგვამებულ არიან. არამედ
 ზედ მოგონებით შეგვამდებიან:
 არა თუ ზედ მოგონებით გვამო-
 ბენ, არამედ რა დასცხრეს ზედ
 მოგონება (მოგონებულობა B).
 იგინიცა თანა-დასცხრებიან, რა-
 მეთუ არა არს იპოკენტავროსი
 (იპოკენტავროსი B) გვამისა
 შორის, მხილველთა ცხენ-კაცო-
 სათა ესრეთ აღწმასნეს ZAB.

იპ(პ)ოკენტავროს ითქმის ვაც-ირე-
 მი, ვითარ ცხენ-კაცი შეგვამებულნი;
 არა თუ ზედ შეგვამებულ არიან,
 არამედ ზედ მოგონებით შეგვამდე-
 ბიან; არა თუ ზედ მოგონებულნი
 გვამობენ, არამედ რა დასცხრეს ზედ
 მოგონებულობა, იგინიცა თანა-დას-
 ცხრებიან, რამეთუ არა არს იპოკენტავ-
 როსი გვამისა შორის. მხილველთა
 ცხენ-კაცისათა ესრეთ აღწმასნეთ C.

სხვა კათილორიპ: „ვითარ
 პოკენტავროსი ვაც-ირემი, რომელ
 ზედმოგონებულ უყუე შეგვამდები-
 ან, ხოლო არ-ზედმოგონებულნი არ
 გვამობენ, არამედ რა დასცხრეს რაჲ
 ზედმოგონებაჲ, იგინიცა თანა-დასცხ-
 რებიან, რამეთუ არა არს იპოკენტავ-
 როს გვამისა შორის. მხილველთა
 ცხენისა და კაცისათა აღწმასნეთ
 ზედმოგონებითა თანამდებარე რა-
 მე იპოკენტავროსი“ D.

იპრიანა უაღრესმა(ნ) იწადა ZAB.

იჟამნა ეამ(ნ)-კანონი თქვა ZAB.

ირა კერპთ ღმერთთ სახელია ZA.

კერპის ღმერთ სახელი არს B.
 განწმარტავთა Cb. 22 კაც ე: „სხა-
 სასასა საქმეშარტო“ E.

ირაო დიდ-დიდნი ფრინველნი
 ZA.

(ფრინ.) დიდნი ფრინველნი ასაკია
 B. (ფრინ.) დიდი ფრინველი(ა) CE.
 (ფრინ.) დიდი მფრინველნი D.

ირზინა სირზილი ყო ZAB.

ირგო რგება იქნია ZAB.

ირები Cb.

ირემ-ვაცი (39. 1 იობ.) ფრან-
 კელში ფ უ რ ი რ ე მ ი სწე-
 რია ZAa.

ირემი (ოთხფ.) (+ 2 შჯულ. 12.
 15 ZA) ZABCDE.

ნ. ბოჩიცი, ვაც-ირემი, ზრონა,
 იპოკენტავროს.

ირეოსი (30. 24 გამოსლ.) კასია
 ZABCb.

(30. 24 გამოსლ.) კასია. ხია შამ-
 ბარი ლათინურად, ხოლო ელენე-
 რად — დარიჩინ Ca. კასია CqD.
 გამოსლ.: „კალამი, ირეოსი, სთვე-
 ლი და ქაღბანა“ E.

ნ. კასია.

¹ შდრ. A—675, 189 r, 9. ² შდრ. A—250, 78 r.
 22. ტ. IV, 6. I.

ირესიონი (ირესიონსა CD) (+
იოსიპოს¹ ZA) ერისიონი ZAB.

იოსიპოს¹: „მომღებელი ჰელა
შინა ირესიონსა მვირსიონისა და ძეწ-
ნისაგან ნაყოფისა თანა ფინიკისა“
CD².

ნ. ერისიონი.

ირეწა სარეწავი მოიგო ZA.

სარეწავი მოილო B.

ირეკი საიფეკიო მახე ZABCD.

მახე საიფეკიო E.

ნ. მახე, საბრკე; შდრ. ილინკა.

ირიბი ურიბი ZABCD.

განუმარტავია E.

ნ. ურიბი.

არიდებოდა რიდებსა ჰყოფდა
ZAB.

ირისე (10, 1 გამოცხ.) ცის-
მშვილდი ბერძულად ZAA.

(10, 1) გამოცხ.) ცის-მშვილდი Ab.

ცის-მშვილდი BCDE.

ირკინებოდა რკენასა ჰყოფდა Z.

რკინებსა ჰყოფდა AB.

ირმის-ბაწარა ჯონჯოლა სოკო(ა)
ZABCD.

სოკო, თუ ნიხრა E.

ირმის-ენა (ბალ.) ZABCDE.

ირო ირონი ZAB.

ნ. ირონი.

იროელ წარმართთა უწოდებდნენ მა-
თის ნათესავისაგან ახოვნად და
ძლიერად გამოჩინებულსა, რა-
მეთუ ჰგონებდნენ, ვითარმედ არა
კაცთაგანი არიან, არამედ თანა-
ყოფითა კერპთათა შობილი დე-
დათა მათთაგან, ამისთვის
იროელ (იროელ Z) უწო-

დეს; ვითარმედ კერძოდ ი
ZAB.

იროელ უწოდებდნენ წარმართთა მა-
თისა ნათესავისაგან ახოვნად და
ძლიერად გამოჩინებულთა ვითემ,
რომელთა აზმობდეს, ვითარმედ არა
კაცთაგანი(ი) არიან, არამედ თანა-
ყოფითა კერპთათა შობილი დედათა
მათთაგან; ამისთვის იროელ უწოდეს,
ესე იგი არს კერძოდ მერტი CD.

იროიკო სხვაზე(დ) მჯობი
ZABCD.

იროკვა როკვა ქნა ZAB.

ირონ ბერძულად თოვლი(ა)
ZABCD.

ირონი და ირო (ირონი, ირო
ZABCD, ირონი E) ესე ორნივე
ეშმაკთა ბუნებისა მქონებელ
არიან, არა სრულიად მსგავსი
(მსგავსნი B) მათი (მათნი B).
არამედ უდარესნი ZAB.

ორნივე ეშმაკთ ბუნებისა მქონე-
ბელნი არიან, არა სრულიად მსგავსნი
მათნი, არამედ უდარესნი (უდარესნი
Cab) C. ირონი ეშმაკთა ბუნებისა
მქონებელნი არიან, არა სრულიად
მგავსნი (მსგავსნი D) მათნი, არამედ
უდარესნი (+ თუა D) ქაჯი (ქაჯნი E)
DE.

ნ. ქაჯი.

იროლ ლაზარობის ნეტაფრას:
„იროლ და კინამო შეუშვიკლებელი
ფრცხილი და ნარდი და კალამი, რა-
თა მათ მიერ შეზ[ა]ონ ნელსაცხებე-
ლი სულელი“ E.

იროლნი ირეოსი, კასიავე (+ არა
Z) ZAB.

ირეოსია, კასია C. ირეოსია D.

ნ. კასია.

¹ შდრ. A—675, 42 v, 6. ² C-ში მხოლოდ წყაროს დასახელებაა, მოწმობა არ არის.

ირყევა მიწა იძრვის ZAB.
 ირწმუნა დაიჭერა ZAB.
 ის იგ, თითოთ აჩვენოს Z.
 იგ, თითოთ ჩვენება Aa. იგ AbBC.
 განუმარტავია DE.
 ისადგურა სადგურს დადგა ZA.
 სადგომს დადგა B.
 ისადილა (+ 21, 15 იოანე ZA)
 სადილი ჭამა ZAB.
 ისავროჲ (ისავროი B) (მძრომ.)
 ესე ცხოელი მსგავსი არს ჯოჯო-
 სა და მისვე ტოლი, არამედ უკე-
 თუ მიწათა ვალს, ფერ მიწისა
 არს, უკეთუ მოლსა ზედა, მწვან-
 ნე არს, და რასაცა ფერსა შექქ-
 დების, მისვე ფერად იხილვების.
 ზმირინისა სანახებთა იპოების Z.
 (მძრომ.) ესე მსგავსი არს ჯოჯოსა
 და ტოლ მისსა არს, არამედ უკეთუ
 ცოცხალი მიწათა ვალს, ფერ მიწისა
 არს: უკეთუ მოლთა ზედა. მწვანეა.
 და რასაცა ფერთა შექქდების, მისად
 (+ მისად Aa) ფერად იხილვების.
 ზმირინის სანახებთა იპოების A.
 (მძრომ.) ესე მსგავსი არს ჯოჯოსა და
 ტოლ მისა არს, არამედ უკეთუ ცო-
 ცხალი (ცხოველი Cb) მიწათა ვალს,
 ფერ მისსა არს; უკეთუ მოლთა ზედა,
 მწვანედ იხილვების და რასაცა ფერ-
 სა შექქდების, მისად ფერად იხილვ-
 ბის. ზმირინს მახლობელ იპოების
 BCb¹.

ისათხევლა სათხეველი ესროლა
 ZAB.

ისარგებლა სარგებელი ქნა ZAB.
 ისარი (4, 4 ქება) ისარი ზოგადი
 სახელი არს ყოველთა ისართად.
 ხოლო განიყოფ(ვ)იან სხვა და
 სხვად სახელებითა: ფრთე-დაბა-

ლი და პირ-წვრილი, რომელსა
 ყიფიანნი და თურქნი იქონებენ.
 არს საყალნო; ზომიერ(ა)
 ისარი, ფრთე-მობრტყე, და პირ-
 მობრტყე არს სარჩა; მისგან
 უგრძესი პირ-დიდი და ფრთე-
 მაღალი არს ქეიბური; ისა-
 რი სარჩის მსგავსი (+ და Z)
 პირ-განაშებული მომცრო(ა) არს
 ქეიბორჯი; ისარი ქეიბურის
 მსგავსი პირ-დიდი (+ და Z)
 განაშებულა არს ბოძალი;
 ისარი სარჩის ტოლი სამ-ფრთო-
 სანი, უპირო, წვერ-მგრგვალი
 არს ყოდალი; ყოდლის(ა)
 უგრძესი, წვერ-მწვეტი ჯვარე-
 ლად ჩხირ-დასხმული არს
 ღრჯა; ფრთე-მაღალი, გრძელ-
 (+ და A) გრკალ-შემომბმული
 არს სეფქა; უფრთო, უპირო
 ისარი არს გეზი; სამალი
 არს ღარი რეიანა (სა)სატყორ-
 ცებელი და ისარი მტკაველზედ
 მეტი მის ღარით სასროლი. სხვა-
 ნიც რამ ისარნი არიან, რომელ-
 სამე ბორბ(ა) ლად უწო-
 დენ და სხვასა (+ და A) სხვა-
 სა, ხოლო ყრმათა ისარცუდა-
 სა — წინწყითელა ZA.

ისარი ზოგადი სახელი არს ყოველ-
 თა ისართა. ხოლო განიყოფიან
 სხვადასხვა სახელითა: ფრთე-დაბლა
 და პირ-წვრილი, რომელთა ყიფიან-
 ნი იქონებენ და თურქნი, იგი არს
 საყალნო; ზომიერი ისარი ფრთე-
 მობრტყე და პირ-მობრტყე არს სარ-
 ჩა; მისგან უგრძესი პირ-დიდი

¹ Cb-ში კიდევ სწერია: „სალამანდრა მის ისავრმას ოდენი“, ტაყ გადაუხაზაუო.

ფრთე-მალალი არს ქეიბურთი; ისარი სარჩის მსგავსი და პირ-განაბებული მომცროა არს ქეიბორჯი; ისარი ქეიბურის მსგავსი და პირ-დიდი განაბებული, არს ბოძალი; ისარი სარჩის ტოლი სამ-ფრთოსანი, უპირო, წვერ-მგრავალი არს ყოდალი; ყოდალის უგრძესი წვერ-მწვეტი. ჭვარდად ჩხირ-დასხმული არს ღრჯა; ფრთე-მალალი, გრძელი და გრკალ-შემომბმული არს სეფქა; უფრო, უპირო ისარი არს გეზი; საყალი არს ღარი რკინისა სასატყორცებელი და ისარი მტკაველზედ მეტი მას, ღარით სასროლი. სხვანიც რამ არიან ისარი, რომელსამე ბორბლად უწოდენ და სხვარიცა სხვასა, ხოლო ყრმათა ისარტუდასა — წინწკიტელასა B. ისარიცა ზოგადი სახელი არს ყოველთა ისართა. ხოლო განიყოვებთან ზრთა და პირითა სხვადასხვა სახელად: ფრთე-დაბალსა და პირ-წვლილსა, რომელსა ყვიჩანნი და თათარნი იქონიებენ, იგი არს საყალნო; მსგავსი (მგზავსი D) საყალნოსი და უმოკლესი, რომელსა ბერძენნი იქონიებენ, იგი არს ღიბანდაკი; ზომიერი ისარი, ფრთა-ბრტყელი და პირ-მობრტყე არს სარჩა, უგრძე მისგან და პირ-დიდი, ფრთე-მალალი არს ქეიბური, ვიეთნი სანადიროს უქმობენ; ისარი სარჩის(ა) მსგავსი (მგზავსი D) და პირ-განაბებული, მომცრო, არს ქეიბორჯი; ისარი ქეიბურის მსგავსი (მგზავსი D), პირ-დიდი და განაბებული, არს ბოძალი; ისარი სარჩის(ა) ტოლი, სამ-ფრთა, უპირო, წვერ-მგრავალი არს ყოდალი; ყოდალის(ა) (ყოდალისა C) უგრძესი, წვერ-მწვეტი, ჩხირ-დასხმული (ჩხირ-გასხმული C; + ჭვარდად C), არს ღრჯა; ფრთე-მალალი. გრძელი და გრკალ-შე(მო)ბმული არს სეფქა; უფრო,

კოწლები ([16, 13] მსაჯ.) თმბ
ნაწნავი (+ დაღალი ZAa); კოწ-
ლები თმის-სატანის ფოჩი (3,
3 ესაია) ZA.

თმის ნაწნავი [16, 13] მსაჯ. B. ნაწ-
ნავი, გინა სათმის ფოჩი CD. თმისა-
ტანი, ნაწნავი E.

ნ. განსათხვეელი.

კოწლები სათმის ფოჩი (3, 3 ესაია) B.

[კოპ ნ. საკოპავი (საბელ'თან), სა-
კოპური].

კოპა როკვაა ბუქნასავით ZAB.

კოპი (+ 3, 7 საქმე ZAa) ვეგი,
კოქად ითქმის მოკლე და მომ-
ცრო სართული ZA.

ვეგი BCDE.

კოპი მოკლე მომცრო სართული B.

კოპიკური თხემის ნაპარსი
მღ(ე)რდლისა ZA.

თხემის ნაპარსი² B. მღ(ე)დლის ნა-
პარსი თხემზე CD. განუმარტავია E.

კოპიმელი მზის ცა(ა) მეოთხე
ZAB.

ნ. მზე, ცა.

კოპისანელზედელი (ბალ.) ZAa.
(ბალ.) AbB.

¹ ნუსხებშია: „კოტვილი“. ² შდრ. A—175: 44 r, 22.

კოკლი (+ 35, 6 ესაია ZAa) მკე-
ლობელი ZABC.

განუმარტავია E.

კოკობა (ფრინ.) ZABCDE.

კოკობი მცირე ქოთანი ZABC.

განუმარტავია DE.

შდრ. კვანწია.

კოკუპრია ხ ა ტ თ-თ ა ყ ვ ა ნ ი ს-
ც ე მ ი ს ნ ე ტ ა ფ რ.: „საკმე-
(ვე)ლი, კოკუპრია, (+ და E)
ზუგია(ა) და მასტაყი (მასტაქი
B)“ ZABCDE.

კოხალია ორღანოა ძვალთა შემ-
მუსრველი ZA.

ორღანო არს ძვალთ შემმუსრველი
B. ესე არს ორღანო ძვალთა შემ-
მუსრველად (შემმუსრველი DE)
CDE.

კოხი ქვა, რომელი ცეცხლში არ
დასქდება (დასქდეს B) ZAB.

ქვა ცეცხლში გამძლე CD. განუმარ-
ტავია E.

ნ. ქვა.

კოხლიო (კოხლიოს CD, კოხი-
ლოს E) კონხლიო ZAB.

(მძრომ.) ლოფორთქინი CD. ლოფორ-
თქინა E.

ნ. კონქილიო, კონხლიო.

კოხლიო ეკლოვანსავეით რამეა¹ B.

კოხტა შორით (შორიდამ CD)
ამპარტავანს(ა) (პ)გვანდეს ZA

BCD.

განუმარტავია E.

ნ. სიკოხტავე.

კოხუჯი (კოხუჯი CabDE) იმე-
რული ქალამანი ZAB.

იმერული ქალ(ა)მანი. კოხუ(ნ)ჯი(ო)
არს სახე რაიმე ტოხვისაჲ სიფართ-
(ე)ით შესატყვისი ორთავე) ფერქთა
საკპრობელად (საკპრობელად Cb)
CD. განუმარტავია E.

ნ. ქალამანი.

კოჰნამანი ესე არს ლაშქართ
თავნი: — ათისთავი, ერგასისა და:
ასისთავი, და ყოველთა მისთანა-
თა გამრიგებელთა სახელი ესე
არს ZA.

ესე არს ლაშქართ თავნი, — ათის-
თავი, ოცისა და ასისთავი და ყოველ-
თა მისთანათა გამრიგებელთა ერთბა-
მად სახელია BCb. ვ ი ს რ ა მ.: „კოჰ-
ნამანი ლაშქართა მისთა განაჩინა“
CaqDE¹.

[ქრ ნ. კარ 1].

კრავი (ოთხფ.) (21, 15 იოანე)
ცხოვართ შვილი Z.

(ოთხფ.) ცხერის შვილი (21, 15
იოანე) A. (ოთხფ.) BCDE.

ნ. ცხოვარი.

კრავიდი (კრავიდთა E) (+ 1 ნე-
მეს. Cb) ბერძელია, პატარა
დ უ მ ი ა ნ ს კ ი ბ ო რ ჩ ხ ა ლ ს
ჰქვიან ZABCb.

(1 ნემეს.) ჩვილკეთია CaqD². (ნე-
მეს.) ჩვილკეთიანი E.

კრახანა (ბალ.) ZABCDE.

კრამიტი კეცის ლორფინი ZABC
(უქმ.) DE.

შდრ. ლორფინი.

კრატირი (+ 17 კავშ.⁴ ZAB)
ფეშხუმი ZABCDE.

შდრ. ფეშხუმი.

კრდიმლა ნ. კრტიმლა.

¹ წყაროს დასახელება და მოწმობა Cb-ში გადახაზულია. ² წყაროს დასახელება და განმარტება Cb-ში გადახაზულია. ³ ნ. ნემესის ემესლო. .. გვ. 15, 2 (სა-
დაც იკითხება „კარავიდთა“). ⁴ იგულისხმება იოანე პეტრიწის თარგმანება (II
წიგნ., 52, 17).

კრება (2 შჯულ. 17, 16) შეყრილობა ZA.

განუშარტავია BCqDE. კაცთ შეგროება Cab.

ნ. ეკრება, მკრებელი, მოკრება, საკრებელი, საკრებო, საკრებულო, შეკრება, შესაკრებელი

1, 2 (წვალება'სთანაც), ჰკრებდა. კრებული (+ 9, 5 ლევიტ. ZAa) შეყრილნი ZA.

შეყრილი B.

კრეტსაბმელი (კრეტსაბმელი ZCq-DE) (+ 27, 51 მათე ZA) კარის ფარდაგი ZABC.

განუშარტავია DE.

ნ. ფარდაგი.

კრეფა ხილთ მოწილვა, გინა ყვა-ვილთ(ა) მოწყვედა (წყვედა B) ZAB.

კრეფად ითქმის მოწილვაცა, რომელნი ნაყოფთა მომავლთა ხილთასა მოისთლობენ (მოისთლობდენ Cq), გინა ყვავილთა, ანუ მისთანათა ხილთა, თუ რასაცა კელითა მო(კ)კრებდენ C. განუშარტავია DE.

ნ. მკრეფელი, მოკრეფა, საკრეფი.

კრეჟა გაკნაჟვა ZA.

კნაჟვა BCD. ბალნისა E.

კრეჟა კბილისა E.

კრეჟა ძრცვა ZABCD.

ძარჟა E.

ნ. მკრეხელი.

კრვა ესე არს, რაჲც(ა) რასაც მოახვედრო: ისარი, თოფი თუ ქვა და რაჲცა; კრვა არს საკრავთა ძალთა ცემა; კრვა ჯ ითქმის ბარგთა და მისთანათა შეკოჭვა, გინა წიგნთა შეკინძვა, ანუ ღილთა და ხრიკათა - და ზოსტერთა და მისთანანი ZA.

ესე არს, რაჲც მოახვედრო: ისარი, თოფი, ქვა თუ ჭოხი. კრვა არს საკრავთა ძალთა ცემა; კრვად ითქმის ბარგთა და ვაშკარანთა შეკოჭვა, გინა ღილთა, ხრიკათა და ზორტთა შეკინძვა, გინა წიგნთა შეკინძვა და მისთანანი B.

ნ. კარ. 1.

[კროთლ ნ. მკროთოლვარე].

კროთმა (+ 4 ზირაქ ZAa) მცი-რე(ღ) შეხლტომა ZABCD.

განუშარტავია E.

ნ: გამოკრთა, გამოკროთმა, განვეკრთ, განკრთა, განკროთმა; შღრ. ასადარებს.

კრია მიწა კშირად ქვიანი ZABC DE.

კრიალესვანი (კრიალესონი CaqD) სალოცავად ასხმული მარცვალ-ნი ZA.

განუშარტავია BCaQD. ესე არს ასხმული მძივნი, ანუ ხეთა ნათალნი ძაფთა ზელა, ლოცვისა სათქმელად Cb.

შღრ. კირიეელესონ; ნ. ჭიქის

კრიალესონი (ქარასტა'სთან).

კრიალი კულის ქმა(ა) ZAB.

კლდის ნაპარალში კენჭით ჩაყრის ქმა Cb. განუშარტავია CaqDE.

კრიანტელი უთრუთიანი:

„(+ ფრიდონს ქორწილში ZAB)

გაატანეს (გაატანა BCb) კრიანტელი ჩინური და ჩალბათა“ ZABCb.

[კრიბ ნ. კრება].

კრიკინა (ხე) ველური ყურძენი ZA.

(ხე) ველური ყურძენი. [რძღვამლი იმერთავან B. (ხე) ძღვამლი, გარეული ყურძენი CD.

კრინვა ძვილ კმის ამოღება ZA.

ძვილ კმის ღება BCD. განუმარტავია E.

ნ. ფშვნვა.

კრინი (ბალ.) შროშანი ყვაილი ZAB.

(ბალ.) შროშანი ყვაილთა CD.

კრინი, რომელ არს შროშანი ყვაილთა E.

კრინი შიშით კმის გაწვევა Cab.

[კრისტონ ნ. მეკრისტონე].

კრიფ ნ. კრეფა.

[კრიჭ ნ. კრეჭა].

კრიჭა წისქვილის ხეარბლის საღენი ZABCaqDE.

წისქვილის ხეარბლის საღენი, კაცსაო ეტყვიან — კრიჭა აშკარა Cb.

[კრკალი ნ. გრკალი].

კრკვინვა ნ. კრკინვა.

კრკიალა საჩინოდ სანახავეი ZAB.

განუმარტავია CDE.

კრკილი (მძრომ.) კმელთ კორცთ

გამრყენელი ჭუა ZAB.

ესე არს (არი D) ჭია კმელთა კორცთა და თევზთა განმრყენელი

CD. თევზის და კმელის კორცის განმყრენელი ჭია, — კრკილი E.

კრკინვა (კრკვინვა DE) გრგვინვა ZA.

გრკვინვა B. დაყვავება(ა) CDE.

ნ. კრკოლა.

კრკო (ხე) მუხის ხული ZA.

(ხე) BCD. განუმარტავია E.

კრკოლა მოგონებული თრთოლა ტყუვილი ZA.

თრთოლა, მოგონებული, ტყუვილა

B. თრთოლა CD. განუმარტავია E.

ნ. ძრწოლა.

კროკო (ბალ.) ზაფრანა ZABCD.

ვარდი, კროკო, შროშანი ყვაილია რალაც და არ ვიცი სწორად E.

კრონოსი * ესე ვარსკვლავი არს მეშვიდესა ცასა ზედა, რომელსა ეწოდების ალბასტრო. ხოლო მოიქცევის ცაჲ ესე დასავლიდამ აღმოსავალისა მიმართ ოცდ(ა)ათთა წელიწადთა შინა ერთ გზის. ხოლო კრონოსისა სიდიდე არს ოთხმ(ე)ოცდაათჯერ ქვეყანისა ოდენი ZA.

* ესე კრონოსი არს მეშვიდესა ცასა ზედა. ხოლო მოიქცევის ცაჲ ესე დასავლიდამ აღმოსავალისა მიმართ ოცდაათა წელიწადთა შინა ერთ გზის. ხოლო კრონოსის სიდიდე არს ოთხმოცდაათერთმეტჯერ ქვეყანისა ოდენი B. * კრონოსი არს მეშვიდესა ცასა ზედა. ხოლო მოიქცევის ცა ესე დასავლეთიდამ აღმოსავლეთისა მიმართ ოცდაათსა წელიწადსა შინა ერთ გზის. ხოლო არს ცისა მის სიმგრგვლე ექვსას და ათსამეტი ბევრის-ბევრი და ოთხას ოცდაათოთხმეტი ათასი ეჭი; სივრცე მისი ოთხმოცდაათხუთმეტი ბევრის-ბევრი და ას ოთხმოცდასამი ათას ექვსასი ეჭი. ქვეყანით იქიმდე ოთხმოცდაათშვიდმეტი ბევრის-ბევრი და ხუთას ოთხმოცდაშვიდი ათას სამი ეჭი. ამ ცაში კრონოსის მეტი ვარსკვლავი არ არის, ხოლო სიდიდე მისი არს ოთხმოცდაათერთმეტჯერ ქვეყანის(ა) ოდენი. ხოლო ამისა სახეობასა იტყვიან ბერის კაცის მსგავსობასა, — მარჯვენსა ჯელსა აქვს ცეცხლი და მარცხენასა (+ ჯელსა Ca) გველი მოზოკილი. კრონოსი გამოითარგმანების სისავსედ გონებისად ანუ სიმალედ (სიმამლად Cb) (+ რამეთუ ყოველი სავსე მამლარ არს Cb) Cab. * კრონოსი არს მეშვიდესა ცასა ზედა. ხოლო არს ცისა მის სიმგრგვლე ექვსას და ათსამეტი ბევრი და ათასი ეჭი. სივრცე მისი ასოთხმოცდაათხუთმეტი ბევრი და ათას ექვსასი ეჭი. ქვეყანით იქიმ-

დე ოთხმოცდაათშიდმეტი ბევრი და ხუთას ოთხმოცდაშვიდი ათასი ეჭი. ამ ცაში კრონოსის მეტი ვარსკვლავი არ(ა) არს. (+ ხოლო Cq) სიდიდე მისი არს ოთხმოცდაათერთმეტჯერ ქვეყ(ა)ნისა ოდენი. ესე მოვლის სიმგრავლესა ცისასა ოცდათსა წელიწად შინა (წელიწადში D) ერთჯერ, ხოლო ამისა სახეობასა იტყვიან ბერის კაცის მსგავსობასა; მარჯვენასა კელსა აქვს ცეცხლი და მარცხენასა გველი მობოკილი (+ კრონოსი გამოითარგმანების სისავსედ გონებისად ანუ სიმალედ Cq) CqD. *კრონოსი არს მეშვიდესა ცასა ზედა. ხოლო არს ცისა მის სიმგრავლე ექვსას და ცამეტი ბევრი და ათასი მილიონი. სიერცე მისი ას ოთხმოცდათხუთმეტი ბევრი და ათას ექვსასი მილიონი. ქვეყნიდამ იქიმდე ოთხმოცდააჩვიდმეტი ბევრი და ხუთას ოთხმოცდაშვიდი ათასი მილიონი. ამ ცაში კრონოსის მეტი ვარსკვლავი არ არის. ხოლო სახე კრონოსისა ბერის კაცისა არს, მარჯვენასა კელსა აქვს ცელი და მარცხენასა გველი მობოკილი; ხოლო სიდიდე მისი არს ოთხმოცდაათერთმეტჯერ ქვეყნის ოდენი. ესე მოვლის სიმგრავლესა ცისასა ოცდაათს წელიწადში ერთჯერ E.

ნ. ზუალი, ზუაპლი, ცთომილნი.

კრონოსისა შაბათი ZAB.

ნ. კვრა, შაბათი.

კრონოზო (კრონოზო E) კრონოზო, რომელ არს ლაქლაქი თან(ა)შედგმული CD. რომელ არს ლაქლაქი თანაშედგმულნი E.

კროვი სომხურია, კოლოფს ჰქვიან ZAB.

(უქმ.) კოლოფივით Cb. (უქმ.)

CaqDE.

კრტიმლა (კრდიმლა Ab) ნიდავ

უგვანი შულლი Z.

უგვანი ნიდავ შულლი A. უგვანა შულლი BCDE.

კრტნა ჩიჩქნასავით ZABCD.

განუმარტავია E.

კრული (+ 1, 1 ფილიმონ ZA)

შეკრული ZABCD.

განუმარტავია E.

ნ. საკრულავი; შდრ. კარ 1.

კრუნე სამარტვილე ZABCD.

ნ. სამარტვლე.

კრუტვა (კრუტუა ZA) თვალთ

ნახევრად მოხუჭვა ZAB.

თვალთ ნახევარზე მოქუხვა Cb.

ნ. დაკრუტვა.

კრუტი (ფრინ.) ბარტყის დედა ZAB.

კრუტუა ნ. კრუტვა.

[კრუტუნი ნ. ფშვნვა].

კრუხი (ფრინ.) კრუტი ZAB.

(ფრინ.) კრუტი, ბარტყის დედა E.

(ფრინ.) DE.

კრჩხა კაჩალოსავით ZA.

კაჩალოვით B. კაპედი ხე დასაკიდრად რისამ Cb. განუმარტავია CaqDE.

[კრჩხალი ნ. კრცხალი].

კრჩხიალეზა (კრჩხიალი DE)

ღიაცთ კივილი ZAB.

ღიაცთ ყვირილი(ა) CDE.

ნ. ღაღადეზა.

კრცხალი ორ წელ უთესველი

ნარბილი ZAB.

ორის წლის დაუთესავი (დაუთესველი Cb) ნარბილი Cab. კურცხალი

(ნაყველარი D), ნაწველარი CqD.

კურცხალი E.

ნ. ნარბილი.

კრძალვა (+ 4 მეფე 8, 11 ZAa)

სიფრთხილე ZA.

სიფრთხილესავით B. კრძალვა არს

სიფრთხილე, ვინა რიდეზა CD.

კრძალვა არს სიფრთხილით დამარხვა რასამე, ანუ დარიღება E.

ნ. აღვიკრძალავ, დაკრძალა, დაკრძალვა, ეკრძალე, ეკრძალე-ბოდა, ვკრძალავ, მკრძალავი, საკრძალავი.

კრწყილი (მწერ.) გრწყილი ZAB. (მწერ.) CDE.

კრხიალებდა ფრინველთ (ფრინველთაგან B) ვება მართვეთა ზელა ZAB.

ოდეს ფრინველნი მართვეთა მათთა ვნებასა ზელა ჩხოოდენ, კრ (ჩ) ხ ი ა ლ ე ბ ა დ (+ ეწოდების D) და შ რ ი ა ლ ე ბ ა დ (+ ეწოდების C) CD. ოდეს ფრინველნი მართვეთა მათთა ვნებასა ზედან ჩხოოდენ, კრ ხ ი ა ლ ე ბ ა დ ეწოდებინ E.

კსინვა (16, 3 მათე) ავად აშლილივით ჰაერი ZA.

ავად აშლილივით (16, 3 მათე) B. აშლილსავით CbqD. აშლილობასავით Ca. მწვავე სიცივე E.

ნ. მკსინვარე; შდრ. სიცივე.

კსუ (+ 2, 6 ეზეკ. ZAA¹) შეუჩვეველი ფრინველი ZAB.

ქსუვი, შეუჩვეველი C.

ნ. უმწყისი, ქსუვი.

კუ (ოთხბ.) (+ 12, 11 ოსე ZAA) ბალა ZABC.

განუმარტავია D. (ოთხბ.) E.

კულად (კვალად CDE) (+ 4, 6 მალაქ. ZAA) კიდევ ZABCD.

განუმარტავია E.

ნ. კდ, საკულადიოდ.

კულად-გება (2, 27[?] იობ) კიდევ გაკეთებაო ZAA.

[კულათ ნ. საკულათი].

კული (კვალი CqDE) (1, 3 ისო) ნაფეკვარი. (მ)სოფლიონი კვალს უკმობენ კნელის ორნატსა და ბოსტინს მარგსა ZA.

ნაფეკ(ვ)არი BCD. განუმარტავია E.

ნ. მკულავი, მკულეველი მუაქულაღე, ნაქულევი 1, 2, ორნატი; შდრ. მიუქულაღენ.

[კუამ ნ. ვაკმიე, იკმია, კმოდა, კუამლი, კუამნა, კუმანედ, კუმევა, მარიამსაკმელა, მკმოლვარე. საკმეველი, საკმელი, სასაკმეველი].

კუამლი (კვამლი CqDE) (+ 17, 9 ფსალმ. ZA) ცეცხლს ბოლი ZAB.

ცეცხლის წვის ნისლივით Cb. განუმარტავია CaqDE.

კუამნ (კვამნ CDE) ცხვირ-პირით გამოკვამლვა მრისხანებით ZA.

ცხვირ-პირით (-პირთ Cb) გამოკვამლოვი BCb. განუმარტავია CaqDE (ავინებ, სცემ, ექალი, ფუცავ, ლალადებ, კვამნ, ივტროდენ ამის სიმთრავლისაგან CD²; ზრაზვენ, უთმინო არნ, ავინებ, სცემ, ექალინ, ფუცავნ, ლალადებ, კვამნ, ივტროდენ ამის სიმთრავლისაგან E).

კუანწვა³ ქალთ როკვაში უსულიანად მიმოგრება ZA.

ქალის უსულიანი მიმოგრება როკვაში B.

ნ. დაკუანწვა.

კუართი (კვართი CqDE) (+ 19, 23 იოანე ZA) ჭუბა, გინა პერანგი ZAC.

ჭუბა, გინა პერანგის მსგავსი B. პერანგი DE.

1 წყაროშია: „განკსუვდენ“. 2 Cb-ში ეს ადგილი გადახაზულია. 3 ნუსხებშია: „კვანწვა“.

ინ. აკუართული, განკუართული.

კუარცხლბეკი (კვარცხლბეკი CqDE) (5, 35 მათე) ფერკის სადგმელი ხარისხი ZA.

ფერკის (და)სადგმელი BCDE.

ნ. აღსაველი.

[კუარცხლი შდრ. მკვრცხე, მკვრცხლი, მოკურცხლვა].

კუახი (კვახი ZABCqDE) აყიროსთან ნახე ZAB. (ბალ.) გოგრა C. (ბალ.) DE.

კუბაჟ (38, 38 იობ) ბელტი მიწისა ZABCb.

კუბასტი (+ 9, 39 საქმე ZABCb) ლეჩაქი ZABCD.

ლეჩაქსავით რამ არის (საქმე მოციქულთა [9, 39]) E.

ნ. ლეჩაქი.

კუბო ესე არს ქალთა და კაცთა ჩასაჯდომელი (შთასაჯდომელი B). აქლემთა ასაკიდებელი, გინა ქელთ სატარებელი ZAB.

კუბო არს შთასაჯდომელი ქალთა, აღსაკიდებელი აქლემთა, გინა პილოთა, საპათიონი რამე შეშხადებულნი; ხოლო მსოფლიონი კუბო დ უკომბენ, გინა გავალაკთა, გინა მცირეთ(ა) კონქთა, გინა მკვდართა შთასადებულთა გვადრუთა C. განუმარტავთა DE.

ნ. კელკუბო.

[კულ. ნ. კუედ].

კულა უკულო ZABCab.

შდრ. კულური 1.

კულბეწუა (კულბეწვა ZABCqD)

(ბალ.) ღვარძლს(ა) ჰგავს ZABC.

(ბალ.) D.

კულდელი კუდის მქონებელი ZAB.

კული (+ 22, 23 ლევიტ. ZAA) რო-

მელთა ბალანი მოკლე აქეს(ს)თ, ვითარცა კამბეშთა (კამბეჩთა A) გარე-თხათა და მისთანათა, გინა მკეცთა, ძალლთა და მისთანათა, რომელთამე უბალნო, ვითარ გველთა, ხვლიკთა და მისთანათა. ხოლო რომელთა კულ(ნი) ფრთოანი აქესთ, ვითარ ფრინველთა, და ფარფლოსანი ვითარცა თევზი (თევზთა Ab), არა ითქმის კულად, არამედ ბოლო დ; რომელთა კულნი გრძელ-თმოსანი აქესთ, ვითარ ცხენთა (+ და Z) ჯორთა და მისთანათა, ეწოდებიან ძუა, ხოლო სხვათა კულ-მოკლეთა ვითარ ირემთა და შინა-თხათა და დათვთა და ეგევითართა, ეწოდებიან პოჩი, ხოლო კულ-ბრტყელთა, ვითარ ცხოვართა და თაქვთა (+ და Z) ნასნასთა, ასთაკვთა და ეგევითართა, დუმა ეწოდებიან ZA.

კულად ითქმის, რომელთა ბალანი მოკლე ესხნეს. ვითარცა კამბეშთა, გარე-თხათა და მისთანათა, გინა მწავთა, მკეცთა, მელთა, ლომთა, ძალლთა და მისთანათანი, რომელიმე სრულიად უბალნო, ვითარ გველთა, ხვლიკთა, კორკოდილოთ, ტრიგონთა და მისთანათანი. ხოლო რომელთა კულნი ფრთოანი აქეს, ვითარ ფრინველთა, და ფარფლოსანი, ვითარ თევზთა, არა ითქმის კულად, არამედ ბოლო დ; რომელთა კულნი გრძელ-თმოსანი აქეს, ვითარ ცხენთა, ჯორთა და მისთანათა, ეწოდება ძუა; ხოლო სხვათა კულმოკლეთა, ვითარ ირემთა, შინა-თხათა, დათვთა, ეგევითართა ეწოდება პოჩი; ხოლო კულ-ბრტყელთა, ვითარ ცხოვართა, თაქვთა, ნასნასთა, ასთ-

კვთა და ეგვეითართა, — ღუშა B. კუდაღ იგი ითქმის, რომელთა ბალანი მოკლე ესხნეს, ვითარცა კანბეშთა (კამბეშთა Cq) და გარე-თხათა და მისთანათა, გინა მწაეთა, მელ(ა)თა, მგელთა, ლომთა და მისთანათა, რომელთამე სრულიად უბალნო, ვითარ გველთა, ხვლივთა, თაგვთა, ტრიგონთა, კოჩკოდილოთა და ეგვეითართა. ხოლო რომელთა კუდნი ფრთიან აქვს, ვითარ-იგი თევზთა და (მ)ფრინველთა, არა ითქმის კუდაღ, არამედ, ბოლოღ; რომელთა კუდნი მრავალ და გრძელ-თმოანი აქვს, ვითარ ცხენთა და ჭორთა და ვირთა, იგი არს ძუა; ხოლო — სხვათა კუდნი მოკლენი, ვითარ ირემთა და თხათა, (+ და Cb) დათვთა და ეგვეითართა, ეწოდებიან პოჩი; ხოლო კუდბრტყელთა, ვითარ ცხოვართა და თაქვთა და ასთაქვთა და ეგვეითართა, ეწოდების ღუშა C. კუდაღ იგი ითქმის, რომელთა ბალანი მცირე ესხნეს ანუ სრულიად უბალნო იყოს, ვითარცა გველთა და ხვლივთა, გინა ლომთა და მელთა და ეგვეითართა; ხოლო რომელთა კუდთა ფრთენი აქვნდეს, არა კუდღ, არამედ ბოლოღ ეწოდების ვითარცა თევზთა და ფრინველთა; და რომელთა კუდთა თმათა მსგავსნი ესხნეს, ძუად ითქმის, ვითარცა ცხენთა და ჭორთა და ეგვეითართანი; ხოლო კუდთა ბრტყელთა ღუშა ეწოდების — ცხოვართა, მთახეთა და ეგვეითართა D. განუმარტავია E¹.

ნ. დანაკისკული (ხურმა'სთანაც), ზროხაკული (ნაფირ'თანაც), კუდა, კუდედი, კუდიანი, კუდოვანი, კუდური 1, 2., მელის-კუდა, სერის-კუდი (სამხარ'თან).
კუდიანი კული რომ ებას ZAB.

კულმოზუერი (კულმოზუჭრი ZA, კულმოზვერი BCqDE) თევზის საპყრობი საგოდრე ZA.

თევზთ საგოდრე B. თევზის საგოდრე C. თევზის საპყრობია D. განუმარტავია E.

ნ. დგუელამური, საპალურო.

კულო (ხე) ZABCD.

განუმარტავია E.

კულოვანი კუდიანი ZAB.

კუდუნი ზანზალაკი(ა) ZABCDE.

ნ. ზანზალაკი.

კუდური (2 შჭულ. 23, 1) უკულო ZA.

შდრ. კუდა.

კუდური კუდიანი. ამას მსოფლიონი გრძნეულს უწოდენ და არცა თვით იციან და არცა მჩემებელთა მისთა, თუ რაჲ არს და ვითარ არს გრძნების-მოქმედება, და ტყუ(ვ)ილსა რასმე შე(ს)წმანსინან ZA.

კუდიანი. ამა კუდურთა და კუდიანთა მსოფლიონი გრძნეულსა უწოდენ, და არცა თვით იციან, არცა მჩემებელთა მისთა, თუ რაი და ვითარ არს გრძნეულება, და ტყუილს რასმე შესწმანსინან B. განუმარტავია Ca.

კუდუსუნი საკაჰკაჰის ძვლის წვერი ZABCb.

განუმარტავია CaqD.

კუება² დაკვება, გამოკვება ZABCD.

[კუედ ნ. მეკულო, მეკუდარი, მოკუდედი, მოკუდა, მოკუდავი (ნათესავ'თანაც), მოკუდინება, მომკუდარუნება, მოსიკუდიდ, მოუკუე, სიკუდიდ, სიკუდილო,

¹ E-ს ახლავს მინაწერი: „გაყაე“, რაც კუდის სახეების აღწერას უნდა ნიშნავდეს. ² ნუსხებშია: „კვება“.

უკუდავა, უკუდავება, უკუდავე-
ბის წამალი, უკუდავების წყალი,
უკუდავი (ნათესავე¹ თანაც), ცოდ-
ვა მომაკუდინებელი].

კუეთა¹ განკვეთა ZAB.

6. ანაკუეთი, გაკუეთა, გაკუე-
თილი, გაკუეთილი (ულუფა²-
თან), განუკუეთელი, განუკუეთე-
ლი (პირ³ თან), გაუკუეთდიან, გაუ-
კუეთელი, დააკუეთა, დაკუეთა,
დაკუეთება, ეაკუეთა. ვმეტკუე-
თილებთ, კუეთაჲ, მეტკუეთილი,
მკუეთი, მკუეთრ, მო-ვე-ეაკუე-
თოს, მოკუეთილი, ნაკუეთი (სქი-
მა⁴ თანაც), ნაკუთი, საკუეთელი
1, 2, საკუეთი, სამკუეთო, სასო-
წარკუეთა, სულის-კუეთა, წარ-
კუეთა.

კუეთაჲ² იგივე ZAB.

განკვეთა C.

კუეთება³ დაკვეთება ZAA.

კუერეჟსი (კუჭრეჟსი ZA, კვერე-
ჟსი CqDE) დიაკენის ქადაგება
ZABCDE.

6. ქადაგება.

[კუერთხ 6. საკუერთხი].

კუერთხი (კუჭრთხი ZABC, კვერ-
თხი DE) (22, 4⁵ ფსალმ.) საგვე-
მელი ჯოხი ZA.

(+ 22, 4 ფსალმ. B) საგვემელი
არგანი BC. ჯოხი BCb. მომცრო
არგანი D. არგანია E.

6. ჯოხი.

კუერი (კუჭრი ZA, კვერი CqDE)
(+ 41, 7 ესაია ZAA) რკინის
დასაკვერებელი ZAB.

რკინის საკემელი C. რკინისა D.
განუშარტავია E.

6. მუაკუერე.

კუერი (კუჭრი ZA, კვერი CqDE)
(3 მეფ, 14, 3) პური მგრგვალნი
ZA.

მგრგვალნი პური BC. პურისა D.
განუშარტავია E.

6. ლელვს-კუერი, სეფის-კუე-
რი, ტყბილის-კუერი.

კუერი (კუჭრი ZA, კვერი CqD)
შაქარი და რაჲც (რაიცი B) მობრ-
ტყედ შე(3)ქმნა ZAB.

შეზელილი გამქმარი CD.

კუერნა (კუჭრნა ZA, კვერნა
CqDE) (ოთხფ.) (+ 6, 21 ბარუქ
ZAA) ZABCDE.

6. ტყავი, ხაზილი.

კუერცხი (კუჭრცხი ZA, კვერცხი
CqDE) 10, 14 ესაია ZAA.

განუშარტავია ABCDE.

6. ერბოკუერცხი.

კუესი (კუჭსი ZA, კვესი CqDE)
რკინა ცეცხლის მშობელი ZAB.
ცეცხლის მშობელი რკინა Cb. გან-
შარტავია CaqDE.

6. მოკუესილი (ჩახმახ⁶ თანაც),
საკუესე.

[კუეც 6. დაკუეცა, მკუეცრისა].
კუეხნა (კუჭხნა ZA, კვეხნა
CqDE) დაიქაღოს რა(მ)მე. ცუ-
ლად ZA.

დაქაღებასავით B. დაიქაღა C.
განუშარტავია DE.

6. საკუეხნარი, ქადილი.

კუვირვება 6. კვრვება.
კუვირხტორი სამეფოთა ზედამდეგი B.

6. კვსტორი.

კუვირტი 6. კვრტი.

კუვირტოს 6. კვრტოს.

¹ ნუსხებშია: კუცთა¹. ² ნუსხებშია: „კუცთაჲ“. ³ ნუსხებშია: „კუცთება“.

კუვირჩხა ნ. კვრჩხა.

კუვულისი (კუველისი და სეკრეტიკოსი C) დასი საეკლესი(ა)ოთა პატივის უფალი ZAB.

ესენი (კუველისი და სეკრეტიკოსი D) დასნი საეკლესიონი პატივის(ა) უფალნი არიან CD.

კუზა (კუზა და ზუკა E) ზუკა, კვირტოს ZABCD.
კვირტოს E.

კუშთა ნ. კუეთა.

კუშთაჲ ნ. კუეთაჲ.

კუშთება ნ. კუეთება.

კუშრეჟსი ნ. კუერეჟსი.

კუშრთხი ნ. კუერთხი.

კუშრი ნ. კუერი 1, 2, 3.

კუშრნა ნ. კუერნა.

კუშრცხი ნ. კუერცხი.

კუშხი ნ. კუესი.

კუშხნა ნ. კუეხნა.

კუთ ნ. განკუთნვა, საკუთარი (მარტივ'თანაც), საკუთარი, უსაკუთრესი; შღრ. კუთნვა].

კუთვნა ნ. კუთნვა.

კუთი სისქე კორცთა ZAB.

კუთი ეწოდების სისქესა კორცისასა (კორცთასა D) CD. განუმარტავია E.
ნ. კუნთი.

კუთნვა (44, 3 იერემ.) მსხვერპლის შეწირვად Z.

44, 3 იერემ. Aa.

ნ. განკუთნვა, დაკუთნვა, მკუთველი.

[კუთნვა] მგორეს თარგმანში იოვანესასა ეწერა: „ისწრაფდენ სიკვდილისათვის თქვენისა, ვიდრემდის ემონოს კუთვნისა მირთმევა ღ'თისა“, ესე იგი არს ღ'თისა სათნოდ გონებდეს საქმესა და კეთილ

მსახურებით ქმნილთა Aa. საკუთრებაი B. განუმარტავია Cb.

კუთხე (კუთხი AbBCD) 31, 32 იერემ. ZAa.

განუმარტავია AbBCDE.

ნ. საკუთხი.

კუილი ZABCDE.

შღრ. პრაწი.

კუკი კაცთ სახე ცუდა(დ) შემზადებული ZAB.

კუპრა შემზადებულ(ნი) კაცთა მსგავსნი (მგზავსი Cq) C. კუპრა DE.

კუკილი (კუკი D) ცუცქილი ZBC. ცუცხილი A. ცუცქი D. განუმარტავია E.

შღრ. კუკუა.

კუკუ გუგულის კმიანობა ZAB-CD.

გუგულის ზახილი E.

კუკუა ჩჩვილთ ენით მოჴმა ZAa.

შღრ. კუკილი.

კუკულა მამათ-ცხ. „კამლა პურსა და სმილა კუკულასა ღვინოსა“ E.

კუკური გაუშლელი ფოთოლი ZA.

ფოთელი გაუშლელი B. გაუშლელი ფოთოლი, თუ ყვაილი C. განუმარტავია DE.

ნ. კკკური; შღრ. გურტი.

კუკუხო თემოს ძვალნი ZA.

თემოთ ძვალნი B. განუმარტავია CDE.

კულა ხის სასმისი კმიანი ZA.

განუმარტავია BCDE.

ნ. წელა.

კულავ (კელავ CqDE) მერმესავით ZABC.

განუმარტავია DE.

კულანი ევნის უღელთ ასაკრავი ZA.

1 ნუსხებში: „კუთვნა“.

ენის უღელზე/ასაკრავი B. უღელზე ეენის დასაკრავი C. განუმარტავია DE.

კულატპალატი მეფის ადგილს მჭლომელი გა(ნ)მგებელად ZA.

ყაიმაყაიმი B. ესე არს (+ კეისრისა C) ყაიმაყაიმი და ყაფიდან იორიე იყო(ს) ერთად CD. კულატპალატობა არს, რომელსა კეისრისა ყაფიდანობა და კაიმაკიობა ორივე ჰქონდეს E¹.

კულბო ორმოს შიგნით მოსაჩაღლავი ZAB.

(ბალ.) ორმოში ხვარბალს გარ რომ ულოს შემოუწყობენ, მას ეწოდების C. ორმოში ხვარბალთათვის გარშემოსაწყობს ულოს ეწოდება D.

კულევა ნ. უკულეველად.

კულიავი (კვლიავი CqDE) (ბალ.) ZABCDE.

ნ. ზირაკი.

კულმუხი ნ. რიტინი.

კულმუხო (ბალ.) ZABCDE.

კულუმბური (ბალ.) ZAa.

(ფრინ.) AbB.

კულუხი ღვინის ღალა ZABCD.

კუმანედ კმორა ZAB.

კუმაში ყუმაში ნაქსოვი ZAB.

ნაქსოვნი C. (უკვ.) D.

ნ. ყუმაში.

კუმევა (1, 6 ლუკა) საკლმის (!)

დაწვა ZAa.

ნ. კუამ.

კუმკუმა ვეცხლის კუტალი ZAB.

კუმბა საპო(ვ)ნი ZAB.

მგრგვალი საპო(ვ)ნი CDE.

ნ. საპონი.

კუმუშ ნ. შეკუმშა.

კუნდიტი ღვინო მგბარი შაქრითა

და სულნელებით(ა) (სუნელით B) შეზავებული (+ ტიბიკონში ZAa) ZAB.

კუნდიტი არს ღვინო მგბარი(ი) თაფლითა და სუ(ლ)ნელებითა სახერეტელად, ხოლო თ ე რ მ თ ნ ი წყლითა და სუ(ლ)ნელებითა და თაფლითა მოღულებული სახერეტელად C. კუნდიტი არს (+ სახერეტელი D) ღვინო მგბარი თაფლითა და სულნელ(ებ)ითა DE.

[კუნელი შდრ. სკუნელი].

კუნესა (კვენესა CqDE) (+ 2 კორინთ. 5, 2 Z) სნეულის ვაება ZAaB.

სნეულთ ვაება Ab. სნეულის ვაება, გინა კმა რამე C. განუმარტავია DE.

ნ. სულის-კუეთა; შდრ. სნეკვა.

კუნეტა (კვენეტა ZABCqDE)

კმელის ჰამა ZAB.

კმელის ჰამის კმა C. განუმარტავია DE.

კუნთი (1 მეფე 9, 24) კუთი ZA.

კუნიტი (კვნიტი ZABCqDE) მარილის ნატეხი ZA.

მარილის ნამტკრევი B. მარილის ნალეწი დიდი (წვლილი D) CD. მარილი დიდად ნამტკრევი E.

კუნიწი (კვნიწი ZABCqE) მარილის წვრილი ნამტკრევი ZA.

წვლილი ნამტკრევი B. მარილის ნალეწი წვლილი C. ეს წვლილად ნაწილი E.

კუნკრუხელა (ხე) ხიჩატელია ერთი ZABC.

(ხე) DE.

ნ. ხიჩატელი.

კუნკული (+ 7, 5 მამათ-ცხ.² ZAa) მონაზვნის (მონოზნის

¹ აღრე განმარტებული ჰქონია ეს სიტყვა შემდეგნაირად: „სალთხუცესსაით“, ტაე მერმე გალაუხაჯეს. ² შდრ. A—1105:166 r, a („უკუული“).

CqD თავ(ს)საბურავი **ZABCD**.
მონონის ქული. E.

კუნკული კაცის **Cb**.

კუნტვა (კუნტუა **ZA**) შებღუნდ-
ვით წოლა **ZABC**.
განუმარტავია **DE**.

კუნტი შესრულებული თთვე თუ
წელი(წადი) **ZAB**.

შეკრულივით **CD**. განუმარტავია **E**.

კუნტრუში პირუტყვეთ ხლტომით
თამაშობა **ZAB**.

ხლომით თამაშობა **Cb**. ხლტომით
თამაშობა **Ca**.

ნ. სლვა.

კუნტუა ნ. კუნტვა.

კუნცხი (კუნცხი და კურცხლი **E**)
(1 მეფე 14, 4) კონცხი **ZA**.

(1 მეფე 14, 4) ესე არს ძნელი გზა
მისაპარი კლდეთა საფარი **B**. კუნც-
ხი, კურცხლი (ს) (+ და **C**)
რკოცხი სამივე კლდეთა ხერთვის-
თა გზად ძნელად გა(ნ)სავალთა და
სამალავეიანთა ეწოდების **CD**. ორთა
კლდეთ ხერთვისი აღგილი მალალი და
ძნელოვანი იყოს, მას ეწოდება: გრნა
კუთხსა მოსაფარესა **E**.

[კუნძ ნ. შეიკუნძა].

კუნძი ძელთ მონაკვეთი **ZABCb**.
განუმარტავია **CaqD**. (ხე) **E**.

კუნძ-კუნძი შესქელებულივით
ბრავალი **ZA**.

შესქელებულივით მრავლად **B**.

კუნძული ხერთვისი, ქალაკი **ZA**.
ფრანგულია, ქართულად ხერ-
თვისი კქვიან **B**. ზღვასა შიგან კმელი
C. განუმარტავია **DE**.

ნ. მეროის კუნძული.

კუნწი ხილის ღერო **ZABCD**.

ხილთ საბამი **E**.

კუნწუბი მუდახილად მოხრილი
ZAa.

კუნწუხი ხეთ ზედათი წვერვალი
ZA.

ხეთ ზედა წვერვალი **B**. ხის ზედა
წვერი **CDE**.

ნ. გრჯლა, ხე.

კუნჭული ბადეთ კუთხე, გინა
ნაქსოეთა **ZAB**.

ბალისა. გინა ნაქსოვის კუთხე (კუთ-
ხი **D**) **CD**. განუმარტავია **E**.

კუოდ (კუო **Ca**) კვიოდ, კვკოამს-
თან ნახე **ZAB**.

ამას ნემესიოსი(ს) წიგნი სწორ-
გვერლად იტყვის **CD**. ნემესიოს
სწორგვერლად იტყვის **E**.

კუპატი გატენილი პური მოხრა-
კული **ZAB**.

გატენილი პური ზეთში მოხრაკული
C. განუმარტავია **DE**.

ნ. ნახუქი.

კუპვა ბაგეთ მოხრა **ZA**.

ბაგეთ მოკება **B**. მტირ(ა)ლის
ყრმათავან ტირილის გამოუჩინრობი-
სათვის პირის კმარება და ბაგეთა
ძრვა (ხრა **D**) **CD**. მოტირალის ყრმი-
საგან გამოუჩინრად პირის კმარება **E**.

კუპრი **ZABCD**.

ესე კუპრი სომხურია, ქართულად
ას ფლასტოია **E**.

ნ. ასფალტო, ასფლატოსი.

კუპრო (კუპრო **BCD**) (ხე)
კვიპაროზი **ZA**.

(ხე) ალვის ხე **B**. (ხე) **CD**.

ნ. კვიპაროზი.

კურაკი (ოთხფ.) მცირე კურო
ZAB.

(ოთხფ.) კურატი **CD**.

1 იგულისხმება „ბუნებისათეს კაცისა“, თავი V (გვ. 66, 17), სადაც ეს სიტყვა
იხმარება ფორმით: „ვეუკოა“.

ნ. ზროხა, კურატი.

[კურაპალატი ნ. კულატპალატი].

კურატი (ოთხფ.) კურაკი ZAB.
(ოთხფ.) E.

კურაულად (კურაული CDE)

ა ი ა ს ო ფ ი ა ს გ ე ბ ა :

„ოქრო კურაულად გან(უ)ყო“

ZABC. ორად გაყოფა მგონია D.

ორად გაყოფა E. ა ი ა ს ო ფ ი ა ს გ ე -

ბ ა : „ორ კურაულად განყო“ DE.

[კურდღელი ნ. ყურდგელი].

კურებრივი ნ. კვებრივი.

[კურთენ ნ. ნაკურთენი].

კურთხევა (128, 8 ფსალმ.) კურ-
თხევა არს გადიდება სახელისა
მისისა, გინა ლოცვისა მიღება,
გინა განცხადება, გინა მიახლე-
ბა ღთისა, გინა მოახლება
ღთისა მიერ ZAA.

(+ 128, 8 ფსალმ. Ab) კურთხევა

არს გადიდება სახელისა მისისა, გინა

ლოცვის(ა) მიღება, გინა განცხადება,

გინა განსრულება, გინა განმრავლება,

გინა მიახლება ღთისა, გინა მოახლება

ღთისა მიერ AbB. კურთხევა არს

განდიდება სახელისა მისისა, გინა

ლოცვისა მიღება, გინა განცხადება,

გინა განსრულება, გინა მიახლება

ღთისა, გინა მოახლება ღთისა მიერ

(+ განმრავლებადაც ითქმის Cb) C.

განუმარტავია DE.

ნ. აკურთხა, ბარაქა, ზეთის-

კურთხევა, იკურთხა, ნაკურთხი,

საკურთხეველი; შდრ. საკუერ-

თხი.

კურთხევანი წიგნი საკურთხევე-

ლი ZAB.

წიგნი საკურთხი. C. განუმარტა-
ვია D.

[კურთხეული ნ. ევლოგია].

კურივი (კურივი CqDE) უღრუო
და უნაქვრეტო ZA.

უღრუო, უნაქვრეტო B. რქა ანუ

ქვალი, ანუ ბალახი, რომელთა არა

ქონდეს ღრუ და მრთელ(ი) იყოს

CD. რქა ანუ ქვალი, გინა ბალახი

უფუპო, უქვრეტელი იყოს საესე,

კერივად უწოდენ E.

ნ. ქრუვი.

კურიტა მატურთა ZAB.

ნ ა თ ლ ი ს ლ ე ბ ი ს ა , ლ თ ი ს -

მ ე ტ ყ ვ ე ლ ი ს ა : „არცა კურით-

თა (კურითა Cb) კმებ და ტყველ-

ვებრ (+ და E) როცა აღკურვილი“

CbE!.

ნ. კორიტა.

კურა B.

ნ. გურკა.

კურკანტელი (ბალ.) ZABCDE.

კურკლი სკორესთან ნახე ZAB.

(+ კურკლი Ccb) თხათა, აქლემთა,

(+ და E) ყურდგელთა და ეგვიტარ-

თა სკორეთა (სკორესა E) ეწოდების

(ეწოდება D, ეწოდებიან E) CDE.

ნ. გურკა.

კურკუმა (კურკუმა და კუმკუმა

E) კუმკუმა ZABCD.

წუმწუმა E.

ნ. წუმწუმა.

კურნა (ბალ.) მდელთა ძმრის სარ-
თავი Z.

(ბალ.) მდელთა ძმრის სართავი AB.

(ბალ.) მდელთა, რომელი ერთის

ძმარსა C.

კურნება (+ 2 ნეშტ. 21, 16

ZAA) რგება ZAB.

¹ Cb-ში წყარო და მოწმობა მოყვანილია სიტყვასთან „კურტი“, მოწმობა გაღა-
ნაზულია.

რგებასავით Cb. განუმარტავია CaqDE.

ნ. განკურნება, ეკურნა, მკურნალობ, იკურნა, მკურნალი, საკურნებელი.

კურო (ოთხფ.) (+ 5, 17 ესაია ZAa) კარი გამოუყვერავი ZAaB.

(ოთხფ.) ხარი გამოუყვერავი (1, 11 ესაია) Ab. (ოთხფ.) CDE.

ნ. ზოდიაქო, ზროხა, პრასიკურო.

კუროსთავი (ბალ.) (+ 7, 16 მათე ZAB) ტატაში ZABCDE.

ნ. ტატაში.

კურტაკი ვარმე. ესე არს სამოსელი მეომრისა საჩინო, ჭაჭვთა გარეგან ZA.

ვარმე. ესე არს სამოსელი საჩინო მეომრისა ჭაჭვს გარეგან B. ვარმე, იალმაგი CD. განუმარტავია E.

კურტანი სატვირთავი მალალი პალანი Z.

ცხენთა და ვირთ ზურგს სადგამი სატვირთოდ A. განუმარტავია BCDE.

კურტან-ქვევანი ნ. პალან-კურტანი].

კურტი კურტიმლები ZAB.

კვიპრიანეს საკითხავი: „გარდაქცევა გვამისა (+ და Caq¹E) გარდაქცევა კურტისა და ნიშნისა“ CaqDE.

კურტიმლები (კურტიმლები და კურტამები Cq) (1 ნეშტ. 22, 3)

კარის კამრები ZAB.

(1 ნეშტთა [22, 3]) კარის კამრები,

გინა კარის ქულები Cab. კარის კამრებია Cq. 1 ნეშტ. [22, 3]: „რკინა ფრიად სამსუვალად კარებისა და ბჟეთა კურტიმლები მომზადა“ D².

კურტუმი ფრინველის გავა ZAB.

განუმარტავია-CDE.

კურჩხი ცერცთ ჩელხი Z.

ცერცვის ჩელხი AB. ჩელხი CDE.

ნ. ჩელხი.

კურცხ ნ. ნაკურცხალი, შდრ. კრცხალი].

კურცხალი კრცხალი ZAB.

ნაწველარი CDE.

ნ. ნაწველარი.

კურცხელა ნ. კურცხელა.

კურცხილთა ივლით: „ეტლებისა განწვესებულთა კურცხილთა მის(ი)თა“ CqD³.

კურცხელა (კურცხელა CqDE)

სწრაფი ლტოლვა ZAB.

სწრაფად რბევა Cb. განუმარტავია CaqDE.

ნ. მოკურცხელა; შდრ. კუარცხელი.

კურცხლი კუნცხი ZAB.

მწარე ცრემლი CD. ცრემლი მწარე E.

ნ. კუნცხი.

კუსი აღრევა ZA.

აღრევა; სომეხნი კუს ქალწულს ეტყვიან B. კუსკუსი, — აღრევა CD. განუმარტავია E.

კუსკუსი აღრევავე Z.

იგივე აღრევა A. იგივე B. განუმარტავია E.

კუსტოდია დასი ZABCb.

კუსტალი ZABCDE.

¹ Cb-ში წყაროს უდასახელება და მოწმობა გადახაზულია. ² წყაროს დასახელება გადახაზულია Cq-ში. ³ შდრ. A—51 („კურცხლთა“). Ca-ში წყაროს დასახელება, მოწმობა და თვით განსამარტი სიტყვა გადახაზულია.

კუტი სხვათა ენაა, ქართულად
ს ა პ ყ ა რ ი ჰ ჰ ე ი ა ნ B.

(უქმ.) არ არის ქართული, ქართუ-
ლად ს ა პ ყ ა რ ი ჰ ჰ ე ი ა ნ B. (უქმ.) კუ-
ტი არა არს ქართული, ეამთა ვითა-
რებით შემოდებულთა, ქართულისა
ენითა ს ა პ ყ ა რ ი ეწოდების (ეწოდე-
ბა D) CD. ესე კუტი თათართა ენაა,
ეამთა ვითარებით შემოუღიათ, ქარ-
თულად ს ა პ ყ ა რ ი ა E.

კუტლელული (+ კარაბად.¹ ZAa)
თეთრი შაქარი ZAB.

შაქარი თეთრი, შაქარი ქალა Cab.
თეთრი შაქარი, ქალა Cq. კ ა რ ა ბ ა დ :
„შაქარი კუტლელული“. D².

კუტუფი კ ა რ ა ბ ა დ.³ „კუტუ-
ფი და ჰულბაჲ (ჰულბაი BCD)
შემგებარი“ ZABCD.

კუფხალი 17, 6 ესაია ZA.

ინ. მოგკუფხლვენ, მოკუფხლ-
ვა, ნაკუფხალი, ტევანი.

კუშტაბანი (35, 23 გამოსლ.) ყე-
ლსა და გულის ღილი ZA.

ყელის ღილი და გულთა B. ღილი
ყელისა და გულისა C. ღილი გულისა,
გინა ყელისა D.

კუშტი მწყრალად მყოფი და არ(ა)
მრისხანე ZAB.

კუშტი არს მწყრალად მყოფი და
არა მრისხანე(დ) CD. მწყრალი და
მრისხანე მყოფი E.

კუშტობანის ხე (ხე) პირიდექსი-
ონ ZAB.

პირდექსიონ Cb.

ინ. პირდექსიონ.

კუჩაბა საკაჰკაჰე ZABCDE.

კუჩუნ ნ. დაკუჩუნვა, მოკუჩუნვა.

კუჩუნწი ოღოშის ნატუსის ღერო
ZAB.

(ბალ.) ოღოშის ნატუსი CD. ოღო-
შის ნატუსალი ჩალა E.

კუშევი ძვირის ქსენებოს შესაკრე-
ბელი ZAB.

ძვირის ქსენებათა შესაკრებელი
Cb. განუმარტავია Ca.

კუტი ფრინველს ფაშვი ZAB.

ფრინველთ ფაშვიეთ Cb. განუმარ-
ტავია CaqDE.

კუშნ ნ. მეკუშნავე (კელარ'თა-
ნაც), საკუშნაო.

კუხი ისრიმი ZAB.

ინ. ისრიმი.

კვკოჲ (კვივოჲ BCD) (5 ნემესიო)
სწორ-გვერდი ZAB.

მობრტყე (5 ნემესიოს), კვივებრი-
ვი Cb. მობრტყე Ca. ს ხ ვ ა კ ა თ ი ლ-
ო რ .: „რამეთუ უსულოთა მიმდებელ-
თა ცვილისათა დავ(ს)ღვათ მას სამყუ-
რი ნაკვეთი ანუ კვივოჲ და მერმე
კვალად დამსრემელთა მისთა სამყუ-
რობისაგან შეეკმნად (!) სფეროდ“
CqD⁴.

ინ. კვრეჭრივი.

კვკლიონი (კვიკვილიონი B.
კვიკვილიონი CD) გარესაჯდომი
სამლ(რ)დელმთავ(ა)რო ZA.

გარესაჯდომი სამლდელმთავროთა
ხარისხთა ქვეშე B. ესე არს გარესაჯ-
დომელი ხარისხთა ქვეშე მლ(ვ)-
დელ(თ)მთავართასა CD.

კვკნო (კვიკნო BCD) ბერძუ-
ლია, ქართულად აკაუ რ ი
ჰ ჰ ე ი ა ნ (+ სომხურად კარაპი,
თათრულად ყ უ ი ჰ ჰ ე ი ა ნ Z)
ZAB.

¹ შდრ. Q—916:22,16. Ca-სა და Cq-ში წყაროს დასახელება და მოწმობა
გადახაზულია. ² შდრ. Q—916:278,20. ³ წყაროს დასახელება და მოწმობა გადა-
ხაზულია Ca-ში.

(ფრინ.) კარაბი(ა) CD.

ნ. აკაურთი.

კვკვრი (კვიკვირი BCD) კუკუტი
ZABCD.

კვკვრი (კვიკვირი BCDE.) ყელ-
თან (ყელთა თანა B), სადა კმია-
ნობაში ჩაიდრიკება ZAB.

კვიკვირი არს ყელთა თანა, სადა
კმინობაში ჩაიდრიკება CD. კვიკვი-
რი უკუკურადაც დაუწერიათ და
კისრის გარემოთაც უთქვამს,
სადა კმინობასა შთაიდრიკებიან E.

კვმატი (კვიმატი BCb) ბოროტი
უამი, თუ ვარსკვლავი ZAB.

ბოროტი უამი, ვინა ბოროტი ვარ-
სკვლავი, კუღოვანი და მისთანანი Cb.

კვტილა (კვინტილა BCD, კვინ-
ტილა და კვინწილა E) კვინწი-
ლა ZA.

გარძნულთ ზეთი B. კვინწილა, ნაღ-
ნობი (+ სავრძნებო Cab) CD.
განუმარტავია E.

კვჩხი (კვინჩხი ZABCbqDE) (ხე)
ZABCDE.

კვპარი (კვიპარი BCDE) (ხე)
კვიპაროზი ZA.

(ხე) ალვის ხე B. (ხე) CDE.

კვპაროზი (კვიპაროზი BCDE)
(ხე) (+ ეზექ. 31, 8 ZAa) ალვის
ხე ZAB.

(ხე) იგივე ალვის ხე B. (ხე) სარო
CD. (ხე) ბერძულად საროს ჰქვიან,
ვიეთნი ალვის ხეს უქმობენ E.

კვპრი (ხე) იგივე კვიპაროზი ZA.

(4. 13 ჰება) იგივე ალვის ხე B.

კვრა (კვირა ZAaBC) ერთი შვი-
დეული ZAa.

წოდების ერთსა შვიდეულსა, ხო-

ლო პირველსა დღესა, რომელ არს
ერთშაბათი, ბერძულად ეწოდების
კვირიაკე, ხოლო ქართულად სა-
უფლო და მზისა, ორშაბათსა —
მთოვარისა, სამშაბათსა — არია-
სი, ოთხშაბათსა — ერმისა, ხუთშა-
ბათსა — აფროდიტისა, პარას-
კევსა — დიოსისა, შაბათსა —
კრონოსისა ZA.

კვირა ეწოდების ერთსა შვიდეულსა;
ხოლო პირველსა დღესა, რომელ არს
ერთშაბათი, ეწოდების ბერძულად
კვირიაკე, ხოლო ქართულად სა-
უფლო და მზისა. ორშაბათსა —
მთოვარისა, სამშაბათსა — არია-
სი, ოთხშაბათსა — ერმისა, ხუთ-
შაბათსა — აფროდიტისა, პარას-
კევსა — დიოსისა და შაბათსა —
კრონოსისა B. კვირას ეწოდენ
მსგეფისა ერთსა, რომელ არიან შვიდ-
ნი დღენი, რომელთა სახელები ებრა-
ულთა რიგითა: პირველი დღე არს
ერთშაბათი, რომელ არს კვირიაკე,
მეორე — ორშაბათი და სამშა-
ბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარა-
სკევი და შაბათი, ხოლო ქართულად
სახელები (ა)მათი: ერთშაბათსა —
მზისა ეწოდების და კვალად სა-
უფლოცა, ორშაბათსა — მთო-
ვარისა; სამშაბათსა — არიასი,
ოთხშაბათსა — ერმისა, ხუთშა-
ბათსა — აფროდიტისა, პარას-
კევსა — დიოსისა და შაბათსა —
კრონოსისა C.

ნ. შაბათი.

კვრატორი (კვირატორი BCD)
ZABCD.

კვრებრივი (კურებრივი B. კვი-
რებრივი E), კვიოსავით ZAB.

5 ნეშეს.: კვირებრივი ნაკვეთი.
ვინათგან სხვათა უმეტესად უღრეკ
არს¹ E².

¹ წყაროშია: „კვპარი“. ² E-ში განსამარტავი სიტყვა, წყაროს დასახელება და მოწმობა გადახაზულია.

ნ. კვვოა.

კვრვა¹ ოცნება რაამე B.

კვრვება (კვირვება BCDE, კუ-
ვირვება B) (+ გაკვირვება, და-
კვირვება Z) უკვირდეს რაამე
ZABCb.

დაუკვირდეს რაამე B. განუმარტავია
CaqDE.

ნ. განკვრვება (შიშთანაც),
დაკვრვება, იკვრვა, მეკვრნე,
შკვრნე, საკვრველი, უკვრდა.

კვრიაკე (კვირიაკე BCD, კვირია-
კე და კვირა E) კვირაში ნახე
ZAB.

ერთშაბათი C. კვირა, მზისა, საუფ-
ლო D. საუფლო E.

კვრიონი² (ფრინ.) ZABCDE.

კვრისტავი³ საბრუნავის თავს წა-
მოსაცმელი, რათა სწორედ ბრუ-
ნევედეს ZA.

საბრუნავის თავს წამოსაცვამი სწო-
რად ბრუნებისათვის B.

კვრიშტავი (კვირიშტავი BCbqDE)
კვირისტავი ZACDE.

კვირისტავივე B. კვირისტავი. კვი-
რიშტავი ეწოდების (ჰქვიან Cq) ქელ-
ტართა ქალთასა წამოსაცმელსა, რათა
კეთილად ტრიალებდეს, გინა საქლ-
ლისა ქვასა და საქანჩავისასა და ეგე-
ვითართა Cbq.

კვრტი (კვირტი CqD, კვირტი და
გვირტი E) გურტი, კვირტი ZA.

გურტი, გინა კვირტი B. გვირტი, ვა-
ზის კუკური E.

ნ. კუკური.

კვრტი (კვირტი ZABCqDE, კუ-
ვირტი B) მატყლტუდა ZAB.

მატყლი ტული B. ანაგული, ანაჩეზ
CD. მატყლის ნაჩეჩი E.

კვრტოს (კვირტოს BCDE, კუ-
ვირტოს B) ზუჯა ZABD.

კუჯა, ზუჯა C. ზუჯა, კუჯა D.

კვრჩხა (კვირჩხა BCDE, კუვირ-
ჩხა B) (თევზ.) ZABCDE.

კვსტორი (კვისტორი BCD) სა-
მეუფოთა ზედამდეგი ZABCD.

შღრ. კუვირისტორი.

კვცი (კვიცი ZABCbq; კვიცი და
კიცივი D) (ოთხფ.) კიცივი
ZABD.

(ოთხფ.) ცხენის შვილი C.
(ოთხფ.) E.

ნ. კიცვი, ცხენი.

კცენა (+ 41, 9 იობ ZAA) ფშვინ-
ვა ZAC.

(41, 9 იობ) ფშვენვა B. სომხურში
კცენა ფშვინვა დ თქვეს (ეწერა D)
იობ 41, 9: „კცენასა მისსა გამო(პ)-
კრთების ცეცხლი“ DE⁴.

კცენოდა ფშვინვიდა ZB.

ლ

[ლ ნ. გელი, გელიედ: ელიედ,
ელის, ველი 1, მელიოდე; შღრ.
ლოდინი].

ლაა ლია ZABCb.

ნ. ლია.

ლაბა (ხე) ხიჩატელია ერთი ZA.

(ხე) BCDE.

ლაბა მოსქედ) იწუდებოდეს CD. მოს-
ქე E.

[ლაგ ნ. მულაგე].

¹ ნუსხაშია: „კვირვა“. ² ნუსხებშია: „კვირიონი“. ³ ნუსხებშია: „კვირისტავი“. ⁴ D-ში წყარო დასახელებული არ არის.

ლაგაზი ტალახი ძნელად გამოსარეცხელი Z.

ტალახი ძნელად მიმკრავი, მიმწეობი Aa.

ლაგამი ცხენის საკბილაკე ZABCb.

განუმარტავია CaqDE.

ნ. დანდალი 1, სალაგმე.

ლაგვანი ნ. ლაგუანი.

ლაგვინარი ნ. ლაგვნარი.

ლაგვინი ნ. ლაგვნი.

ლაგვინტარი ნ. ლაგვნტარი.

ლაგუანი (ლაგვანი DE) პირ-ფართო სარწყული, გინა ქოცო CD. პირ-ფართო სარწყული, დიდი ქილა, ქოცო E.

ნ. ლაგვნი.

ლაგვნარი (ლაგვინარი ZAB) (+ 7, 30 მამათ.-ცხ.¹ ZAa) მცირე ლაგვინი ZAB.

მცირე ლაგვანი (ლაგვინი Caq) C.

ლაგვნი (ლაგვინი ZB) (+ 14, 13 მარკ. ZA) პირფართო სარწყული ZAB.

ლაგვნტარი მამათ.-ცხ.²: „ალავსო ლაგვინტარი ფოლითა“; „ალავსო ლაგვინტარი წყლითა“ D; „მეზოსტენმან ალავსო ლაგვინტარი ერთი ფულითა“ E.

ლადანა ესე კრიტას ცვარი მოვალს ყვავილსა რას(ა)მე ზედა, სუნ(ნ)ელია ZAB.

სუნელია კრიტული Cb. განუმარტავია CaqD. (ბალ.) E.

ლავეანოსი (ლავეანონი E) მირონის სუნ(ნ)ელია ZAB.

მირონის სულ(ლ)ნელია) CDE.

ლავაში ბრტყელი და გრძელი პური ZA.

ბრტყელ-გძელი პური B. ბრტყელი, გრძელი პური C. განუმარტავი DE.

შდრ. იაღლავაში.

ლავეირინთო ნ. ლავერინთო.

ლავეიწი ყელთან მრუდი ძვალო ZAB.

ყელის ძვალი Cb. განუმარტავია CaqDE.

ლავერა ესე არს მონასტერი არა მრავალ-საკრებულო, არამედ რაოდენთა მონაზონთა (მონაზონთა ოდენ B) სადგომი ZAB.

ლავერა ეწოდების მონასტერსა არა მრავალ საკრებულოსა, არამედ მცირე(დ)თა მონაზონთა ოდენ სადგურთა C. განუმარტავია DE.

ლავერინთო (ლავერინთო CD) მთაა კრიტას შინა ქვაბებთან და მღვიმეოანი, ძნელ შესავალ-ამოსავალი. და მსგავსთა მისთა ლ ა ვ ე რ ი ნ თ ო ე წ ო დ ე ბ ა Z A.

მთა არს კრიტას შინა ქვაბებთან-მღვიმეოანი, ძნელად შესავალ-ამოსავალი. მას ეწოდებოან ლ ა ვ ე რ ი ნ თ ო, და სადა მსგავსნი მისნი არიან, მასცა B. გვირაბი (+ 'გინა გზა მიგრებილ-მოგრებილი' Cb). მთა არს კრიტისა და მას შინა ქვაბები (+ და C) მღვიმეოანი და ძნელად შესავალი და ამოსავალი; მას ეწოდების (ეწოდება CqD) ლავერინთო, კვალად გვირაბთა (+ და დარნებთა C) შენებულთა და მსგავსთა მათსა (მისთა D) CD. გვირაბი. გ რ ი გ ო ლ ი ლ თ ი ს მ ე ტ ყ ე ე ლ ი ა: „მეფეთა შენებული ლავერინთო“ E.

ლაწიერი ქაღრაკის მეფის ვეზირი ZA.

ქაღრაკის ვეზირი B. ქაღრაკის ვა-

¹ შდრ. A—1105, 171 r, b 5. („ლაგვნტარი“). ² შდრ. A—1105:171 r, b 5.

³ შდრ. A—1: 292,17 („ლავერინთისა“).

ზირი Cb. კადრაკისა Caq. განუმარტავია DE.

ლათრანი ნარდის მღერაა ერთი ZA.

ნარდის მღერ(ა) BCaq. ნარდის მღერა ერთრიგი Cb. ნარდი სამღერელია D. ერთი ნარდის მღერა E.

ლაინა (ფრინ.) ლალას(ა) ჰგავა ZA.

(ფრინ.) BCDE.

ლაინი ნარმა შეღებული ZA.

განუმარტავია BCDE.

ლაკანი (+ 14, 11 მათე ZA) დიდი თეფში ZABCD.

განუმარტავია E.

იხ. ლანკანი.

ლაკარტი ბაწროს საგრეხი კავი ZACD.

ბაწროს საგრეხი B. კანათის საგრეხი კავი E.

ლაკვა ჯურღმული ნაგები ZAB.

ლაკვა ლათინთა ენითა წყალს ეწოდების, ხოლო ჩვენთა წერილთა შინა ჯურღმულად უჩენიათ (+ რომელი ნაგები იყოს C) CD. ლათინთა ენითა წყალს უწოდენ, ხოლო ჩვენთა წერილთა შინა ჯურღმულად უჩენიათ E.

ნ. მთხრებლი; შდრ. ლაყვა.

[ლაკლაკი ნ. იშხივარი].

ლაკონიკური (ლაკონიკურთა) Cb) 3, 22 ესაია ZB.

განუმარტავია Cb.

ლალვა (2 ტიმოთე 2, 24) შულლი ZAB.

ტუქსვა, გინა შულლი CD. განუმარტავია E.

ნ. მლაღავი, მოლაღე, მოულაღე, რისხვა, სალაღავი.

ლალი წითელ Z.

განუმარტავია ABCDE.

ნ. აღრალეების ქვა.

ლალუკი მცბიერ(ი) ZABC.

„ლალუკი ვითარცა მელი“ D¹.

განუმარტავია E.

ნ. ულუკი.

[ლამ ნ. ვლაში, ლამი 2, ლამის, ლამობა, ლამოდა, ლამუნი, ჰლამის, ჰლამოდა].

ლამაზი ესეცა ესრეთ განიყოფებიან, რამეთუ: კეკლუცი არს სახე უკლებელად გაწყობილი; კეკელა — სილამაზისა და მოკდომის მცდელი; მწყაზარი — სიკეთეზედ მეტი; შვენერი — ყოვლის კეთილით შეფერებული; სანდომი — კეკლუცი იყოს თუ დუხჭირი, მაშინც კაცს სანახავად იამოს; სახნიერი — რომელსა ყოველი სახე გაწყობილი ჰქონდეს და საქმიოთა კეთილმოქმედი იყოს; ჰაეროვანი — რომელი ხატკეთილობით მოკდომილი იყოს ZA.

შენიერივით. ლამაზიცა განიყოფებიან, რამეთუ: კეკლუცი არს გაწყობილი სახე უკლებელი; კეკელა — სილამაზისა და მოკდომის მცდელი; მწყაზარი — სილამაზეზედ მეტი; შვენერი — ყოვლის კეთილით შეფერებული; სანდომი — (კეკლუცი) იყოს თუ დუხჭირი. (.....) და საქმიოთა კეთილმოქმედი იყოს; ჰაეროვანი — რომე (.....) კეთილ სახოვანად მოკდომილი იყოს B. შევნიერივით. ლამაზი განიყოფებიან შეიდად: კეკლუცი არს დიად ლამაზი; კეკელა — სილამაზისა და

¹ ეს მოწმობა Caq ნუსხეებში გადახაზულია.

მოკ(ღ)ომის მცდელი; მ წ ყ ა ზ ა რ ი — სიკეთეზე მეტი; შ ვ ე ნ ი ე რ ი — ყოველის კეთილით შეფერებული; ს ა ნ ლ ო მ ი — ლამაზი იყოს თუ ღუბჭირი, კაცს მაშინც სანახავად იამოს; ს ა ხ ნ ი ე რ ი — ყოველი სახე გაწყობილი ჰქონდეს და საქმიითაც ყოვლის კეთილის მოქმედი იყოს Cb. განუმარტავია CaqDE.

ნ. ლილია, მოუღამაზე, მუღამაზე.

ღამაში სეფქისა და ჩოგნის თასმა და მისთანანი ZA.

სეფქის თასმა და მისთანა B. სეფქისა და ჩოგნის თასმა Cb. განუმარტავია CaqDE.

ნ. მოუღამბე.

ღამი შავი ლია ZABCD.

განუმარტავია E.

ღამი ქ(მ)ნა გნებავს ZAaB.

ემზადები Cb.

ღამის ქნა (კ)ნებავს ZA.

ქნა ენება B. განუმარტავია E.

ღამობა ქმნის ნება, გინა დაღამება B.

ღამოდა ქნა ენება ZAB.

ღამპარი (25, 3 მათე) სანათი ZAB.

სანათ(ი), გინა ფანარი CDE.

ნ. ლაპრობა.

ღამპეთიანი (დიონოსი 6, 65 სრულ ყოფადთათვის) მესალიანე B.

ღამპრობა მრავალსანათი ZAA.

ღამუნი ნდომის მიზევა ZA.

ნდომით მიზევა BC. ნდობა D.

განუმარტავია E.

ნ. ველამუნები.

ღანგი სასრევთან ნახე ZA.

სასრევი უმჯობესი, მახვილის პირის მოსაწყობი B. ესე არს სასრევი წმიდა პირის მოსაწყობი (მომწყობი

CqD) მახვილის(ა) აღლესულისა CD. ესე ღანგი არს სასრევი პირის მომწყობელი მახვილთა E.

ღანდი მოღანდების ჩენა ZAB

ნ. მეღანდება, მოღანდება.

ღანდური ცალ-ცალი ქარი ZAA.

ღანკანაკი მცირე ღანკანი ZAB.

განუმარტავია CDE.

ღანკანი ენე არს ჰურჰელი ტაბლათა: თეფში, ფეშხუმი, ბარქაში, ლაკანი, ღანკანაკი, ფიალი, ტაშტი და მისთანანი ZA.

ღანკანი და ღანკანაკი არს ჰურჰელი ტაბლათა: თეფში, ფეშხუმი, ბარქაში, ფიალი, ტაშტი და მისთანანი B. ღანკანი ეწოდების ჰურჰელთა ტაბლისათა: თეფშთა, ფეშხუშთა, ბარქაშსა, ღანკანაქსა, ფილსა, ტაშტსა და მისთანათა; ღანკანი — უდიდესთა და ღანკანაკი — უმცირესთა. იოსიპოსში ღანკანის ნაცელად კალათი ეწერა, არამედ იგიცა ჰურჰელივე არს C. ღანკანის ნაცელად იოსიპოსში კალათი ეწერა, ჰურჰელია: ღანკანი — უფროსი, და ღანკანაკი — უმცროსი D. იოსიპოსში¹ კალათად ეწერა, ჰურჰელი E.

ნ. ჰურჰელი; შდრ. ლეკნა.

ღანქერი თოვლის ღვარი ZAB.

თოვლის წვენი CDE.

ნ. თოვლი, ღუპარი.

ღანჩა ფერქსაცმლის ფსკერი ZAB.

მაში(ი)სა და მოვვის ფსკერი C. განუმარტავია DE.

[ღანძ ნ. აღანძვა].

ღანძვ² (+ 27, 4 გამოსლ. ZAg)

ფანჯარა ZAB.

¹ შდრ. A—675, 22 r. 24. ² ნუსხებშია: „ღანძვი“.

ბალის სახე რკინა Cb. განუმარტავია CaqDE.

ნ. ფანჯარა.

ლანძღვა (ლანძღუა ZABCab)
ავად გაგინება ZAC.

ავად გინება B. განუმარტავია DE.

ლაპა ბრინჯის ხარშო ZAB.

ბრინჯიანი ხარშო Cb. განუმარტავია CaqDE.

ლაპარაკი მრავალ საუბარი ZA.

უბნობა მრავლად B. უბნობა Cb.
განუმარტავია CaqDE.

ნ. ელაპარაკა, ელაპარაკობ.

სალაპარაკო, სიტყუა.

ლაპი კოკობთა, კაკაბთა, როჭო-
თა, შურთხთა, ჩახრუხთა, გნოლ-
თა, ასკატათა და მისანათა(სა)
მართვენი ZA.

ლაპი არს კოკობთა, კაკაბთა, რო-
ჭოთა, შურთხთა, ჩახრუხთა, გნოლთა,
ასკატათა და მისთანათა მართვი B.
(ფრინ.) ლაპი ეწოდების გარეულთა
(მ)ფრინველთა მართვე(ეთა (+ არა თუ
ყოველთასა, არამედ C; + რომელნი
იქამებთან D) კოკობთა, კაკაბთა, რო-
ჭოთა, (+ შურთხთა C), ჩახრუხთა
და ეგვეითართა(თა). ლაპსა არცა
წყალთა ფრინველთასა (მფრინველსა
D) სახელ-ესდებთ, არცა სირთა და
ჩიტთასა, არცა კორცის(ა) მქამელთა
(+ და CqD) მჩხავანთა მართვეთა,
არამედ მათი სახელები (სახელნი D)
სხვანი არიან, მის-მის (მის CqD)
ადგილს აღწერილნი CD. (ფრინ.) ესე
ლაპი არს ბარტყი გარეულთა ფრინ-
ველთა საქმელთა: კოკობთა, კაკაბთა,
როჭოთა, ჩახრუხთა, და ეგვეითართა.
ლაპად არცა წყალთა ფრინველთა
ბარტყსა სახელ-სდებენ და არცა
სირთა და ჩიტთა, არცა კლანჭიანთა
და მჩხავანთა მართვეთა, არამედ მათი
სახელი სხვა არს E.

ნ. მართვ.

ლაპლაპი ილუკრო რა გადნეს, სო-
ცხოვეანებით მოელვარ(ე)ობასა
ჰქვიან ZAB.

ოქრო, ვეცხლი, რვალი და ბრპენი
რა ვა(ნ)დნეს, მისი სახელი არს (სა-
ხელია D) მოელვარებოლითი (მოელ-
ვარეობითი CqD) და სიცხოვეანებო-
თისა მქონებ(ე)ლობისათვის CD. ოქ-
რო, ვეცხლი, რვალი ანუ ბრპენი ვამ-
დნარის ხილვის სახელია E.

ლაპოტი დიდი ციცხვი ZABCb.
განუმარტავია CaqDE.

[ლაუფვარდი ნ. აღრალეზის ქვა].

ლაუი (თევზ.) ZABCDE.

[ლარვისტომი ნ. ცა].

ლართი პირუტყვთ მორი
ZABCb.

ლარი (3, 8 ნაომ) ალყა, ძალი
ZAa.

წელის ძალი, ალყა CD. წელის ძა-
ლი E.

ნ. ალარევა.

ლარი (+ 3, 8 ნაომ ZAa) კუმაშა,
ფარჩა ZAB.

ფარჩა CDE.

ნ. მოლარე, სალარო; შღრ.
ატლასი.

ლარი წელი შევრეხილი ZAB.

ლარკი ორი რიგი მოსავალი
ერთ(ს) საყანურში ZAB.

ორ-ლარკი არს ორ-რიგი მოსავალი
ერთს საყანურში CD. ესე არს ორ-
ლარკი—ორი თესლი სხვადასხვა, გინა
ვენაკი და ყანა, ანუ ყანა და სხვა
რამე E.

ლარნაკი ესე არს მსგავსად კი-
დობნისა შემზადებული ფიცარ-
თაგან ანუ ქვათაგან ZA.

ესე არს კიდობანივით შემზადებუ-
ლი ფიცართაგან, გინა ქვათა B. ესე
(ლარნაკი E) არს ფიცრით შემზადე-

ბული მსგავსად (მგზავსი E) კიდობნისა შთასს(ხ)მელად კაცთათვის (კაცთათვის E), ხოლო ვიეთნი მკედართათვისცა შე(ჰ)მზადებენ ქვათავან CDE.

ლარო გალატოზის ბაწარი ZA.

გალატოზთ ბაწარი B. წვლილი თოკი ოსტატთა Cb. განუმარტავია CaqDE.

ნ. საბელი.

ლარტყა ბრტყელი ლატანი ZAB.

ლატანი ბრტყულად გათლილი Cb. განუმარტავია CaqDE.

[ლარწ ნ. მლარწველი].

ლასლასი ავი ფრენა ZABCDE.

ნ. ლახლახი.

ლასტი დაწნული ილეკრო, თუ წქეპლი ZA.

დაწნული ვრცელი B. ჩელტი CD. განუმარტავია E.

ლატანი წვრილი და გრძელი ძელი ZA.

წვლილი და გძელი ძელი B. გრძელი წვლილი ხე C. განუმარტავია D.

ნ. აყარი.

ლატიფი ნაზუქივით ჩვილი და სუფთა ZAa.

მონედლო, გინა განწმედილი AbBCbq. მონედლო თუ განწმედილი Ca. კარაბად¹: „ბუნება გულისა მქურვალე (მქურვალი D) არს, კმელი და ლატიფი“; „ნაველი მქურვალე (მქურვალი D) არს, ლატიფი და კმელი“ CaqD².

ლაფათინი საქსოვრის სავარცხელი ZA.

საქსოვრის სავარცხალი B.

ლაფანი (ხე) ZABCDE.

ლაფერი (ლაფერა E) ბრტყელი კოვზი, საჭმლის გასაყოფი ZA.

ბრტყელი კოვზი BCb. განუმარტავია CaqD. სალომე ნიჩაბი E³.

ლაფი ცუდმადი ასერილი თხლად ZA.

ბილწები ასერილი B. ბილწები, ასერილი ტალახივით Cb. განუმარტავია CaDE.

[ლაქა ნ. სვრინდება].

ლაქაურადი ნ. ლაქუარდი.

ლაქაში (ბალ.) ZAa.

ლაქი სხვათა ენაა, ქართულად ზ უ მ ბ უ რ ი ჰქვიან ZAB.

დასაბეჭდავი(ა) წიგნისა C. საბეჭდავი(ა) DE.

ლაქუარდი (ლაქურდი AbD, ლაქაურადი E) ესე არს ღრუბლისა და ფაშვის მსგავსად (მსგზავსად A). დაფუჭვილი, გინა ოღრო-ჩოღრო ქვა, თუ ძვალი, თუ სტომაქი, თუ რაადც რამ ZA.

ესე არს დაფუჭვილი ღრუბლისა და ფაშვის მსგავსი, გინა ოღრო-ჩოღრო ადგილი B. (ნემეს. 24) კორცთა და ძარღვთა შინა ვითარცა ფაშვისა ქიციანი, ხოლო ადგილთა შინა ოღრო-ჩოღრო Cb. 'არს კორცთა და ძარღვთა ყდათა შინა ვითარცა ფაშვი ქიციანი, ხოლო ადგილთა შინა ოღრო-ჩოღრო Ca. 24, 30 ნე მე ს.:

„ქვა გასტყორცა და ჰგონა, ვითარმედ ლაქუ(ა)რდი არს ადგილი იგი;“ „მხანავ და იქმნა სახელ ლაქუ(ა)რდისა და განვიცხნეს კორცნი;“ (+ 'ზ ა გ რ ა ტ ის მ ე ტ ა ფ რ ა ს შ ი': „და იყო შენებადი ყოველი კედ... იგი“ Cq) CqD⁵. 24, 31 ნე მე ს.: „რამეთუ ქვა გასტყორცა და ჰგონა, ვითარმედ

¹ შდრ. სამკურნალო წიგნი: Q—916: 311,4. ² წყაროს დასახელება და მოწმობა გადახაზულია Caq ნუსხებში. ³ E-ში განმარტება გადახაზულია. ⁴ შდრ. A—134, 242 v. ⁵ Ca-ში მოწმობანი ნემესიოსიდან გადახაზულია.

ლაქურადი არს ადგილი იგი" E.
ლაქუცი ძალღოს (ძალღო D)
ალერსი ZABCDE.

ლაღანდარი (ლაღანდრა Cb)
ამოწერილის ფერი ZAB.
განუმარტავია Cb.

ლაღანივი ყანდარი B.
ლაღანოს პური ტაფამწვარი ZAB.
ტაფამწვარი პური CD.

ლაღი (+ 1, 30 ჰრომაელ. ZA)
სილაღე უწვრთელობისა ნი-
შები არს; სილაღე არს
განუქრძალველი კადნიერება,
რამეთუ რა განლაღნეს კაცი;
მეტნობასა იწყებს მანქანებისასა
(მანქანებათასა B) ZAB.

სილაღე უწვრთ(ვე)ლობისა ნიში
(ნიშები Cbq) არს, რამეთუ სილა-
ღე არს, რომელსა მსოფლიონი სი-
თამამეს უწოდენ, რამეთუ რა გან-
ლაღნეს, კაცი მეტნობას(ა) იწყებს
მანქანებათასა C. (+ თამამი E). სი-
ლაღე უსწავლელობისა ნიშები არს
DE.

ნ. ალაღება, მლაღობელი, სა-
ლაღობელი, სილაღე.
ლაღლაღი წყალში ქანება
ZABCD.

განუმარტავია E.
ლაღობა (+ 34, 4 ეზეკ. ZA) ლა-
ღთა მიერ(ი) ქმნილი ხუმრობა
ZAB.

ხუმრობასავით. ლაღობა არს მღე-
რა, რომელ არს თამამობა C.
ხუმრობა DE.

ნ. ლაღი.
ლაღოზა წვრილი სარი ZA.
წვლილი სარი BCD.

ლაყაფი ქართულად ცუდ-მოუბა-
რი, სპარსულად მეორე სა-

ბელი ZAB.
(უქმ.) ცული სიტყვა CD. (უქმ.) E.
შღრ. ველაყბე.

ლაყვა წვიმის გუბე ZABCb.
შღრ. ლაყვა.

ლაყი კვერცი წამქლარი ZABCD.
განუმარტავია E.

ლაყუჩი თევზის ყბა ZABCD.
განუმარტავია E.

ლაშა ქვეყ(ა)ნის მანათობელი
ZAB.

ქვეყნის მანათობელად
გამოითარგმანების C.

ლაში პირის ქვედა ბაგე ZA.
ქვედა ბაგე პირისა B. დიდი ბაგე
პირისა C. განუმარტავია DE.

ლაშკინი ZABCab.
ლაშლაში ცული საუბარი
ZABCD.

ლაშქარა (ბალ.) ZABCDE.
ლაშქარი (+ 14, 9 გამოსლ.
ZAa) დიდი ჯარი სამტერო
ZABCb.

განუმარტავია CaqDE.
ი. ილაშქრა, მოლაშქრე, სა-
ლაშქრო.

ლაჩაკვა მარცხენა კელის მკმარე-
ბელი ZA.

მარცხნივ მკმარებელი B.
შღრ. ჩალიკვა.

ლაციცი აშიეთ თამაში B. განუმარტავია
Cb.

ლაციცობა კელით აშიეთ თამა-
შობა ZB.

ი. ველაციცე.
ლაწირაკი მისათრეველი ZAB.

დიდი მარტილის სათარი, გინა ცუ-
დი ყრბა Cb. დიდი სათარი მარტილი-
სა Ca.

ნ. კაცი.
ლაწლაწი Cb.
ლაწნი Cb.
ლაჭყორი ლერწმისა (ლერწმით B) თუ წყებლით დაწნული სახელი ZAB.

ლერწმითა, გინა წყებლით დაწნული სახელი Cb.

ნ. სახელი.

ლახვარი ნ. ლახუარი.

ლახლახი ფრინველის ავი სლვა ZAB.

ავი სლვა ფრინველთა C. ავი სლვა E.

ნ. სიარული, სლვა; შდრ. ლასლასი.

ლახორა ჯოღლო-მოღლო ZABC.

ლახოსტაკი წარბთ საღებავი ქვა(ა) ZAB.

წარბის საღებავი Cb. განუმარტავთა CaqE.

შდრ. ესტიმამიზუ.

ლახტი უმკვეთელო საცემი საომარი ZAA.

განუმარტავთა AbBCE.

ლახუარი (ლახვარი ZACqDE)

19; 34 იოანე) ლახვარ(ნი)ცა განიყოფებიან, რამეთუ: **ო რ ო ლ ი** არს, რომელსა აქინაკად უქმობენ, ლახვარი ორ-პირი და ბუნ-გრძელი; **გ მ უ რ ი** არს ლახვარი პირ-ბრტყელი და ბუნ-გრძელი; **ს ა თ ხ ე დ ი** არს ლახვარი პირ-ბრტყელი და ბუნ-ზომიერი, ვიეთნი **ქ ე ლ-შ უ-ბ ა ს** უქმობენ; **გ ე ო ნ ი** არს (+ ლახვარი Z) მოწლო და სამძგიდე, ბუნი მცირედ კაცისა უმაღლესი; **შ უ ბ ი** არს ლახვარი სამ-ძგიდე და ბუნ-გრძელი

ხ ი შ ტ ი არს ლახვარი პირ-გრძელი, ძგიდე-მახვილი, ტარ-კოტა; **ზ უ ფ ა ნ ი** არს ლახვარი მსგავსი გეონისა, ბუნ-წყრთელი შორით სასროლი, რომელ არს **ლი ბ ა ნ დ ა კ ი** ZA.

ლახვარნიცა ესრეთ განიყოფებიან: რამეთუ **ო რ ო ლ ი** არს, რომელსა აქინაკად უქმობენ, ლახვარი ორ-პირი და ბუნ-გრძელი; **გ მ უ რ ი** არს ლახვარი პირ-ბრტყელი და ბუნ-გრძელი; **ს ა თ ხ ე დ ი** არს პირ-მობრტყე და ბუნ-ზომიერი, ვიეთნი ქელშუბას უქმობენ; **გ ე ო ნ ი** არს მოწლო და პირ სამ-ძგიდე, ბუნ-ზომიერი, კაცთა მცირედ უმაღლესი; **შ უ ბ ი** არს ლახვარი სამ-ძგიდე და ბუნ-გრძელი; **ხ ი შ ტ ი** არს ლახვარი პირ-გრძელი, ძგიდე-მახვილი, ტარ-კოტა; **ზ უ ფ ა ნ ი** არს ლახვარი მსგავსი გეონისა, ბუნ-წყრთელი შორით სასროლი, რომელ არს **ლი ბ ა ნ დ ა კ ი** B. ლახვარნიცა ზოგადი სახელი არს ყოველთა ლახვართა. ხოლო ესე ლახვარი განიყოფების (განიყოფებიან Ca) შვიდად (რად Ca): ოროდად, გმურად, სათხედად, გეონად, შუბად, (+ ლიბანდაკად Ca) ხიშტად და ზუფანად. **ო რ ო ლ ი** არს, რომელსა აქინაკად უქმობენ, ლახვარი ორპირი და ბუნ-გრძელი; **გ მ უ რ ი** არს ლახვარი პირ-ბრტყელი (-ბრტყელი Cb) და ბუნ-გრძელი, რომლითა მაცხოვარსა უგმირეს; **ს ა თ ხ ე დ ი** არს პირ-მობრტყე და ბუნ-მეკლე, ვიეთნი ქელშუბად უქმობენ; **გ ე ო ნ ი** არს(ს) ლახვარი მოწლო და პირ სამ-ძგიდე, ბუნ-ზომიერი, კაცთა უმაღლეს მცირით, რომელსა სპასხეტნი ქელთა იპყრობენ სისუბექისათვის; **შ უ ბ ი** არს ლახვარი პირ სამ-ძგიდე და ბუნ-გრძელი; (+ ლიბანდაკი არს შუბისა უგრძე და უსხო ბუნითა Ca); **ხ ი შ ტ ი** არს ლახვარი პირ-გრძელი, ძგიდე-

მახვილი და ტარ-კოტა (+ რომელნი-
მე შმაგად სახელ-სდებენ Cb);
ზუფანი არს მსგავსი გეონისა,
ბუნ-წყრთეული შორი(თ) სასროლუ-
ლად C. განუმარტავია DE.

ნ. ნალახური.

ლაქვა (ლაქუა BCab) გალაკვა,
მილაკვა, მოლაკვა ZAA.

გალაკვა AbBCb. განუმარტავია
CaqE.

ლაჭი ფერკებთ საშუალი ZAB.

ფერკსა და ფერკს საშუალი Cb.
განუმარტავია CaqE.

[ლბ ნ. დამბალი, ლბილი, მბალი,
მოლბა, მოლბობა, მუალბე, სა-
ლბილობელი, სალბობი, სილბო].

ლბილ (21, 20 ლევიტ.) ავად
მხედველი თვალი ZAA.

ავად მხედველი თვალი (23, 29
იგავი) Ab. ავად მხედველი თვალი
(დაბად.) B. ავად მხედველ უძლური
თვალი (+ დაბადების Cb) C. ავად
მხედველი E.

ლბილი (ლბილი და რბილი E)
რბილი ZABC.

განუმარტავია E.

შდრ. რბილი.

ლბილტყავი სიპიანი (+ და B)
მრავალფერკი და მისთანა(ნი)
ZAB.

ლბუნა! (6, 2 ოსე) მალამი B.

ნ. მილბუნოს, სალბუნა.

ლებანი ნიგვზის გულის ნახევარი
ZAB.

[ლები ნ. არჯასპი, მიწალები].

[ლეგ ნ. არ მელეგება].

ლეგა ყომრალი ZAB.

რუხი, ყომრალი C.

ლეგეონ მრავალი მბრძოლი ZAB.

ლევა გალევა ZAB.

გაილიოს C. განუმარტავია E.

ნ. აღლევა, გალევა, განლევა,
ლევნა, მლივი, მოლევა.

ლევაფსა ესე ცხროა (ცხრო არს
B), რომელი მოატყეებს სნეუ-
ლებასა კეთროვ(ა)ნებისასა, უკე-
თუ გაუნიადაგდა (განიდაგდა
B) ZAB.

ლევისა ცხრო არს, რომელი სნე-
ულბას(ა) მოატყეებს კეთროვნებისა-
სა, რომელსა ბერძენნი უწოდენ აფ-
ტიკოსი C.

ნ. ცხრო.

[ლევებმონოსი, ლევებნომოსი ნ.
ქარი].

ლევიანთან (ლევიათან Cq, ლევი-
ათა E) (თევზ.) ითარგმანების
მეფე წყალთა, ვითარმედ
წელზეით კაცი და ბოლო თევზ-
თა მქონებელი იყოს ZA.

(თევზ.) ითარგმანების მეფე
წყალთა შინათად, ვითარმედ
წელზეით კაცი, ბოლო თევზთა მქონე-
ბელ იყოს B. (თევზ.) მეფე
წყალთა შინათად გამოითარ-
გმანების, კაც-თევზივით (-თევზსავით
Cb) რამ არის ლევიანთან (+ ლე-
ვიათანს გრიგოლი ღრთისმეტყველი
სხვა რიგათ აჩენს ღრთისმეტყველში²
მონახე, ვისაც გენებოს, ნათლისღების
[საკითხავში] Cq) C. (თევზ.) E.

ლევიტელი (2 ეზრა 10, 39) ლე-
ვის ნათესავი ZAA.

ლევიტონარე (ლევიტონარე [და
ლევიტონი] Ca) მოკლე მახარა,
საბეჭური მონაზონთა (მონო-
ზანთა B) ZAB.

(+ ლევიტონი Cb) წამოსასხმელია

¹ წყაროვია: „მილბუნოს“. ² შდრ. A—292, 62 v 12.

ტანხე(ღ) ზეწრის მსგავსი ბალანთა-
გან C.

ნ. ზეწარი.

ლევიტონი (ლექიტონი¹ E) იგივე
საბეჭური ZA.

იგივე B. რომელ არს საბეჭური
მეზარეიო¹ E.

ლევნა მოკლებასავით, გალევა,
დალევა, მოლევა ZAA.

მოკლებასავით AbBC. განუმარტა-
ვია E.

ნ. ლევა.

ლევზი თხელი დორბლი ZAB.

ნ. დორბლი

[ლევ ნ. წალეკვა].

ლევერთხი ნ. ლეკუერთხი.

ლევკი ნ. ლევკ.

ლევკი თხლე, გინა კაკვასს იქით
თემი ერთი ZA.

თხლე, გინა კაკვასში ერთი თემი B.

ლევკი ეწოდების თხელსა ჰვე დალე-
კებულსა, კვალად კაცთა, რომელ არს
კაკვასთა შინა თემი ლევკთა, და
ხესაცა ერთსა ჰქვიან ლევკი Cb.
თხლე CaqE.

ნ. დალეკება.

ლევკი (ხე) ZABCaqE.

ლევკიტონი ნ. ლევიტონი.

ლევკნა ლანკანი ZAB.

ლანკანაკია C.

ნ. ლანკანი.

ლევკუერთხი (ლევკუჭრთხი ZA,
ლევკუერთხი CbqE) წვივსაკრავი
ZABCE.

ლევკური უვადო კრმალი, გინა
ლევკეთისა ZAB.

უვადო კრმალია საკიდარი C.
განუმარტავია E.

ენება რამ დანაშთომი B. წყულის
(+ ანუ ენების Cb). დანაშთომი ნა-
წილი Cbq. განუმარტავი DE.

¹ ცხ-ბა იოანესი და ეფთვიმესი. ივ. ჟავახიშვილის გამოც., 98, 4.

ნ. მანკიერი, უმანკო, წყალ-
მანკი.

მანკიერება (მანკიერი D) (+ 6,
11 ლუკა ZAa) გულით ვნება
აღუქოცელი ZA.

გულით ვნების აღუქოცელობა B.
მანკიერება არს გულით ბოროტის
ნდობა აღუქოცელად და უჩინრად,
ვიდრემდისი ეამი პოოს Cb. მანკი-
ერება არს გულით ბოროტის ნდობა
აღუქოცელად, ოდესცა ეამი პოოს
CqD.

მანკიერი მანკიანი ZA.

განუმარტავა E.

ნ. გულმანკიერი, წყლით მან-
კიერი.

მანაჲ (41, 5 იერემ; 1, 10 ბა-
რუქ¹) შესაწირავი ZAB.

შესაწირავი, გინა ძღვენი (+ იერემ.

41, 5; ბარუქ 1, 10 Cb) Cbq.

შღრ. მანაჲ, მანაჲთ.

მანუალი ელლენებრ სასანთ-
ლე ZA.

ელლენებრია, სასანთლე B. სასან-
თლე ელლენურად Cbq. მაღალი სა-
სანთლე D. სასანთლე თუ მანალი E.

შღრ. მანალი.

მანქანა ნ. მანქანი.

მანქანება მრავალსახე კერკის
ქცევა ZA.

მრავალგვარი კერკი საზიანო B.
გრიგოლი ლ¹ თისმეტყველი იტყვის:
გამგებლობა და მანქანება
ემსგავსებიანო, გამგებლობა კეთილი(ი),
ხოლო მანქანება — არა. მანქანი
არს (+ მბრუნავი CqD) ვითარცა
ჭახრაკი და მანქანება (მ) (+ არს
CqD) საქმისა კაცობრივისა სიბრძნით
ბრუნ(ვ)ება(მ) საქმეველად სხვათა-
თვის ზაკით CbqD. განმგებე-

ლობა და მანქანება ემგზავსე-
ბიანო. გრიგოლი ლ¹ თისმეტყველი²
იტყვის: განმგებლობა — კეთილი,
ხოლო მანქანება — არა. მანქა-
ნი არს მბრუნავი, ვითარცა ჭახრაკი;
და მანქანება არს საქმისა კა-
ცობრივისა სიბრძნით ბრუნება საძ-
ლეველად სხვათათვის E.

მანქანი (მანქანა Ab) (+ 2 ნეშტ.
26, 15 ZAa) ჭახრაკი
ZABCbqDE.

მანუური სხვათა ენაჲ, სიგლა-
სათვის დაურქმევიათ ცუ-
ლად ZA.

სხვათა ენაჲ, სიგელი ჰქვიან ქარ-
თულად B. წიგნი დასამტკიცებელი.
მანუურისას მეცილებიან და ვიეთ-
ნიმე იტყვიან სპარსთა ენისა არსო.
ესევითარნი ყოველსა ენათა შინა
იქმნებიან ანუ მეზობლობისა მიერ,
ანუ შემოღებისა მიერ, რამეთუ სპარ-
სულად ეწოდების მაღარ დედასა,
ხოლო ფრანგულად მათერ, ვინა
ორნივე ერთ; ლათინთა ენითა სუ-
ღარი — მკვდრისა სახეველსა, ეგ-
რეთვე ქართულად; ანუ ქარტა, ანუ
სანდალი ლათინთა და ქართულთა
საზიარო არს. ეგრეთვე ყოველთა ენა-
თა შინა მრავალი მყოვლს. არამედ
ესე მანუური არა თუ საღ¹ თოთა წე-
რილთა შინა ძეს, არამედ გარეშეთა
Cb. წიგნი(ა) დასამტკიცებელი CqDE.
ნ. წერილი.

მანუური (ხე) Cb.

მანძილო ბერწ-მსუქანი, გინა
ძმარში ნადები სამწვადე ZA.

ბერწ-მსუქანი, გინა ძრძიანი მწეაღი
B. ბერწ-მსუქანი. მანძილო ეწოდების
ბერწ-მსუქანსა; ხოლო ოდეს კეთილი
მსუქანი ქორცილი ლუქმედად დასჯრა
და ძმრითა და ნიეთებიტა შიზაო,
ზამთარ რაოდენთამე დღეტა შეინახო

¹ წყაროშია: „მანაჲ“. ² შღრ. A—1: 296,15; 377,23; 385,7; 429,24.

ლა ოდესცა გინდეს, შესწვა, მანძილო ეწოდების მასცა; მანძილო სოკოსა უწოდენ ერთსა კეთილ მემოენებისათვის Cb. ბერწ-მსუქანი CqD. განუმარტავია E.

ნ. აპოხტი.

მანჭვა (მანჭუა ZAB) (ფრინ.) ZABCbqD.

(ფრინ.) ნასთისა ანუ კაცისა E.

მანჭვალაი ნ. მანჭუალი.

მანჭკუალა (მანჭკვალა BCbqDE)

სოკოა კუნძზე ბმული ZAA.

სოკოა კუნძზე ბმილი Ab. სოკოა კუნძისა B. სოკოა ხის კუნძისა Cbq. სოკოა D. განუმარტავია E.

მანჭუა ნ. მანჭვა.

მანჭუალი (მანჭვალა BCbqE)

ჩასაყარი ლუსმარი ZABCbq.

განუმარტავია D.

შდრ. სამსჭუალი.

მანჯანიკი ჩიგორგლის ამოსაღები ქახრაკი ZAB.

აბრეშუმის ქახრაკი Cbq.

მანჯიკი მომცრო მარტილი ZABCbqD.

ციგა E.

ნ. მარტილი, ურემი.

მაოცარი (მაოცარნი E) მაოცნებელი ZABCbqD.

მაოცნებელიაო და მომჩვენებელი E.

მაოცი საოცის მქნელი ZAB.

იგივე მაოცნებელი Cbq. მაოცნებელივე D. განუმარტავია E.

მაოცნებელი ოცნების მაჩვენებელი ZA.

მაჟალო (ხე) ტყის ვაშლი ZABCbqDE.

მაჟარა წყალში დამწნილი მხლე-ბი ZAB.

წყალში ჩადებული ქარხალი (+ და მისთა[ნა] Cb) CbD. ქარხალი წყალში ნადები E.

მაჟაური (მძრომ.) (+ 2, 11 ამბაკ.

·ZAA) მატლი ხის გულთა) მქამელი ZAB.

(მძრომ.) მატლია ხის გულის მქამელი Cbq.

მაჟმობელი საგალობელ-კმოანება ZA.

საგაოელკმოანება, გალობა, თუ რაც B. მაჟმობელი (ესე Cq) არს გალობა სამკდრო ანუ სხვა ქმა რამე გლოვისანი) Cbq. გალობა სამკდრო ანუ ქმა რამე გლოვისა D. ანდრია სალოსის წიგნში მაჟმობელი გალობად სამკდროდ ანუ სხვად კმოანებად გამოაჩინა E.

მარა მაგრამ (+ იმერულად ZAA) ZAB.

მარაგი ცაა რა თხელითა ღრუბლითა შემოსილ იყოს, იგი არს მარაგი, ხოლო აქა-იქ ღრუბელი და ვარსკვლავ-მჩენი იალკიალი არს ZA.

ცაა რა თხელის ღრუბლით შემოსილ იყოს, მარაგი არს, ხოლო აქა-იქ ღრუბელი და ვარსკვლავ-მჩენი იალკიალი არს B. ესე მარაგი არს ღამე რა თხელი ღრუბელი მოჟარვოდეს ცასა, ხოლო უკეთუ ღრუბელი აქა-იქ დაგლეჯილად ჩნდენ და ვარსკვლავნი მრავალგან იყოს, მას იალკიალი ეწოდებიან Cb. თხელ(ი) ღრუბლიანი ღამე CqDE.

მარაგი კვიპრიანეს ცხ.: „ვისწავლე დაგება სიტყვათა და ზრახვა

მარაგითა და მარაგი ზრახვითა“
CqDE¹.

მარაგით-ზრახვა (მარაგით-ზრახვა ZA) არს სიტყვა ესრე გვარად სთქვა, ადვილ საცნაურ არ იყოს, არამედ ვითარცა ღრუბელი რამ(ე) ემოსოს, ანუ ორ-სამ რიგად გაისინჯოს ZA.

ესე არს სიტყვა ესე რამე სთქვა, ადვილ საცნაური არა იყოს, ვითარცა ემოსოს რამე, ანუ ორ-სამ რიგად გაისაზღვრებოდეს B.

მარადის (+ 50, [5] ფსალმ. ZAa) ნიადგ, მუდამ ZA.

მუდამ B. სამარად, მუდამად CbqD. სამარად E.

ნ. სამარად, სამარადისო.

მარადღამე (+ 6, 5 ფსალმ. ZA) ღამე ყო(ვ)ელ ZABCbq.

მარადღე (+ 31, [3] ფსალმ. ZAa) ღღე ყო(ვ)ელ ZABCbDE.

მარაზი სხვათა. ენაა, თოკს(ა) ჰქვიან ZA.

(უქმ.) სხვათა ენაა, ქართულად თოკი ჰქვიან B. (უქმ.) წვლილი თოკი Cb. (უქმ.) CqDE.

მარაკი თხელი ტყავი(ა) ღვიძლის კერძო მუცელში ZAB.

მარაკი არს თხელი ტყავი მუცლისა შინაგან ღვიძლის (ღვიძლით CqD) კერძო CbqD.

მარანათა (1 კორინ. 16, 22) ოდეს-იგი თქვა მოციქულმან, რომელსა არა უყვარდეს უფალი ჩვენი იესო ქრისტე, იყავნ შეჩვენებულ; ესოდენ მჭურვალითა გულითა თქვა სიტყვა-იგი, რომელ მეყსეულად უფალი იხი-

ლა. ამისთვის შეუდგინა და დაწერა ასურულითა ენითა მარანათა, ვითარმედ: უფალი მოვიდა ZAB.

(+ 1 კორინ. 16, 22 Cb) ოდეს-იგი თქვა მოციქულმან(ნ), რომელსა არა უყვარდეს უფალი ჩვენი იესო ქრისტე, იყავნ შეჩვენებულ. ეს(ე)ოდენ გულითა მჭურვალითა თქვა სიტყვა იგი, რომელ მეყსეულად უფალი იხილა, შეუდგინა და დაწერა მარანათა ასურულითა ენითა, ვითარმედ უფალი მოვიდა, ესე არს მარანათა CbqDE.

მარანი საღვინე სახლი ZABCbqD. განუმარტავია E.

მარაო კელით მოსაქროლებელი ZA.

კელით მოსაქროლი BCbq. განუმარტავია DE.

მარაქა² ქალთ ჯარი ლხინში ZA.

ქალთ ჯარი ლხინად B. ქალნი ლხინად (ლხინზედ Cb) მსხდარ(ნი)¹ CDE.

მარბიელი მარზიკნი ZAB.

ნ. ელატი 1, თარეში.

მარგალიტი 13, 46 მათე ZAa.

განუმარტავია AbBCDE.

ნ. გუჰარი, სამარგალიტე.

მარგებელი რგების მოქმედი ZAa.

მარგებენ 7, 4 იერემ. ZAa.

მარგი ბოსტნის დაკვალებული ZAB.

ბოსტნის რიგის კვალნი C. რიგის კვალი ბოსტნისა D. ბოსტნის რიგის კვალები E.

მარგილი ხე წვერ-წათლილი დასარკობი ZA.

მარგლა ბალახთ ამოგლეჯა ZAB.

¹ Cb-ში წყაროს დასახელება და მოწმობა გადახაზულია, ხოლო განმარტება იგივეა, რაც B-სი წინა შემთხვევაში. ² აქედან გრძელდება Ca ხელნაწერი.

ბალახის ამოგლეჯა მწვან(ე)ილში
C. განუმარტავია DE.

ნ. ნამარგლი.

მარგული წყლული უმ(რ)თელე-
ბელი ZABCD.

სენი წყლული E.

მარდა ესე არს არა დღითი ფასი,
არამედ გარდაკვეთით მუშაკო-
ბა ZA.

ესე არს არა დღითი-დღელი ფასი,
არამედ გარდაკვეთით მუშაკთა B.
მარდა(დ) არს, რომელმან (რომელ D)
მუშა(კ)თა არა დღიურ(ი) ფასი მის-
ცეს (მისცეს ფასი CqD), არამედ
გარდაკვეთით CD. მარდათ დაქერა E.

მარდი 'კაცი სწრაფი, გინა სხვა
რამ ცხოველი' Z. „ვითარცა კა-
ცი მარდი“ ZAB.

მარდული ფიჭვის ძელი მკვრიანი
ZAB.

(ბე) ზეჰმელი ფიჭვი მკვრიანი CD.

(ბე) E.

მარზაპანი (+ 3, 2 დანიელ¹ ZA)
მონაცვ(ა)ლუ ZAB.

მარზაპანი არს გამგებელი, გინა
სპათ-მთავარი C. მეფთ მონაცვლუ D.
მარზაპანი უფროსად თქვეს (დანი-
ელის 3, 2)² E.

მარზიკნი მბრძოლ(ნი) (+ გინა
Cab) მაოკარ(ნი) ZABCab.

შღრ. მარბიელი.

მარზო ნარდის მღერაა ერთრიგი
ZAB.

ნარდის მღერაა CD. ერთი ნარდის
მღერა E.

მართ ესე არს შედარებით რამ
ნაკლებობა და ეგრევე შემს-
გავსება, რამეთუ ვიტყვით: მართ

(+ რომ ZAA) მის თანა არსო
ZA.

ესე არს შედარებით რამ ნაკლებო-
ბა და მსგავსი მისი B. ესე იოქმის
არა თუ მის ტოლი, არამედ შედარე-
ბული Cb. განუმარტავია CqDE.

[მართ ნ. გამართვა, გამართული,
გაღმართ, დამართ, დამართება.
დამართებით, დაღმართი, მალ-
მართნი, შემართება, მიმართა.
მიმართება, მიღმართი, უყულ-
მართი, შეღმართი, შთამართ,
ჩაღმართი, წამართ, წარემართა,
წარმართება, წარმართი, წარმ-
მართებელი, წალმართი; შღრ.
მართალი].

მართალი (+ 18, 24 დაბად: ZAA)
უტყუარი ZABC.

განუმარტავია DE.

ნ. გემართლები, იმართლა, მე-
მართლება, მოსამართლე; ნასა-
მართლვეგი, სამართალი, სიმარ-
თლე, უმართლესი, უმართლობა,
უსამართლო, წრფელი.

მართება ვალად ეღვას ZABCb.

ვალად ღება Ca. განუმარტავია
CqDE.

ნ. მე მმართებს.

მართებული საქნელი ქნას ZA.

საქნელის ქნა B. საქნელის მქნელი
Cab. განუმარტავია CqDE.

მართვა (მართუა Ca) მრუდის
გასწორება ZABCD.

განუმარტავია E.

ნ. მართ 2.

მართვი ნ. მართვ.

[მართლად ნ. მალა].

¹ მითითებულ მუხლში A—51-ს ნაცვლად „მარზაპანისა“ მოუპოვება „სატრაპე-
ზი“. ² განმარტება E-ში გადახზულია.

მართლმადიდებელი მართალი
შეჯული ZA.

მართლის შეჯულისა¹ BCab. განუ-
მარტავია CqD.

მართლმორწმუნე მართლის სარ-
წმუნოებისა ZABCab.

მართლუკუნ ZACDE.

პირუკულმა B.

მართუა ნ. მართვა.

მართური (ბალ.) შაბუ ZA.

(ბალ.) B.

მართვ¹ (+ 5, 7 ლევიტ. ZAa)

ზოგად ყოველთა ფრინველთა
(+ შვილთა Z) მართვი
ეწოდება, მწერით ვიდრე ირა-
ოთ და ორბამდე; არამედ ბაზთა
მართვეთა ეწოდების ქულა:
ყვავთა, ყორანთა და მისთანათა-
(სა) — ბაკალა; კოკობთა,
კაკაბთა და მისთანათასა — ლა-
პი; ბატთა, იხეთა და მისთანა-
თასა — ჰუჰულ ი; სავათთა,
წეროთა და მისთანათას(ა) —
ბეიტი; ქათამთა (+ და A)
ფარშამანგთა და მისთანათა-
სა — წიწილი, ტრედთა და
გვირტა და მისთანათასა —
კუნდი; მწყერთასა — ჩოჩო-
რი; სირთა და მერცხალთა და
ჩიქთასა — ბარტყი; მწერ-
თა და ბუზთასა — ფუმფლა;
მართვენი ყორანისანი გაწყობა-
სათვის აღუწერიათ ZA.

ზოგად ყოველთა ფრინველთა ბარ-
ტყთა მართვი ეწოდებიან, მწერით
ირაოდ-ორბამდე, არამედ ბაზთა მარ-
თვეთა ქულა ეწოდებიან; ყვავთა,
ყორანთა და მისთანათასა — ბაკალა;

კოკობთა, კაკაბთა და მისთანათასა —
ლაპი; ბატთა, იხეთა და მისთანათა-
სა — ჰუჰულ ი; სავათთა, მწეროთა
და მისთანათასა — ბეიტი; ქათამთა,
ფარშამანგთა და მისთანათასა — წი-
წილი; ტრედთა, გვირტა და ქედან-
თასა — კუნდი; მწყერთასა — ჩო-
ჩორი; მერცხალთა, კავკავთა და ყო-
ველთა სირთასა — ბარტყი; მწერთა
და ფუტყართასა — ფუმფლა; მარ-
თვი ყორანისა აქ დაწერიე, ბაკალაშია
B. (ფრინ.) მართვი ეწოდებიან ზოგად
ყოველთა ფრინველთა ბარტყთა ბე-
ზითგან ვიდრე ირ(ა)ოდმდე და ორ-
ბამდე, არამედ მართვეთაცა სხვა-
დასხვა სახელი ეწოდებიან. ქორთა,
შავარდენთა, არწივთა (+ და Cq)
მიმინოთა და მისთანათა მართვეთა
ქულა ეწოდების; ყვავთა, ყორანთა,
კაკ(ა)კავთა და მისთანათასა — ბაკა-
ლა; კოკობთა, კაკაბთა და მისთანათა-
(სა) — ლაპი; ბატთა, იხეთა და
(+ რაოდენი წყალთა შინა ეგვეითარ-
ნი არიან, მათთასა C; მისთანათა D) —
ჰუჰულ ი; ქათამთა, ფარშამანგთა
და ეგვეითართ(თას D) — წიწილი;
მწყერთასა (+ და მისთანათა D) —
ჩოჩორი; ტრედთა, გვირტა, ქე-
დანთა და მისთანათა(სა) — კუნდი;
მერცხალთა, კავკავთა და ყოველთა
სირთათა — ბარტყი CD. (ფრინ.) E.

მარი (მარი და ხოისი Cq) (2 მე-
ფე 16, 1) ხოისი. მარი ითქ-
მის მომერიდე. მარი ეწოდე-
ბის (ეწოდება B) მოკმადიანთ(ა)
ცოლის მიზდსა, რომელსა ქე-
ბინად (ქებინს B) უწო-
დენ ZAB.

მარი არს ხოისი, რომელ იქმნების
საწყევოდ ათი ქსესტი. მარი ეწოდე-
ბის აგარანთა ცოლის მიზდსა,
რომელსა ქებინად უწოდენ. მარი
ითქმის მომერიდეო Cb. (+ გამრიღე

¹ ნუსხებშია: „მართვი“.

Ca). მარი და ხოისი ორივე ერთი, ერთი მარი ათი ქსესტია Caq. (ბ მეფეთა 16, 1) ღორაკი მარი ათი ქსესტი. იოსიპოსში მარის ნაცულად ხოისი ეწერა E.

ნ. საწყაევი, საწყაული, მანი, მეპარი.

მარი ქებინის გაკვეთა CaqD.

მარი გამრიღე CqD. მომეცილვე E.

მარიალისა (მარიალისი CD) ივნისი ZABCDE.

ნ. თთუე.

მარიამსაკმელა (ბალ.) ZABCDE.

მარიკელნი (მარიკელი E) მძნათა) და მისნობათ(ა) მოქმედნი ZABCb.

მარსიკონი "Caq. მარსიკონი D. (+ სილიბისტრო CaqD): „მოვიდეს (მოუქდეს E) ქურუმნი, რომელსა არგელეოზ (არგოლეოლ E) ეწოდების, ულუკნი და მარიკელნი“ CaqDE.

მარილი 2, 13 ლევიტ. ZAA.

განუმარტავია AbBCDE.

ნ. სამარილე, უმარილო.

[მარილის ქვა ნ. არძანნი, ქვა].

მარიოტა (მარიტა Cab) მას ცის გრკალსა ეწოდების, რომელსა ბუნობასა მზე მას ზედა ვალს, გასწორებასა დლისა და ლამისასა ZA.

მას ცის გრკალს ეწოდება, რა ბუნობას მზე მაზედ ვალს B. (+ მარიტა Cb) ეწოდების მას ცის გრკალსა, ოდეს დღე(თა) და ღამეთა გასწორებასა (+ მზე Cb) მას ზედა იარების Cab.

მარისიკონი, მარისკონი ნ. მარსიკონი.

მარიტა ნ. მარიოტა.

მარიხი არია ZABCDE.

ნ. ცთომილნი.

მარმარა² (6, 71 ბარუქ) მარმარილო ZA.

მარმარილო² (+ 6, 71 ბარუქ Z) დრუნგილი ZA.

განუმარტავია BCDE.

მარმენიო (მარმენიო E) (+ კავშირის ბოლოს ZAA) ბედი, სახელი არს (სახელია B) ბედნიერ-უბედ(ურ)ობისა, ხოლო სვე წარმართთაგან თქმული რა(ა)მე კაცსა ზედა ყოფაჲ კეთილისა და განმარჯვებისა ვარსკვლავთა მიერ მიცემულობით(ა), ხოლო მარმენიო — სვე წილ-ხლომით თითოეულსა ზედა. ეამთა სიგრძე-მოკლეობა, რომელთა (+ ამათ B) გარეშენი უწოდენ, ხოლო ჩვენ არა შევიწყნარებთ ZAB.

„სვე და მარმენიო ზედათ შთამომავლისა განგებისა მიერ გარე შემოიციის(ო)“ (+ და ამისთვის ზემო იმარმენთან სწერია C) CD. (ნაპირზე რომ წითლით უწერია, ის არის) კავშირის ბოლოს³ „სვე და მარმენიო ზედათ შთამომავლისა განგებნისა მიერ გარეშემოიციავ“ E.

მარმიჭი (ბალ.) ZABCD.

მარნა (ხე) წვრილი (წვლილი B) ტირიფი, ვენაქის ასაკრავი ZA.

(ხე) მარნეული Cb.

მარნეული (ხე) მარნას რტოთაგანი ZAB.

(ხე) წვლილი ტირიფი ვენაქის ასაკ-

¹ შტრ. Ier.—120, 16 v („მარსიკელნი“). ² წყაროში: „მარმაროლსა“. ³ იხ. იონანე პეტრიწის თარგმანება, ბოლოსიტყუჲ (II წიგნი, გვ. 212, 3).

რავი Cb. (ზე) მარნა Ca. (ზე) DE.

ნ. ტირიფი.

მარსი ნარდის მღერისა(ა) ZAB.

ნარდის მღერაა. (+ მარსი კიდევ ეწოდების ბრძოლის ღმერთსა სხვათა ენით) Ca) CD. განუმარტავია E.

მარსიკონი (მარსიკონი D, მარსიკონი E) მარსიკონი ZABCD.

სილიბისტროს ნეტაფრა: „რომლისათვის ცუდნი მისანნი და მარსკონი მკურნალნი. არამედ სპარსეთითა მოიყვანეს“ E.

ნ. მარსიკელნი.

მარტაცი (+ ესე) კეცის ჭურჭელია, ჭრელად და გლუსუნად შექმნილი ZAB.

ჭაშანური. (+ მარტაცი არს Cab)

კეცის ჭურჭელი(ა) შვენიერად შექმნილი (შექმნილი D) CD. ესე კეცის ჭურჭელია შვენიერი და ცეცხლში მყის შეიმუსკრის E.

მარტვა გაშლა B.

ნ. განმარტება.

მარტვაშლა B.

მარტვილი ნ. მარტვლი.

მარტვილია ნ. მარტვლია.

მარტვირი ნ. მარტვრი.

მარტი მირკანი ZABC.

მირკანი. აშ(ა) მარტსა ჰქვიან ნისანი და ფამენოთი(ს), რომელსა პირველ(ად) ტრიმონ ეწოდებოდა (ეწოდა D), რომელ არს არეასი (არეოსი D) DE.

ნ. თთუე.

მარტივი „ოთხ გვარად ითქმის (+ რამეთუ ცხად ჰყოფს ყოველი თურთსა, ვითარცა იტყვიან

რიტორნი, მარტივად სათქმელ არს ნაცვლად ყოველი თურთ სათქმელობისა; და საკუთარსა, ვითარ ოდეს იტყვის არისტოტელი მარტივი ქმნაჲ, რომელ არს საკუთარი; და ცუდსა, ვითარმედ სცემს მას, დაპნიშნავს მარტიობასა. ვითარ ოდენ ვიტყოდით: მარტივად ზღაპარმა თქვა ჭეშმარიტებისაჲ“ ZAA) ZA.

ესე არს მარტოჲ, გინა საკუთარი B.

(+ მარტო Ca; (+ მარტივი არს

ერთი, გინა უტოლო, გინა არასხიანი C).

„მარტივი სამგვარად ითქმის:

(+ ანუ C) საკუთ(ა)რად, ანუ მარტოდ, ანუ საყოველთაოდ“³.

სხვას წიგნში (ასე D) ეწერა: „მარტივი

ოთხგვარად ითქმის, რამეთუ ცხად-

ჰყოფს ყოველი თურთსა, ვითარ-

ცა იტყვიან რიტორნი, მარტივად სა-

თქმელ არს ნაცვლად ყოველთურთ-

სათქმელობისა და საკუთარსა,

ვითარ ოდეს იტყვის არისტოტელი,

მარტივი ქმნაჲ, რომელ არს საკუთარ-

ი, და ცუდსა და თვინიერ სიტყვისა

რომლისავე, ვითარმედ მარტივად

სცემს მას, დაპნიშნავს მარტიობასა-

ცა, ვითარ ოდეს ვიტყოდით მარტი-

ვად ზღაპარმა(ნ) თქვა ჭეშმარიტებაჲ,

ხოლო აწ ნაცვლად მარტიობისა ძეს,

რამეთუ იტყვის, ვითარმედ: ჩანს არ-

ცა ნათესავი არს, არცა სახისა მარტო

თქმა“ CD. მარტო, ერთი E.

ნ. მემარტივე.

მარტო (+ 3 მფევე 18, 6 ZAA)

ცალკე ერთი ZA.

¹ შტრ. Jer.—120, 16 v („მარსიკელნი“). ² აღებულია ამონიოს ერმისის შრომიდან: A—250, 84 v. ³ ეს წინადადება აღებულია ამონიოსის ნაწარმოებიდან A—250, 166 r. ⁴ ეს ადგილიც ამონიოსის შრომიდანაა: „მოსავსენებელი სუთთა ქმათაღმპორფ. ფილოსოფოსისათა“ A—250, 84 v.

ერთი, ცალკე B. ერთი რაიმე C.
განუმარტავია DE.

ნ. სიმარტოე.

მარტორქა (ოთხფ.) (21, 22
ფსალმ.) ZA.

(ოთხფ.) BCDE.

მარტული¹ ლათინთა ენაა, მო-
წამეს უწოდენ, ხოლო მესხ-
ნი ყრმას (ა) უწოდენ ZAB.
ყრმა CDE.

ნ. სამარტულე.

მარტულია² (1 კორინ. 16, 8) პენ-
ტეკოსტე ZAA.

სულის წმიდის მოსელას ეწოდება
- მეერგასისესა მას დღესა B. სულის
წმიდის მოსლეა (მოსელა Cq), რომელ
არს დღე მეერგასე (მეერგასისე Cq)
Cbq. სულის წმიდის მოსელა CaD.

მარტური³ იგივე მარტვილი ZA.

მარტვილი B. წამებული CD. მოწა-
მე E.

ნ. მარტული.

მარტოჲ (მარტოი CDE) ქუდია
გრძელი ZAB.

(+ არაბთა E) ერთ(ი) რიგი ქუ-
დია CDE.

მარქაფა (ოთხფ.) ჯინიბი, (+
მეორე ცხენი ZA) ZAB.

(ოთხფ.) მეორე ცხენი აჯაზბული C.
(ოთხფ.) DE.

ნ. ცხენი.

მარღვი ნ. მარღვ.

მარღი თვალ-თეთრი ZAA.

ნ. აღიელი.

მარღვ⁴ დამარღვეველი ZAB.

მარყუჟი ზორტულად შეკრული
ZAB.

აღვილ .გასაკნელად გასკენილო
CDE.

მარჩივი (+ 4, 5 ქება ZAB)

ტყუბი ცხო(ვე)ლი ZABCD.

ტყუბი E.

ნ. ზოდიაქო, ტყუბი.

მარჩილი სამი აბაზი ZAA.

შღრ. ეყურა.

მარცუალი (მარცვალი CqE) (+
16, 14 გამოსლ. ZAA) ესე არს
ერთი ცერცეთა ანუ ხვარბალთა-
განი გინა წერილთა ასონი და
რადეა ერთი მგრგვალი მცირე
იყოს ZA.

ესე არს ერთი ცერცეთა ანუ ხვარ-
ბალთაგანი, გინა წერილთა კმოანი.
უქმოთა თანა შეშქულნი ასონი და
რაიცა ერთი მგრგვალი მცირე B.
მარცვალი არს ყანათა და ბალახ-
თა თესლთაგანისა ერთი კაკალი;
მარცვლად ითქმის წერი(ლ)თა
ასოთაგანთაცა ერთი C. განუმარტა-
ვია DE.

მარცხატი ან დ რ ი ა ს ა ლ ო ს -
ში: „ვეთარცა თხა მარცხატი
იხილევბოდა“ ZABCDE⁵.

მარცხენა-14, 22 გამოსლ. ZAA.

განუმარტავია AbBCDE.

მარცხი საზიანო ZAB.

საზიანოსავით Cab. განუმარტავია
CqDE.

მარცხულ მარცხნით ZAB.

მარწუხი 6, 6 ესაია ZAB.

გაზივით არი C. განუმარტავია DE.

მარწუხები (27, 10 გამოსლ.)

ქარშიკი არს გრგოლის მსგა-
ვსი კილოი, ხოლო მარწუ-

¹ ნუსხებშია: „მარტვილი“. ² ნუსხებშია: „მარტვილია“. ³ ნუსხებშია:
„მარტვირი“. ⁴ ნუსხებშია: „მარღვი“. ⁵ E ნუსხაში წყაროდან ციტატი მოყვანი-
ლი არ არის.

ხე ბ ი კავი რამე, მის საპყრობ-
(ლ)ად ჩასავდები, კარვის მაშუ-
თა და ფელიკათათვის ZA.

(27, 10 გამოსლ.) კარ შ ი კ ი არს
გრგოლის მსგავსი კილოჲ, ხოლო
მარწუხნი — კავი რამ მისი ჩასავ-
დებელი კარავთ მაშუათათვის B.
კარ შ ი კ ი არს გრგოლთა მსგავსად
კილო რვალთაგან და ეგვეითარათაგან
შექმნილი (შექმნული Ca), ხოლო
მარწუხები — კავი რამე მისი
ჩასაყრელი კარავთა და კალთათა
მისთა შესაყინძველად C. კარ შ ი კ ი
არს გრგოლივით კილო — რვალთაგან,
და მარწუხები — კავი რამე ჩა-
საყრელი მას შინა კარავთა და კალ-
თათა მისთა შესაყინძველად D.
გამოსლ. 36 E.

მარწყვ (მარწყვი BCD) (ბალ.)
ხმილი(ა) ZA.

(ბალ.) უელრ მელის კაკალა B.
(ბალ.) CabDE. (ბალ.) მარწყვის დიდ-
სა ეწოდების ხენდრო და წვლი-
ლსა — მელის-კაკალა, და
მოგრძესა — უელი Cq.

ნ. ხიჩატელი.

მარხვა (მარხუა ZA) (+ 2 ეზრა
9, 1 ZA) შენახვა ZAB.

უქმელობა, გინა შენახვა Cb. უქმე-
ლობა Caq. განუმარტავია DE.

ნ. დამარხვა, ვიმარხე, ვიმარ-
ხულე, იმარხა, იმარხავს, მარხუ-
ლობა, ნამარხევი, სამარხო 1—2.

მარხვა (მარხუა ZA) (1, 14 ესაია)
კორცის უქმელობა ZA.

კორცთ უქმელობა B.

მარხულობა მარხვა არს შენა-
ხვა, ვინათგან ვიტყვით უნჯთა
დამარხვასა, ანუ ცხოველთა,
ანუ მკედართა დამარხვასა;
აგრევე მშუცლისა, ენისა, ხვაში-
ადისა და სწავლისა შენახვასა

მარხვად სახელ-ედების; ხო-
ლო მარხულობა იგი არს,
ოდესცა განწესებულთა დღეთა
ანუ საკანონოთათვის რაოდენ
დღე მარხულობითა ვიმარხვი-
დეთ და დღიურ ერთგზის ვკამ-
დეთ; ხოლო კოლეიზმა —
მარხულობა ძლიერი კორცთა
ქენჯნისათვის ZA.

მარხვა არს შენახვა, ვინათგან
ვიტყვით ხვასტაგთა დამარხვასა, ანუ
ცხოვლთა, ანუ მკედართა დამარხვასა.
ესე არს შენახვა: მშუცლისა, ენისა,
ხვაშიადისა, სწავლისა შენახვას მარ-
ხულობა იგი არს, ოდესცა განწე-
სებულთა დღეთა მარხვისათა ვიმარხ-
ვიდეთ, გინა სხვათა საკანონოთა;
ხოლო კოლეიზმა — მარხულობა
ძლიერი კორცთა ქენჯნისათვის B.

ნ. ნამარხულევი.

მარტე ლონიერი და გამძრავი (+
კაცი ZA) ZAB.

გამძრავი კაცი CD. განუმარტავია E.

მარტილი დიდი; ციგა — მცირე,
ნალო — ეტლის მსგავსი,
უთვალო, კაცთ ჩასაჯდომი
თოველზე ZAA.

განუმარტავია AbBDE. მარტილი
ეწოდების დიდსა და მანჯიკი — შე-
დევსა, ხოლო ციგა — უმცროსსა
ყოველთასა C.

ნ. ურემი.

[მარტილი ნ. მწყერმარტილი,
მწყერმარტი].

მარჯანი (ფრინ.) მცირე ბაზია,
თვალ-შავი ZA.

(ფრინ.) BCDE.

მარჯვე ნ. მარჯუე.

მარჯვენა ნ. მარჯუენა.

მარჯვნივ-საცმელი ნ. მარჯუენით-საცმელი.

მარჯუე (მარჯუშ ZA, მარჯვე BDE) (+ 2 ნეშტ. 18, 33 ZAa) მოუტდენელი ZABCD.

განუმარტავია E.

ნ. გამარჯუება, გამარჯუებუ-ლი, გამმარჯუე, გამმარჯუებელი, სიმარჯუე, ქელმარჯუე.

მარჯუნა (მარჯუნა ZA, მარჯვენა DE) 14, 22 გამოსლ. ZAa.

განუმარტავია AbBCDE.

მარჯუენით-საცმელი¹ (მარჯუშ-ნით-საცმელი Z, მარჯუენით-საცმელი ABCaყ, მარჯვნივ-საცმელი DE) (3, 21 ესაია) ქალთ სამკლავე ZAB.

(+ ესაია 3, 21 Cb) სამკლავია მარჯვენს (მარჯვენას Ca) მკლავისა C. ესაიას [3, 21] Cq. მათეს თავის თარგმანში DE.

მარჯუშ ნ. მარჯუე.

მარჯუშნა ნ. მარჯუნა.

მარჯუშნით-საცმელი ნ. მარჯუე-ნით-საცმელი.

მარჯულ მარჯვე(ე)ნით ZAB.

მარჯუენით-საცმელი ნ. მარჯუე-ნით-საცმელი.

მას (+ 1, 24 მათე ZAa) იმას ZABCD.

განუმარტავია E.

მასათა ბასრიის სასარევი(ა) ZABCD.

სასარევი ბასრისა E.

ნ. სასარევი.

[მასალა ნ. ნივთი].

[მასალა ნ. სამასალო].

[მასალა ნ. ქარასტა].

[მასალა ნ. მანა].

მასარი ზღუდესთან ნახე ZA.

ყეროს მსგავსი წელილის ლატნიო B. ყეროს მსგავსი ლობე CD. ყეროსებრი ლობე E.

მასარიკა ესე (მასარიკა CD) არს ნაწლევი მმარხველი სა(ზ)რდელისა ძარლოვანი (ძარლვიანა BCD) შედგმულ(ი) ღვიძლთა, რომელსა ბერძულად ქოლო-სი(ა) ჰქვიან ZABCD.

მასბაკი 2 მეფე 8, 8 ZAaB.

მასე ცალ-წვერი (+ და ZA) უმძი(ე)ო ბადე ZAD.

ცალ-წვერი ბადე უმძიო BC. გრთი ბადე E.

ნ. ბადე.

მასესხა² (+ 4 მეფე 4, 1 ZAa) სე ს ხ ი მ ო მ ც ა, გინა მას კაცს წამოესხა, ანუ მას ხილწი ებნეს ZA.

სე ს ხ ი მ ო მ ც ა, მას კაცს წამოესხნეს, გინა მას ხილს ებნეს B.

[მასი ნ. მანა].

[მასი ნ. წამი].

მასენე (17, 7—10 ეზეკ.) ესე არს ვაზთა და აყიროთა და მისთანათა ძაფივით რომ აქეს ხეზე შესახვეველად ZA.

(17, 7—10 ეზეკ.) ესე არს ვაზსა, აყროსა და მისთანათ ძაფივით რომ აქესთ B. მასენე არს ვაზსა, აყირონსა და მისთანათა ძაფივით (ძაფსავეთ Caq) რომ აბია (+ ეზეკ. 17, 7—10 Cb) C. ვაზს რომ ძაფივით აბია D. ვაზის ძაფი E.

მასმორი (მასმორნი CD) მანკანი ZAB.

¹ წყაროშია: „სამარჯუნეებსა“. ² წყაროშია: „მასესხებელი“.

საეცესლური მანკანი C. საეცესლური D.

ნ. მანკანა.

მასნეფთის (მასნაეფთის CDE) სელთაგან ქსო(ვ)ილი გვირგვინი (ა)პ(ა)რონის სახურავად ZAB.

სელისა მიერ ქსოვილი გვირგვინის სახე, აპრონის (პარონის Cq) თავსაბურავი არს C. ესე არს სელისა მიერ ქსოვილი გვირგვინის სახე პარონის თავსაბურავად D. ეწოდების სელის ქსოვილი იყო გვირგვინის სახე არონისა, თავსაბურავი E.

მასპინძელი სახლისა და ლხინის უფალი ZA.

განუმარტავია BCqDE. ს ტ უ მ ა რ ი არს კაცი, ვინა სხვისას მივიდეს, ხოლო მასპინძელი იგი, ვისას სტუმარი მივიდეს Cab.

ნ. იმასპინძლა, სამასპინძლო.

მასრა ესე არს ლერწამი, საზედაოს დასახევეელი, გინა თოფის წამლის ჩასაყრელი, გინა რააც კალამსავით გაკვრეტილია მოგრძე ZA.

ესე არს ლერწამი საზედაოს დასახევეი, გინა თოფის წამლის ჩასაყარი, გინა რააცა კალმურად გაკვრეტილი B. მასრა არს წვლილი ლელწამი საზედაოს დასახევეი; მასრა არს სხეცა ლერწმის მსგავსნი წამლის ჩასაყარი, გინა გაკვრეტილნი რამე კალმურად Cb. განუმარტავია D.

ნ. მაქო.

მასრული (2 შჯულ.) ნასრულთან ნახე ZAA.

მასსავაზა (მასსავაზანი E) ესე არს, რომელსა ყელს(ა) მოიხვევენ მღ(რ)დელნი (მღვდელ-მთა-

ვარნი CD) ვიდრე ბეჭთამდე ZABCD.

უკვე ეწოდების, რომელსა ყელსა მოიხვევენ მღვდელ-მთავარი ვიდრე ბეჭთ საშუალამდე E.

მასტაკი ფრანგულია, ესე არს თეთრი კევი საცოხნელი, ქიოს კუნძულში ხეთა სდის ZA.

თეთრი კევი, ფრანგულია, საცოხნელი B. თეთრი კევი CD. განუმარტავია E

მასტაო ღო ბრინჯით ნამზადი ZAB.

მასტაფა ღო კორციით ნამზადი ZAB.

ღოთ კორცი ნამზადი C. განუმარტავია D.

მასტიკესობა ნოენბრის 11 სვინაქსარში ZABCD.

მასტიკი ფეიქრის იარალი(ა) ZABCDE.

მასულა სულზედ შემავდო ZAB.

მასხარა სხვათა ენაა, ქართულად (+ სილოდა და Ab) ხუ მარ ი ჰქვიან ZAB.

(უკმ.) ესე თურქთა ენაა, ქართულად (ადგილია გაშვებული) ეწოდების CD. თათართა ენაა, ქართულად გაძლივარი ეწოდების E.

მატაკარანი¹ (+ 39, 1 დაბად. ZA) (მზარეულ(თ)-(მზარაულთ Ca)-უხუცესი ZABC.

მზარაულთ-უხუცესი D. მზარეულთ-მთავარი E.

მატაროთ მართონოთ B.

მატაროცი უთქმელის წა(რ)-მთქმელი ZAB.

ცულ-მოუბარი, რომელი არა იყოს

¹ წყაროშია: „მზარაულთა მთავარი“.

სათქმელად C. ცულ-მოუბარი DE.
მატება მომატება CD.

განუმარტავია E.

მატება მომატება, აღმატება, გა-
მომატება ZAB.

გამომატება CD. განუმარტავია E.

ნ. აღმატა, აღმატება, გარდა-
მატება, ვმატთ, მომატება, შეუ-
მატა, წარმატება, [ჰმატს; შდრ.
მეტი.

მატიანე (+ 1 ეზრა 6, 1 ZAa)

საღ თო წერილთა ძველთა და
ახალთა ორთავე სახელია; მ ა -
ტ ი ა ნ ე დ ითქმის მეფეთ(ა)
ცხო(ვ)რებანიცა; მ ა ტ ი ა ნ ე
არს (+ აღწერილნი B) მოსაქსე-
ნებელნი საქვეყნოთა გა(ნ)საგე-
ბელთა და წესთანი ZAB.

მატიანე ეწოდება საღ თო წერილ-
თა ძველის სჯულისათა; მ ა ტ ი ა ნ ე დ
ითქმის ცხოვრება მსოფლიოთა კაც-
თა (+ და Caq) მეფეთანი; მ ა ტ ი ა -
ნ ე არს აღწერილნი მოსაქსენებელნი
საქვეყნოთა განწესებთანი C. მოსაქ-
სენებელი D. განუმარტავია E.

ნ. წერილი.

მატირა ტირილი მაქნევიანა ZAB.

მატიტელა (ბალ.) ZABCDE.

მატლ (მატლი BCDE) (მძრომ.)

(21, 7 ფსალმ.) მატლი ZA.

(მძრომ.) 21, 7 ფსალმ. B. (მძრომ.)

CDE.

მატლი (მძრომ.) (+ 16, 20 გა-

მოსლ. ZAa) იგივე ZA.

ნ. მატლ.

მატლკაში (მძრომ.) მიწის დიდი

მატლი ZAB.

(მძრომ.) C.

მატრაკუეცი, (მატრაკუშცი ZA;
მატრაკეცი CqDE). მკველის
მკვეალი ZABCDE.

მატუცი (ბალ.) ZABCDE.

მატყვი ნ. მატყვ.

მატყიერი (+ 4 მეფე 1, 8 ZA)

მეტად ბალნიანი ZABCDE.

მატყლი (+ 1, 14 გამოცხ. ZAa)

ცხოვართ თმა ZABC.

განუმარტავია DE.

ნ. თმა, მატყიერი.

მატყვ¹ მა(რ)კაქალი ZABCDE.

მაუზნი (11, 38 დანიელ) ძლიე-
რივით ZABCb.

(დანიელ 11, 38) ძლიერსავით Ca.

მაუწყე შემატყობინე ZA.

შემატყობინესავით B.

მაფაჲ² (+ 44, 17 იერემ. ZAa)

მეფაჲ, დედუფალი ZA.

მეფაჲ B.

მაფერებელი ესე არს პირს მიეტ-
რელოს და მაქებელი და არა
შემწყნარებელი ZA.

მაფერებელი არს პირს მიმტ-
რელებელი; მაფერებელი არს
ფერებთა მის აღვილს შემაწყობე-
ლი B.

მაფორი (+ 6, 9 მამათ. ცხ.³ ZAa)

თერისტროჲ ZAB.

აქლა, ზეწარი CD. დელათ შესამო-
სი რამ არის, წამოსახში. მამათ-
ცხ.: „სადედო მაფორი წამოისხაო“ E.

მაფრაშა სხვათა ენაჲ, ქართულად

გვალაგი ჰქვიან ZA.

გვალავი B.

მაქანარი (+ 50, 44 იერემ. ZA)

ქვეის პირი ფლატ(ო)იანი ZABC.

¹ ნუსხებში: „მატყვი“. ² წყაროში: „მეფეას“. ³ შდრ. A—1105, 162 r, a.

[მაქერა ნ. მრავალსახელი].

მაქესიერი ნ. მაქუსიერი.

მაქმანი (4 მეფე 8, 15) ბაღე წვრილად და თხლად ქსოვილი, ვითარცა მერდინი ZA.

ბაღე წვლილად ქსოვილი (+ 4 მეფე 8, 15 B) BCb. ბაღე წვლილად ქსოილი, წმი(ნ)და Caq. ბაღე წვლილი D. 4 მეფ. 8, 15: „მოილო მაქმანი, დააღტო წყლითა, მიიბურა პირსა და მოკვდა“, ე ლ ი ს ე ს ა მ ბ ა ე შ ი ა E.

ნ. ბაღე.

მაქო საქსოვრის საზედაოს გასაველები, გინა ქება შემასხა, გინა მაქეს იგიო ZA.

მაქო საქსვალის საზედაოს გასაველებელი; მაქო ითქმის ქება შემასხა; მაქო ითქმის ქონება მაქვანო B. მაქო არს საზედაოსა გასაველებელი ჩაქსვალსა შიგა (შინა Ca), ხოლო მასრა—შიგ საღებელი (საღები Ca) ლელწამი, რომელსა ზედა ახვევია საზედაო (+ მასრად ითქმის სხვანითა გრძლად ჩაქვრებილი, ანუ ლელწამნი, ანუ მსგავსად მისა გათლილი ხენი, გინა ძვალნი და რქანი Ca) Cab. განუმარტავია CqDE.

მაქური დანის სასრევი ZAB.

დანის ქვა CD. განუმარტავია E.

ნ. სასრევი.

მაქუსიერი (მაქესიერი ZAaCbcb qDE) მქონებელი ZABCDE.

მაქციენ 43, [11] ფსალმ. Z.

მაღალი ზე აღმართებით რომელი უგრძეა, იგი არს: მთა, ანუ ბორცივი, ხენი, ანუ ზღუდე და მისთანანი; მაღალი არს ცა(ა) და სამყარო(ა); მაღლად ითქმის ჰაერთა შინა ფრინველი,

გინა დიდნი მეფენი, ანუ ძლიერი კმიანობა(ა) ZA.

ზე აღმართებით რომელი უგრძეა, მაღალი იგია: მთა, გორა, ხენი, ანუ კაცი, ანუ ზღუდე და მისთანანი, მაღალი არს სამყარო, ცანი; მაღლად ითქმის ჰაერთა შინა მფრინველი; მაღლად ითქმის ძლიერი კმიანობა B. განუმარტავია CDE.

ნ. ამალეობა, ამალეობული, გრძელი, სიმაღლე, უმაღლესი, ქედმაღლობა; შდრ. მაღანი.

მაღალი (19, 5 იერემ.) საკურთხეველივით ZAB.

ტრაპეზავით (იერემ. 19, 5) C.

ნ. საფილა.

მაღანი მაღალი ZAB.

მაღლად გამოითარგმანების (გამოითარგმანება D) CD.

მაღაო ცხენის სენია ყელში ZAC.

ცხენის სენია ყელისა B. ცხენის სენი(ა) DE.

მაღარიკონი დიდი ტიბიკონი: „(+ ოთხშაბათ-პარასკევს E) არა ვსვამთ სატრაპეზოდ ღვინოსა, არამედ შეიზავეების მაღარიკონსა შინა ღვინო(ა) (+ და ZAB) მიეცემის ეკლესიის (ეკლესიათა ZABCDE) მნებებელთა (მნებებელსა E; + თვითო CDE)“ ZABCDE.

[მაღვ. ნ. უმაღლებ, უმაღლებს].

მაღმართნი (80 კავშ.¹) ესე იგი არს, ოდეს უმჯობესსა ეზიარებოდინ, ხოლო მაკლნი თვისისა მყოფობისაგან ოდენ (ოდეს B) უდარეს ჰყოფდეს ZAB.

(+ 80 [კავშ.] Cb¹) მაღმართნი ესე იგი არს, ოდეს უმჯობესსა ეზიარ-

¹ განმარტება გამოკრებილია იოანე პეტრიწის თარგმანებიდან (წიგნი 11, 139,1).

რებოდინ, ხოლო მაკლნი ესე იგი არს, ოდეს თვისისა მყოფობისაგან უღარე(ს) ჰყოფდეს CD.

მაღნარი (+ 10, 18 ესაია ZAA)

არს მათათა შინა ტევრნალი შამბიანი ZA.

(+ მაღნარი CDE) არს მათათა შინა ტევრნალი შამბიანი (+ 2, 3 ქება B) BCDE.

შღრ. უღნარი.

მაღნიტი რკინის მიმზიდველი (მზიდველი D) ქვა(ა) ZACD.

რკინის მიმკრავი ქვა B. (უქმ.) E.

მაღრანი (ფრინ.) ZABCDE.

მაყარი (+ ვეფხის-ტყ. ZAA) ძმადი ZABCD.

განუმარტავი E.

მაყე (კ)ელას სანიშნო სვეტა ZABCaQD.

ქელას სანიშნო სვეტი, მაცა საბურთალოს სვეტი¹ Cb. განუმარტავი E.

მაყვალი ნ. მაყული.

მაყრევენ 4, 6 მამათ-ცხ.¹ Z.

მაყული (მაყვალი BCqD) (ხე)

(+ 3, 2 გამოსლ. ZAA)

ZABCDE.

მაშ (მაშა CD) აბა ZABCD.

განუმარტავი E.

მაშა მაშ. (1 მეფე 14, 7) სიტყვა

დაკითხვის საქცევი არს, რათა

ვინ რაჲ არაქმნასა. გვეტყოდეს,

დავეკითხვით: მაშა რაგვარად

ქნა? მაშა ესრეთ მოჰქდე-

ბა? და ესევეთარნი ZA.

მაშ. მაშა და მაშ სიტყვის და-

კითხვის საქცევი არს, რათა რაჲ

არაქმნასა გვეტყოდეს, დავეკითხვით:

მაშ როგორა ქნა? მაშა ესრეთ მოჰ-

ქდებოდა? და ესევეთარნი. ხოლო

ცეცხლის ასაღები მაშა თურქთ

ენაჲ, ქართულად ტკეცი ეწოდების,

ხოლო მაშა-ცერცესა—ცეცქაჲ B.

მაშა ცეცხლისა ასაღებელი, გინა

თოფისა. თურქთა ენაჲ (ენითაჲ

Ab), ქართულად ტკეცი ეწო-

დების, ხოლო მაშა-ცერცესა —

ცეცქაჲ ZA.

(უქმ.) მაშა თოფისა ანუ სხეა თუ-

რქთ(ა) ენაჲ, ქართულად ტკეცი

ჰქვიან CD. მაშა ქართული არ არის,

ტკეცი ჰქვიან E.

მაშა (ბალ.) ცეცქა (+ ცერცია C) CD.

(ბალ.) E.

ნ. ცეცქა.

[მაშაჲ ნ. დამაშაგება].

მაშენე ნ. მაშუნე.

მაშვრალი ნ. მაშურალი.

მაშია ფერქ(თ)საცემელია ZA.

ფერქსაცემელი BC. განუმარტავი

DE.

მაშინ 25, 34 მათე ZAA.

განუმარტავი AbBCaQDE. მაშინი

ეჲმსა დაგვინიშნავს მოსაქენებელ-

სა Cb.

მაშინლა (11, 8 გამოსლ.) მაშინ

ძვილ ZA.

მაშინც მისვე სამოწმო ZAB.

მაშკი (+ 4, 18 შსაჲ. ZA) კარვის

კალთა ZABCD.

მაშკევი არს კარვის კალთები, გინა

კრელებული ფარდაგის მგზავსი E.

მაშმელი (+ ქართლის ცხ.² ZAA)

ფუტურო ZAB.

მაშრაბა (მაშრაბა B) სხვათა ენაჲ.

სარწყული(ა), სტამნი(ა) ZAB.

პირ-ფართო სარწყ(ყ)ული CD

განუმარტავი E.

¹ შღრ. A—1105, 84 v, a 6.

² შღრ. ქართლის ცხ-ბა, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს გამოც., I, 174, 6.

მაშუნე (მაშუნ Ab, მაშენე DE)
შემრგე ZAB.

შემრგე, გინა გასა(მ)წყო CDE.

მაშურალი (მაშვრალი DE) (+
4, 6 იოანე ZA) დაღალული
ZABCD.

განუმარტავია E.

ნ. მემამურალე.

მაშულარი (მაშულარნი B) შულ-
ლის მ(ნ)დომელი ZA.

განუმარტავია B.

შღრ. მოშულარი.

მაშფალა კოკის ჩასადგმელი სა-
ზიდ(რ)ად ZACD.

კოკის ჩასადგმელი საზიდი B. კო-
კათა და აგურთ საზიდი ხენი E.

მაჩვენებელი ნ. მაჩუენებელი.

მაჩვი ნ. მაჩვ.

მაჩვილა საჩივარი მათქმია ZAB.

მაჩინა ჩინებულ მყო ZAB.

მაჩუენებელი (მაჩუტნებელი ZAA,
მაჩვენებელი B) დამ(ა)ნახვებე-
ლი ZAB.

მაჩვ (მაჩვი BCaDE) (ოთხფ.)
(+ 11, 6 ლევიტ. ZAB)
ZABCDE.

მაჩქათელა (ფრინ.) მღამიობი
ZABCDE.

მაჩხი თვალ-ჭრელი ZABCDE.

ნ. აღიელი.

მაცა მაცალეს ნაკვეთი ZAB.

მაცადე მომიცადე ZAB.

მაცალე მოცდა მომეც ZA.

მოცლა მომეც B.

ნ. მაცა.

მაცახი ესე არს ფიწალივით რკი-
ნა აკრას ამოსახვეტი პინასისა

და ხამანწყასათვის ZA.

ესე არს ფიწალივით აკრას ამოსა-
ფხევი პინასთა, ოსტრიათა, აკალი-
ფადთა ამოსაღებულად B.

მაცდური ნ. მაცთური.

მაცთენელი სწორის შემშლელი
ZAB.

მაცთური (მაცდური Ca) (+ 27,
63 მათე ZAA) ცთუნების მოქმე-
დი ZAB.

კეთილს მოაციინოს C. განუმარტა-
ვია DE.

მაცილებელი ცილების მოყვარე
ZAB.

მაცხოვარება (41, 16 დაბად.)
ცხო(ვ)რების ქონება ZAA.

ნ. სამაცხოვარებო.

მაცხოვარი (+ 12, 2 ესაია ZAA)
ცხო(ვ)რების მოქმედი ZAB.

ცხო(ვ)ნების მოქმედი C. განუმარ-
ტავია DE.

მაძაგა საძაგლად გამთქვა ZA.
საძაგელ მყო B.

მაძღვედა მომცემელობდა ZAB.

მაძღვევინა ძღვევა მაქნევეინა ZAB.

მაძლია მოცემა მითქვა ZAB.

მაძლარი საკმლით ა(ღ)მოვისლილი
ZABC.

განუმარტავია DE.

ნ. სიმამღრე.

მაწაკი თმა ყურთ საფარი (+
ღულამბარი ZAA) ZAB.

თმა ყურის საფარი C. განუმარტა-
ვია DE.

ნ. ზილფი, თმა.

მაწანებელთაში (31, 2 იერემ.)
მოსვენებასავით: (+ „ესრეთ
თქვა უფალმა ვპოე სიტფოა

უღაბნოსა შინა მომსრველთა
თანა მახვილითა მომავალნი მა-
წანებელთამი ისრაილისათა; ვი-
ლოდეთ და ნუ მოსრავთ ისრაი-
ლსა“ ZAa) ZABC.

მაწაქი (ბალ.) ფურცელბრტყელი
ZAa.

მაწაწური ქურის ამოსაკოცელი
ZABCDE.

მაწიერი დიდხანს ეყოს რამე
ZA.

დიდხან შეეწიოს B. ცოტა რამ
დიდ(ს) ხანს ეყოს C. განუმარტავია DE.

მაწოვარი (მაწოარი B) ძუძუს
ქამსა დედას მაწოვანებე-
ლი (მაწოვარი Ab) და
ჩჩვილს(ა) მ(ა)წოვარი ეწო-
დება ZA.

დედას მაწოარი, ხოლო შვილ-
სა მწოარი ძუძუთ ქამსა B.
განუმარტავია Cb.

შღრ. მწოარი, მწოვარე.

მაწოვანებელი მაწოვარის დედა
ZAa.

მაწო(ვ)არივე AbB.

მაწონი წველა ZABC.

განუმარტავია DE.

მაწუველი Cb.

მაწუნებელი Cb.

მაწუნწალი Cb.

მაჭაკალი სიძვის შუამავალი ZAB.

მატყვი, სიძვის შუამავალი C. მატყ-
ვი D. ბოზის შუამავალი E.

მაჭარი ახალი ღვინო ZABCDE.

ნ. ღვინო.

მაჭი ერქვე(ა)ნის საკელური
ZABCD.

განუმარტავია E.

ნ. იმემაჭე.

მაჭიკი ღვრიტა ZABCDE.

მაჭირვებელი (19, 20 ესაია) ჭო-
რის მომცემი ZAA.

მაზა (ბალ.) ყანაა, ასლს ჰგავ(ს)
ZAB.

(ბალ.) ყანა(ა) ასლის მსგავსი CD.

(ბალ.) ერთი ყანა E.

მაზათი დიდი ნემსი ZABC.

განუმარტავია DE.

ნ. ნემსმაზათი.

მაზალაკი აგბა ZBC.

აგბა A. განუმარტავია DE.

ნ. ვაშკარანი, ხურჯინი.

მაზალი (+ 13, 12 ივლით ZAB)

ხურჯინი(ა) ZABC.

განუმარტავია DE.

ნ. ვაშკარანი, ხურჯინი.

მაზალი იმერქოსში ერთს რიგს პურსა
ჰქიან B.

მაზარა (ფრინ.) ZAB.

მაზარა ხარება შითხრა ZA.

მაზარებელი საზარების აღმწერი
ZABCb.

ნ. იოანე მაზარებელი.

მაზარი კოლოტის პალო ZAB.

კოლოტის პალო (მანა E). მაზა-
რი სომხურია, ქართულად ავარტ-
ნი (ავრიტნი C) ჰქიან CDE.

[მაზარნა (მაზხანა?) ნ. სამაზარნო].

მაზარობელი (+ 1 მეფე 31, 9 ZA)

კეთილ მოამბე ZABC.

განუმარტავია DE.

მაზე ზოგადი სახელი არს ყოველ-
თა შესაპყრობელთა. ხოლო მა-
ხენიცა ესრეთ განიყოფვიან, რა-
მეთუ: საბრკე არს მაზე
კუნდი, რომელსა შემზადებენ
რკინითა, ანუ ხეთაგან და დაუ-
გებენ მარჯვეთა ადგილთა დიდ-
თა ნადირთა შესაპყრობელად;
ის ხერტი არს მაზე შემზადე-

ბული ძელთაგან მკეცთათვის თავს დასაცემელი; ი რ ე ჭ ი არს (+ მახე Z) ხითა და თოკითა შემზადებული, რათა ფერკათა მალლა შეჰკიდოს ნადირი; ს ა ი ფ ე ჯ (ი) ო არს სხვა რიგად თოკითვე ადგილზედ შეუპყრას ფერკი; ი ლ ი ნ ჭ ა არს (+ მახე Z), გალიათა მსგავსი სირთათვის; ა კ ა ნ ა თ ი არს (+ მახე Z) ძუფთ(ა) (ძუფითა Ab) და ჩხირითა სირთათვის; პ ო ტ ი კ ო არს (+ მახე ქოკობთა და კაკაბთა; გაწარი არს Ab) მახე მწყერთათვის გრძლად ნაგები; ს ა ც ე რ კ ო დ ი (ფ ა ც ე რ კ ო დ ი A) არს (+ მახე Z) გრკლითა და მშვილდითა ტრედთათვის; გ უ ლ ყ ო არს (+ მახე Z) ყელს გარდასაცემელი (+ მახე A) ხალასა (ხალათა A) ზედა; ს ა რ ე გ ვ ა ე ი არს (+ მახე Z) ღიდის მკეცით თავგამდე სხვადასხვა რიგად თავს დასაცემელი ZA.

მახე ზოგადი სახელი არს ყოველთა მახეთა. ხოლო მახენია ესრეთ განიყოფებიან, რამეთუ: საბრკე არს მახე ქუნდი, რომელსა შემზადებენ რკინათა ანუ ხეთაგან და დაჰფლვენ მარჯვეთა ადგილთა ღიდთა ნადირთა შესაპყრობელად; ი ს ხ ე რ ტ ი არს მახე შემზადებული ძელთაგან მკეცთათვის თავს დასაცემელად; ი რ ე ჭ ი არს ხითა და თოკით შემზადებული, რათა ფერკით მალლა შეჰკიდოს ნადირი; ს ა ი ფ ე ჯ ი ო არს სხვა რიგად თოკითვე ადგილზედ

შეუპყრას ფერკი; ი ლ ი ნ ჭ ა ა გალიათა მსგავსი სირთათვის; ა კ ა ნ ა თ ი არს ძუფთა და ჩხირითა სირთათვის; პ ო ტ ი კ ო არს მახე ქოკობთა და კაკაბთა; გაწარი არს მახე მწყერთათვის გრძლად ნაგები; ფ ა ც ე რ კ ო დ ი არს გრკლითა და მშვილდითა ტრედთათვის; გ უ ლ ყ ო არს ყელს გარდასაცემელი მახე ხალათა ზედა; ს ა რ ე გ ვ ა ე ი არს ღიდის მკეცით თავგამდე სხვადასხვა რიგით თავს დასაცემელი B. შესაპყრობელი C. განუმარტავია DE.

ნ. დაკავება 1, მემახური, მომახურება; შდრ. საბრკე. მახეებ Cb.

მახვა გამახვა (+ წამახვა, დამახვა ZAA) ZACD.

გამახვა, წვერთ მწვეტება¹ B.

ნ. აღმახვა, დამახვა, წამახული.

მახვილი ნ. მახვლი 1, 2.

მახვიმალი ნ. მახვმალი.

მახინჯი ხეიბარი ZABCDE.

მახიობელი (+ 2, 1? ZAB) ხუმარნი ZABCb.

ქმონანებით(ა) შემსხმელი CaqD¹.

განუმარტავია E.

მახლოხი საფეიქროს იარაღია ZAB.

ფეიქრის იარაღი(ა) Cab. განუმარტავია CqDE.

მახლობელი (+ 2, 1 ქება ZAB) ახლო(ს) მყოფი ZABCab.

განუმარტავია CqDE.

მახოხი სომეხთ შეჭამადი ქატო(ა) (ქატოსა B) ZAB.

ქატოს შეჭამადი CD. განუმარტავია E.

მახრა (მძრომ.) ბოსტანა ZAA.

მახრუტი (+ ღრთისმეტყვე² ZAA)

¹ ასეთივე განმარტება Cb-სი გადახაზულია. ² შდრ. A—1, 655, 11.

კიქა არს ღრმად კოდილი და სითხით ჭრელებული ZA.

კიქა არა ღრმად კოდილი, არამედ სითხით ჭრელებული B. მახრუტი არს კიქა, ანუ ოქრო, ღვინის სასმელი არა თუ ღრმად კოდილი, არამედ სითხით ჭრელებული CD.

მახსოვარი ნ. მაქსოვარი.

მახსოვს ნ. მაქსოვს.

მახვლი¹ (+ 2, 35 ლუქა ZAA) ესე არს მსწრაფლ მკვეთელი რკინა გინა თვალი და გონება ZAB.

მახვილი არს მსწრაფლ გა(ნ)-მკვეთელი რკინა; მახვილად თქმის მსწრაფლ მხედველი თვალი(ცა) და გონება CD. განუმარტავია E.

ნ. აფთი, სიმახვლე.

მახვლი¹ (თევზ.) B. განუმარტავია E.

მახვმალი² სასებისკვრე ფქვილი ZA.

სეფისკვრის ფქვილი D. სასეფისკვე(ე)რე ფქვილი BCE.

მაქსოვარი³ ძველის საქმეთ მცოდნე ZA.

საქმის მხსენებელი B.

ნ. ვიმაქსოვრე.

მაქსოვს⁴ არ დამვიწყებია ZA.

მაჯა კელის სახსარი ZAB.

ქელს უკან მკლავის წვერი Cახ. განუმარტავია CqDE.

მაჯაგანი ტყავის მოსაქნელი რკინა ZABC.

განუმარტავია D. (უკმ.) E.

მაჯანი ძაბუნა B

ნ. მაჯნა.

მაჯლაჯუნა ესე სენია, ძილსა შინა წაეკიდების სისხლის უძრაო-

ბნა მიერ და ეარე(თ) ჰგონებს, ვითარმედ დააწვა ვინმე, ანუ ერკინა ვინმე, და განიფრთხობს ZA.

ესე სენი რამეა, ძილთა შინა წაეკიდების, ჰგონიეს, ვითარმედ დააწვა ვინმე, ანუ ერკინა ვინმე, და გვიანად განიფრთხობს B. ესე სენი არს, ძილსა შინა რა წაეკიდოს, ესრეთ ჰგონებს, ვითარმეც დააწვა რამე და გვიანად აღმოიღებს კმასა (კმათა D) CD. განუმარტავია E.

მაჯნა (+ 2, 152 მამათ-ცხ. ZAA)

მელადი, გინა ექთი ZAB.

მელადი, გინა ექთი, ანუ ცული (ცულად Ch) C. ვის რამიანი: „მაჯნად გაქერიტა“; „მაჯნა საკურტულე პოცა“; „მაჯნად უზნობლა“ DE⁵.

შღრ: დამაჯნება, მემაჯანი.

მაჯუნის სხვათა ენაა, ქართულად

დუბელი დ ჰქვიან ZA.

სხვათა ენაა, ქართულად დუბელი დ ს უწოდენ B.

[მაჯნა ნ. მუბა].

მბადა დამბადა ZAB.

მბალი დაღბილებული B.

მბანდა ბანებას მიზემდა ZAA.

ბანებას მიზემდა B.

მბანდი ბანებას მიზემდი ZA.

მბასრობლა ბასრობით ვეყანდი B.

მბასრობლი ბასრობას მიზემდი

ZA.

მბაქველა ბაქს მეტყოლა B.

მბაქველი ბაქს მეტყოლი ZA.

მბაქველა ჩემს ბაძს იქმოლა B.

მბაქველი ჩემს ბაძს იქმოლი ZA.

მბაქვილა იგივე B.

¹ ნუსხებშია: „მახვილი“. ² ნუსხებშია: „მახვიმალი“. ³ ნუსხებშია: „მახსოვარი“.

⁴ ნუსხებშია: „მახსოვს“. ⁵ D-ში კიდევ შენიშვნაა: „სხვას წიგნში ვნახე, მელადი არს ცული და მაჯნაო, ქვეით ეწერა, მელადი ჰქვიან მძღავრსა ანუ გეთად წაღებასაო“.

მბაძვიდი ივივე ZA.
 მბღვნვარე (მბღვინვარე ZABC qDE) (+ 12, 20 მათე ZA) პატრუქი რა დაშრეტას ლამობდეს და არღარა ნათობდეს ZAB.
 მღვინვარე. ესე არიან (არს Cb), რა პატრუქი ბაზმაქისა ა(რ)ღარ(ა) ნათობდეს და დაშრეტას (ჰ)ლამობდეს CD. მინელეუელი, მღვინვარე E.
 ნ. მღვნვარე.
 მბეგრევედა ბეგარას მღებდა ZA.
 ბეგარსა მღებდა B.
 მბერავი (2, 1 ნაომ) შემბერავი ZAA.
 მბერევედა ბერვას მოქნიდა B.
 მბზინვარისაჲ ნ. მზინვარება.
 მბილწებელი ბილწების მოქმედი ZAB.
 მბირებელი გარდაბირვის მოქმედი ZAB.
 მბმო გამოსარწყავი მუწუქი CD. დიდი მუწუქი E.
 შღრ. ბმო, მსბმო.
 მბრუნავი ბრუნვის მოქმედი ZA.
 ბრუნვის მქნელი B.
 მბრძანებელი ბრძანების მოქმედი ZAB.
 მბრძნობელი ბრძნობის მოქმედი ZAB.
 მბრძოლი ბრძოლის მოქმედი (+ მ ბ რ ძ ო ლ ი პირველად ბრძოლის ამშლელი, მ ე ბ რ ძ ო ლ ი მისი წინააღმდეგომი (წინააღმდეგი Aa), მეპირისპირე; (მ) ბ რ ძ ო ლ ი ლ ი — კვალად ნაბრძოლა; უ ბ რ ძ ო ლ ე ლ ი — ბრძოლამკერ ავნოს; უ ბ რ ძ ო ლ ი — ბრძოლა არ ექნას; უ უ (მ) ბ რ ძ ო ლ ე ს ი — დიდ-დიდად

მბრძოლი, მეტად; ჰ ა ბ რ ძ ო ლ ი — ბრძოლის ადგილი; ს ა ბ რ ძ ო ლ ე ლ ი — ბრძოლის საქმარი საქურველი ZAA) ZAB.

ნ. გუელის-მბრძოლი, პირის-მბრძოლი, წინა-მბრძოლი.
 მბრწალი მკლავი CD.

მბრწამლი ბრწამლის რქები ZA.

(ბალ, ხე) ბრწამლის რქა B.

შღრ. ბრწამლი.

მბუღებელი ბუღის მოქმედი ZAB.

მბურავი ბურვის მოქმედი ZAB.

მგავს მსგავს ჩემი არს ZA.

მსგავს ჩემსა არს B.

მგალობელი გალობის მოქმედი ZA.

გალობის მოქმედი B.

მგამა მეზრუნება ZAD.

მეზრუნ(ე)ებასავეთ BC. განუმარტავია E.

მგბარი (25, 30 დაბად.) მოხარული Z.

25, 30 დაბად. Aa.

მგბოლვარე ნადულარი ZAB.

მგე თვისსა ზედა თვისებასა მოუკლებელი ZAB.

ესე არს თ(ე)ითებასა ზედა თვისსა მოუკლებელი CDE.

მგებდე მიციდიდე ZAB.

მგებელი სიტყვის პასუხის მიმცემელი; მ გ ე ბ ე ლ ი — მდგომი, მ გ ე ბ ე ლ ი — კერპთა შემწირველი; მ გ ე ბ ე ლ ი — ამშენებელი (მაშენებელი A) ZA.

სიტყვის პასუხის მიმცემი; მ გ ე ბ ე ლ ი — კერპთა შემწირველი; მ გ ე ბ ე ლ ი — მაშენებელი B.

მგელი (ოთხვ.) 10, 12 იოანე
ZAB.

(ოთხვ.) მკეცი ბოროტი C.
(ოთხვ.) DE.

ნ. ჩალამგელა (ქილ'თანაც).

მგვარდლ ნ. მგუარდლ.

მგზავნის იგივე [მგზანის] ZAA.

მგზანის გაგზავნა ჩემი ნებაჲს ZA.
გზავნა ჩემი ნებაჲს B.

მგლესელი Cb.

მგლუქელი Cb.

მგლის მგამა; რა მგლის —
რა მგამა ZAB.

მეზრუნება, გინა მგამა: რა
მგლის—რა მგამა C. მეზრუნების,
მგამა; რა მგლის—რა მენალღუე-
ბის D. მენალღუებასავით E.

მგლის-ქორქა¹ (ბალ.) ZABCDE.

მგლოიარე (+ 2 მეფე 14, 2 ZA)

გლო(ვ)ის მოქმედი ZAB.

მგმოზარი გმობის შთქმელი ZA
გმობის მოქმედი B.

მგოზელი (13, 15 ეზეკ.) შემღე-
საეი ZA.

მგონია (+ 43, 2 ეზეკ. Z) გონე-
ბით მომჩასაზრავს ZA.

გონებად მაქვს B.

მგორვალა (ხე) პილბილი ZABC.

განუმარტავია DE.

ნ. ღორთა-მგორვალა.

მგოსანი (9, 23 მათე) ვაჟნი და
ქალნი კეთილად მომღერალნი
კმითა სამუსიკოთა ებანთა და
ბარბითთა ზედა; მეგოდებენიცა
გლოვის მგოსნად ითქ-
მიან ZA.

ვაჟნი ანუ ქალნი კეთილ მომღე-
რალნი ებანთა და ბარბითთა ზედა
მგოსან არიან; მეგოდებენიც გლოვის

მგოსნად ითქმიან B. მგოსანი არი-
ან ქალნი, გინა ვაჟნი, კეთილად მომ-
ღერალნი ბარბითთა და ებანთა ზედა;
კეთილ მეგოდებენიცა გლოვის მგო-
სანად ითქმის (ითქმიან Cq) C.
განუმარტავია D.

მგრაგნელი (2 შჯულ. 28, 39)
ქუა (ქია D) ფოთლის შემქმელი
ZAD.

(მძრომ.) ქუა ფოთელთ შემქმელი
B. (მძრომ.) ქია ფოთელთ (ფოთოლთ
Cb) შემქმელი C. (მძრომ.) ქია ხის
ფოთლის მქამელი E.

მგრგვალი ნ. მგრგუალი.

მგრგლოვანი ZABCDE.

მგრგუალი (მგრგვალი AbBCa)
ყოვლით კერძო სწორი ZAB.

განუმარტავია Ca.

ნ. მომგრგუალება, მომგრგუა-
ლებული, მრგულიად-დასაწუ-
ელი, მრგულევა, სიმგრგულე,
წამრგუალება, წამგრგუალებუ-
ლი.

მგრძნობელი შემტყობელი ZAB.

ნ. ნათესავი.

მგუარდლ (მგვარდლ CDE) აქათ-
იქით ZAB.

მგრგვლივ CD. მგრგვალი E

მგუემელი (მგუშმელი ZA) მცე-
მელი ZAB.

მაჟიმბ Cb.

მგუშმელი ნ. მგუემელი.

მგულავს მეგულვების ZACD.

მეგულვება B.

[მგულეებელი ნ. ვმგულეებლობ-
დით; შდრ. უგულეებელს-ყოფა].

[მგუნ ნ. გამგუნება].

მაგუნება Cb.

¹ ნუსხებშია: „მგლის-ხორხა“.

მდაბალი (2, 11 ესაია) უზვა-
ლიო Z.

(+ 2, 11 ესაია Aa) უზვა(ვ)ო AC.
უზვაო (1, 52 იოანე) B. განუმარტა-
ვია DE.

ნ. დამდაბლა, დამდაბლება,
სიმდაბლე; შდრ. დაბალი.

მდაბიო (მდაბიოდ E) მსოფლიო
ZAB.

მესოფლე CD. მესოფლე, დაბაში
მყოფი. იოვანე მახარებლის
ნეტაფრასი: „უწიგნ და მდაბიოდ
წოდებითა მისითა“ E¹.

მდაბრ (2, 46 საქმე) გან(ი)ტეხდეს
სახლ მდაბრ პურსა, რამეთუ
(ვინათგან Ab) არა აქენდათ
(+ მათ ZAA) ტაბლები, არამედ
ქელსა ზედა განიყოფდეს (განი-
ყოფდენ Ab) და ეგრე იზარდე-
ბოდეს (გამოიზრდებოდენ Ab)
ZA².

(საქმე 2, 46) ახლოს, გინა კერძო,
გინა გარ. B.

მდალი დიაცი სძლის მაყარი
ZABC.

განუმარტავია DE.

შდრ. დალი.

მდარე დარე ZAB.

მდგნალი (ხე) ZABCDE.

ნ. ტირიფი.

მდგომი ზე ფერკზე მყოფი ZA.

ზე ანუ სადგომს მყოფი B.

მდგური სადგომს მდგარი ZAB.

მდებარე ადგილზე იდევს ZA.

ადგილზედ იყოს B.

ნ. შიგამდებარე სიტყუა, წი-
ნამდებარე.

[მღები ნ. თავს-მღები, თანამღე-
ბი].

[მღევი ნ. ზედამღევი].

მღეღრი დედაკაცური ZABCb.

დედალი Caq.

ნ. მამრი.

მღევარი (+ 16, 4 ესაია ZAA)

უქან მიმწევი ZAAb.

უქან მიმწევი (2, 16 ისო) Ab.

ნ. მერცხლის-მღევარი.

[მღევი ნ. ვირ-ღევი].

მღევნელი (51, 31 იერემ.) ლაშ-
ქრის გაქცეული ZAA.

მღელო (19, 6 ესაია) ესე არს ყო-
ველივე მწევანვილი ველისა. 3, 2
მალაქია წინასწარმეტყველისა
წიგნთა წერილ არს, ვითარცა
მღელთა მრ(ე)ცხელისა არა რა
სხვადა არს, გარნა არიან მღელო-
ნი, რომელი სარცხელსა განას-
პეტაკებს, ხოლო მსოფლიონი
მღელოსა ზროხის ახალსა სკო-
რესა უწოდენ, რამეთუ შართა
და ხამთა იგიცა განასპეტაკებს
ZA.

(ბალ.) მღელო არს ყოველივე მწეა-
ნვილი. ხოლო მალაქიას წინასწარ-
მეტყველებაში 3,2 სწერია, ვითარცა
მღელთა მრცხელისა არა რა სხვაა,
რამეთუ მღელონი არიან, რომელნი
განასპეტაკებენ სარცხელსა. ხოლო
მსოფლიონი მღელოს უწოდენ ზრო-
ხის სკორეთა ახალთა, რამეთუ შართა
და ხამთა იგიცა განასპეტაკებს B.
(ბალ.) მღელო ეწოდების მწევანვილსა;
მღელოა ეწოდების საპოვნსა, რომ-
ლისათვის იტყვის მალაქია 3,2 ვითარ-
ცა მღელოა მრცხელისა. კვალად

¹ წყარო და მოწმობა გადახაზულია E-ში. ² წარმოდგენილი ახსნა მოწმობაა რომელიდაც წყაროდან, რომელიც „მოციქულთა საქმის“ 2,46-ის ინტერპრეტაციის წარმოადგენს.

მდლოს უწოდენ მსოფლიონი სკორესა ზროხისათა ახალთა, რომელი განასპეტაკებს შარსა და ხაშთა (ხაშსა Cb) და ტილოთა, რეცა საპონთა სახელს. მისდა უწოდებენ C. (ბალ.) D. (ბალ.) ბალახი E.

ნ. საპონი.

მღვინვარე ნ. მღვწვარე.

მდიდარი (+ 5, 14 ესაია ZAa)

მრავლის მქონიარე ZAaB.

მრავლის მქონიარე (1 მეფე 25, 2)

Ab. მრავლის მქონებელი C. განუმარტავია DE.

ნ. სიმდიდრე.

მდივანი უსტართა მწერალი ZA.

წიგნის მწერალი B. მწიგნობარი

CD. კაი მწიგნობარი E.

შდრ. დივანი.

მდივნე სკორე და მსგავსნი მისნი ნერგთა აღმორძინებელნი Z.

მდინარე (+ 2, 10 დაბად. ZAa)

ესე არს წყალი დიდი მინადენი;

მ დ ი ნ ა რ ე დ ი თქმის მრავალი

სისხლი და ცრემლნი, გინა სწავ-

ლისა ქადაგებანი ZA.

მ დ ი ნ ა რ ე არს წყალი. დიდი მინა-

დენი; მ დ ი ნ ა რ ე დ ი თქმის სისხლი

და ცრემლი ნადენი, გინა სწავლისა

ქადაგებანი B. მინადენი წყალნი.

მ დ ი ნ ა რ ე არს წყალნი მდინარენი;

მ დ ი ნ ა რ ე დ ი თქმის სისხლიცა და

ცრემლიცა ნადენი; მ დ ი ნ ა რ ე დ

ი თქმის ყოველივე ნოტიო ნადენი;

მ დ ი ნ ა რ ე დ ი თქმის სწავლის

ქადაგებათა სიტყვანიცა Cb. განუმარ-

ტავია CaqDE.

ნ. ევფრატის მდინარე, წარმ-

დინარე, წყარო.

მდოგვ (მდოგვი ZABCabDE)

(ბალ.) (+ 13, 31 მათე ZAB)

ZABCDE.

მდოვრე წყნარსა და ჩქარს საშუ-

(ვ)ალი ZAB.

წყნარივით CD. განუმარტავია E.

ნ. მოუმდოვრე, საშუალო.

მდრტყნავი (მდრტყინავი B) ჩუ-

მად მოჩივარივით ZA.

განუმარტავია B.

მღუმარე 24, 17 ეზეკ. Z.

მღურვა სამღურავის თქმა(ა)

ZAB.

სამღურავი C. განუმარტავია DE.

ნ. მომღურვება, სამღურავი.

მღური ფრინველთ სადგური B.

მღულარე (+ მეტად ZAaB) ცხე-

ლი ნოტიო ZAB.

ნამეტნავად ცხელი ნოტიო Cab.

განუმარტავია CqE.

ნ. უნჯუფა.

მღვწვარე¹ მბღვინვარე ZAB.

ნ. მბღვწვარე.

მღღევარი (+ 5, 19 გაბოსლ.

ZAa) საყო(ვ)ელდღეო საზ(რ)-

ღო ZAB.

საყო(ვ)ელდღეო CD.

მე (+ 9, 14 ქრომ. Z) თავსა თვის-

სა იტყვის ZABCab.

განუმარტავია CqDE.

ნ. მეთქი, მეც, მეცა, ჩუენ.

მე ართრონი არს, ვითარ: მეაბა-

ნოე, მეზვრე, მეწალკოტი, მეჯი-

ნიბე, მეზროხე, მექათმე და მის-

თანანი ყოველთა ზედა ZA.

ართრონი არს: მეაბანევე, მეზვრე,

მეჯინიბე და მისთანა B.

მეაბანოე აბანოს მცველი ZAa.

აბანოს მენ BCab. განუმარტავია

CqDE.

მეაბჯრე აბჯრის მენ ZA.

¹ ნუსხებშია: „მღვინვარე“.

საპურველო მნე B. საპურველის
მნე CD.
მეავილე (მეავლე და მეავილე C)
აგილოს მკვრელი ZA.
მენესტეე BC.
ნ. ავილი.
მეავლე იგივე ZA.
იგივე მენესტეე B.
მეავლე და მეავილე ნ. მეავილე.
მეათე 23, 26 ლევიტ. ZAa.
მეათძლე (18, 21 გამოცხ.) ათძ(ა)-
ლის მკვრელი ZAB.
მეანდრო 12 იოსიპოსი: „ხოლო
ტრაპეზა ზედა მეანდრო აღმო-
ტყფრეს“ ZABCDE.
მეანი ყრმათ(ა) ამქმელი, დედათ
მოურავი ZAB.
ამქმლე (ამქმელი CqD), დედათ
მოურავი CD. ყრმათა ამქმელს ეწო-
დების E.
ნ. ამქმელი.
მეაფქიოე ნავის აფრის გამგე ZA.
ნათ აფრათ გამგე B.
ნ. მენავე.
მეაქლემე აქლემის მწყემსი ZAa.
აქლემის მცველი B.
მეაღსარებე აღსარების გამდობე-
ლი ZAB.
მებაბე ბატო მაძონებელი B.
[მებატონე ნ. ხანი 2].
მებახტე უცხოებთ პროკაენი
ZAa.
მებეგრე ბეგარის მოქმელი ZAB.
მებოძირი (22, 9 მათე) სადა გზა-
ნი შეიყრებიან მრავლად ZA.
ქვარელინი გზა B.
მებრ (2 ნემეს.² + 2,8 კოლასელ.
Z) მსგავსადსავით ZAa.

მსგავსადსავით Ab. მსგავსად BCD.
მგზავსად E.
მებრუვე (+ 25, 20 ესაია Z) მა-
რადის მთრვალი (მთვრალი AbB)
ZAB.
ნ. მთრვალი.
მებრუბა ესე არს რა ნამთრვალეს-
(ნამთვრალეს Cq) ღვინის ძალი თაე-
შეე უღვეს შტრად C. მებრუბა
არს ღვინის გამოყოლა სიმთვრალი-
თა D.
მებრძოლი (10, 5 ზაქარ.) ბრძო-
ლის მოქმელი ZAa.
ნ. მბრძოლი.
მებუნებე ბუნების მქონებელი.
მებუნებოზა ბუნებით (+
მეზოგადეობა ZA) ერთობა
ZAB.
[მებუნებოზა ნ. მებუნებე].
მებურნე წვრიმათ მთლელი
ZAB.
ჯოლბორდი CD. განუმარტავი E.
მეგაქი Cb.
მეგობარი (37, 12 ფსალმ.) ესე
არს მიწყევ გაუყარი სათანადო
მოყვასი ZA.
სამულამოდ გაუყარი საყვარელი B.
მარადის მის თანა მყოფი Ccb.
განუმარტავი CqDE.
ნ. ნამეგობრალი.
[მეგოდებენი ნ. მგოსანი].
მეგულეების გულში მაქვს Cb.
მედადი (1, 9 იობ.) (+ ესე. არს
ZA) უფასოდ, გინა ექთად, გინა
ცულად, გინა მაჯნა(დ) (+ 52, 3
ესაია ZAa) ZAB.
მედადი(ი) არს თვინიერ ფასისა
უსასყიდლოდ, ესე იგი არს ექთი (7

გინა მაჲნა D) გინა ცულად CD. მე-
დადი არს ცული და მაჲნა¹ E.

მელასე დასთ გამგე ZAB.

მედგარი (25, 26 მათე) მცონარი
და მოუძღურებული; მე დ გ ა რ ი
ითქმის მარადის ძვირისა
დამმარხველი გულთა შინა აღუ-
ქოცელად; მე დ გ ა რ ი მსოფ-
ლიოთა ენითა მზაკვარად ითქ-
მის, რომელმან კერკითა დააკვე-
თის მორკინალი თვისი მიწასა
ზედა ძლიერად ZA.

მედგარი არს მარადის ძვირის დამ-
მარხველი გულთა შინა აღუქოცელად;
მე დ გ ა რ ი არს, უღონოა რა მოუძ-
ღურდეს, მომედგრებად ითქმის,
რამეთუ მე დ გ ა რ ი არს სუსტი;
მე დ გ ა რ ი ქართულად ორად ითქ-
მის: წერილისა ენით — მცონარსა
და მსოფლიოთა—მზაკვარსა B. ნემე-
სიოსი(ს) წიგნში სწერია: მე დ-
გ ა რ ი არსო მარადის ძვირის
მომქსენებელიო და დამმარხველი
გულთა შინა თვისთა აღუქოცელად,
ვიდრემდის მიაგოს უდიდესი ჯამ(ი)სა
(ჯამის Cb) ძიებითა². მე დ გ ა რ ი
ეკვალად ითქმის მოქმედი საქმისა
არაკეთილად; მომედგრება —
მოსუსტება, გინა მოუძღურება;
მე დ გ რ ა დ ითქმის სუსტიცა C.
მე დ გ ა რ ი არსო მარადის ძვირის
მომქსენებელიო და დამმარხველი
გულთა შინა თვისთა აღუქოცელადო,
ვიდრემდის მიაგოს უდიდესი ჯამისა
ძიებითა. ნემესიოსის წიგნში ასე
სწერია, ხოლო მომედგრება
მოუძღურებად ითქმის, გინა მოულ-
ნობებად. მე დ გ ა რ ი ითქმის სუს-
ტიცა D. მე დ გ ა რ ი არს მარადის
ძვირის მომქსენებელი და დამმარხ-
ველი გულსა შინა თვისთა აღუქოცე-

ლად, ვიდრემდის მიაგოს უდიდეს
ჯამისა ძიებითა. და მომედგრება
მოულნობებადაც ითქმის E.

ნ. მომედგრება, მომედგრდა,
სიმედგრე.

მედგური სხვა სხვისა სახლსა.
მდეგი ZA.

სახლად მდგომი სხვა B. სახლად
დამდეგი სხვა Cab.

მედიმნოსე სიკილათა აღმკრებე-
ლი (+ ხარკთა ZAA) ZAB.

მედიმნოსი სიკილონი(ა) ZACD.

სიკილონი და მედიმნოსე
მისი შემკრებელი B.

ნ. ლიტრა.

მედინი მომდინარე, თუ წარმდი-
ნარე ZA.

მომდინარე B.

მედრეკანი ჯოხი რომ იდრიკებო-
დეს ZAB.

მეედანი მეიდანი, სხვათა ენაა,
ქართულად მე რ ე და მი ნ-
დ ო რ ი და ფ ო რ ე ჰქვიან
ZA.

სხვათა ენაა, ქართულად მი ნ დ ო-
რ ი და ფ ო რ ე ჰქვიან და მე რ ე B.
(უქმ.) მიწდორი C. განუმარტავია D.
(უქმ.) E.

შდრ. მეიდანი, შეიგანი.

მეეზე (მეეზეები E) (ოთხფ.)
ხვასტაგი მშობელი ZABCD.

ხვასტაგი. კიცთა, კბოთა და თი-
კანთა მშობელები E.

ნ. იზეება.

მეერანე შემაწყობელი ZAB.

მეერდოვე ერდოზედ მყოფი
ZAB.

მეეჭუსე (მეეჭუსე Aa) (1, 31 და-

¹ სხვა განმარტებაც მოეპოვება ამ სიტყვას, მაგრამ კარგად არ ირჩევა. ² გა-
მოკრებილია ნემესიოს ემესელის წიგნიდან, თავი 20, გვ. 108, 4—8.

ბაღ.) ექვსისაგანი ბოლოდ ZAA.
მეექვსე (მეექვსე ZA, მეექვსე BCb)
ექვსის მოქმედი ZAB.

განუშარტავია Cb.

მევალობა ავად მიჩნევა ZABCab.
ნ. ევადობა.

მევალე ვალის გამცემი. მოვა-
ლე — ვალი თავს ედვას ZA.
ვალის გამცემი B.

მევაჟინე სასმელებთ მნე, რო-
მელსა შაქრითა და თაფლითა
წყალთა და ხილის წვენთა შე-
ზავებენ ვაჟინად უწოდენ;
ხოლო მევაჟინეთა — მის-
თა მოქმედთა ZA.

სასმელებთ მნე B. ღვინისა და თაფ-
ლუბთ (თაფლუბის Cbq) მნე C.
ეფთვიმე ქართველი ს
ცხვრება: „ეგრეთვე მევაჟინე-
ნი, მაგრა კელართა მწუხრის თუ რამე
ექმარებინ, შინა იკმარიან“ Caq¹.

მევარღე ვარდის მკრეფელი B.

მევარძმე ვარძმის მქნელი ZAB.

[მევახზე ნ. მოვახშო].

მევედრებელი მახვეწარი ZAB.

მეველე ველის მცველი ZAB.

მევენაჟე მეზერე B.

მევენაჟე მეზლაპრე, რომელსა
თურქნი ყისახონს უკმო-
ბენ ZAA.

მეზლაპრე AbBC.

მევერწმუნეთა² (2 კორინთ. 5, 11)
ესე იგი არს, სარწმუნოების
დამმარბველთა ZA.

სარწმუნოებისა მათ დამმარბველთა
(2 კორინთ. 5, 11) B.

მევირე ვირთ მწყემსი B.

[მევნე ნ. თანამევენე].

მეზარბაზნე ზარბაზნის მსროლელი B.

მეზარდახე ზარდახათ მცველი B.

მეზარე ზარების მსხმელი ZAB.

მეზაფხულე აგართა ზაფხულს
მდეგნი ZA.

ზაფხულის აგართა მდეგი B.

მეზიდაჟე ზედაჟის მნე B.

მეზეთე ზეთის მოქმედი B.

მეზვერე ნ. მეზუერე.

მეზვრე ნ. მეზურე.

მეზმანა (მეზმან Ab) სიზმრად
მეჩვენა ZA.

მეზობელი (+ 13, 4 დანიელ
ZAB) ახლო(ს) მოსახლე ZABC.
განუშარტავია DE.

მეზარახე (33 ნემესიო³) მოლაპა-
რაკე ZAA.

მეზროხე ზროხის მწყემსი B.

მეზუერე (მეზუტრე ZA, მეზვერე
BCDE) (18, 13 ლუკა) ზვერის
ამლები ZAB.

მეზაჟე CD. განუშარტავია E.

მეზურე⁴ ვენაჟის მცველი BCD.
განუშარტავია E.

მეზლაპრე მევენაჟე, ზლაპრის
მთქმელი ZA.

მევენაჟე B.

ნ. მუტლით-მეზლაპრე.

მეთავთვე Cb.

მეთაკილე თაკილის მოქმედი B.

მეთანადრება გულს მაკლდება, —
სოფლურად Z.

მსოფლიოდ, — გულს მაკლდება A.

გულს მაკლდება — გლეხურ B. გული
მეკლება CD. განუშარტავია E.

¹ წყაროდ და მოწმობაც ორსავე ნუსხაში გადახაზულია. ² სიტყვა მდარად არის ამოწერილი; დამოწმებულ ადგილს იკითხება; „უწყით უკვე შინი უფლისაჲ, კაცთა-მე ვერწმუნეთა?“ ³ შდრ. ნემესიოს ემესელი, ბუნებისათჳს კაცისა გვ. 138,5. ⁴ ნუსხებშია: „მეზერე“.

მეოვეზე თევზის მონადირე B.
 მეთევზური (19, 8 ესაია) მეთევ-
 ზე ZAa.
